პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი [illegible]) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე
ტელეფონები: რედაქტორის 14—76
მდივანის 10—58
ღამის მორიგის 13—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34,
ტელეფონი № 8—81
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ. ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფ. 13—80 ექსპედ. 5—48.

სამშაბათი, 21 დეკემბერი 1926 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 292 (1747)

დ ღ ი უ რ ი

- ამხ. კუკმა საბჭოთა კავშირის მუშებს მიმართა წერილით.
- ჩეხო-სლოვაკიის სამთამადნო მუშების ფაბკომების არჩევნებში უმეტესად კომუნისტები გადიან.
- საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ და სენატმა საბოლოოდ მიიღეს ბიუჯეტი.
- გერმანიაში გრძელდება მთავრობის კრიზისი; პრემიერათ ასახელებენ ვირტს, მარქსს და შტრეზემანს.
- ჩინეთის წყლებში გაძლიერებულ იქნენ უცხოელების სამხედრო-საზღვაო ძალები

პროფკავშირთა ყრილობის შედეგები

საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა ყრილობა, რომელიც გაიხსნა ექვს დეკემბერს, დაიხურა ამავე თვის 17-ს. ყრილობაზე გაკეთებულმა მოხსენებებმა და მათ გარშემო გამართულმა კამათმა სავსებით ნათელყვეს საბჭოთა პროფმოძრაობის მიღწევები და ეხლანდელი მდგომარეობა, აგრეთვე ნაკლულევანებანი.

მრეწველობის მთელი სახალხო მეურნეობის სწრაფ აღორძინება - განვითარებასთან ერთად გიგანტიურად გაიზარდა კავშირის წევრთა რიცხვი; პროფკავშირებში დარაზმული მასსა ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში გადიდდა 2.277.000 კაცით, ე. ი. 44 პროცენტით, და 1926 წ. 1 იულისისათვის პროფკავშირების წევრთა რიცხვი უდრიდა 9.278.000-ს. ეს ზრდა უმთავრესად ხდება ინდუსტრიულ კავშირების ხარჯზე. მეტად დიდი მუშაობა იქნა ჩატარებული. ამოდენა მასსების ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესების, უფლებრივი ინტერესების დაცვის, პოლიტიკურ აღზრდის, კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების, საწარმოო მშენებლობაში ჩაბმის და სხვა დარგებში. სათანადო ყურადღება ექცეოდა ქვედა-პროფაქტივის შექმნას და მომზადებას, პროფკავშირული დემოკრატიის გაშლას და სხ. ამ აქტივის ზრდამ და დემოკრატიის პრინციპის განხორციელებამ, სხვათა შორის, ყრილობაზეც ჰპოვეს მკაფიო გამოხატულება იმ ცოცხალი და მოურიდებელი აზრთა გაცვლა - გამოცვლის სახით, რომელშიაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა დელეგატებმა.

ყრილობამ განვლილი მუშაობის გათვალისწინებასთან ერთად და მის ნიადაგზე დასახა პროფმოძრაობის მორიგი ამოცანები. პროფკავშირების საერთო პოლიტიკა და გეზი ძველი რჩება, მხოლოდ საჭირო იყო მათი მუშაობის შემდგომი გაღრმავება და უფრო მეტად შეფარდება ახალ პირობებთან.

პროფკავშირების ყრილობა შეიკრიბა სწორედ მაშინ, როცა ჩვენ საერთოდ განვლეთ სახალხო მეურნეობის აღორძინებითი პერიოდი და ფეხი შევსდგით მის გარდაქმნის, ახალ ტეხნიკურ საფუძველზე მოწყობის ხანაში. ე. ი. ფართო სოციალისტურ მშენებლობის ხანაში. ამ მშენებლობის გამარჯვებაზე ლაპარაკი, რა თქმა უნდა, შეუძლებელია პროფორგანიზაციებში შეუკავშირებელ მრავალ მილიონიან არმიის შეგნებული და აქტიური მონაწილეობის გარეშე. ამიტომ მუშათა მასსები პროფკავშირების ხელმძღვანელობით უფრო უნდა დაუახლოვდნენ წარმოებას და შეიტანონ თავისი წვლილი მისი გაუმჯობესების საქმეში. ამ მხრივ უდიდესი მნიშვნელობა აქვს საწარმოო თათბირებს, რომელნიც სახალხო მეურნეობის მშენებლობაში მასსების ჩაყოლის საუკეთესო ფორმას წარმოადგენენ. საჭიროა საბოლოოთ იქნას აღმოფხვრილი ის უყურადღებობა საწარმოო თათბირებისადმი, რასაც ზოგიერთი სამეურნეო მუშაკი იჩენს და ამავე დროს პროფკავშირებმა უნდა გააძლიერონ ხელმძღვანელობა ამ თათბირებზე. ასეთია ყრილობის გადაწყვეტილება.

მეურნეობის რეკონსტრუქციის და ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ამოცანასთან დაკავშირებით ჩვენ ვატარებთ მომჭირნეობის რეჟიმს. პროფორგანიზაციებმა მომჭირნეობის რეჟიმის გატარებაში და სამეურნეო უთავბოლობასთან ბრძოლაში უნდა მიიღონ ენერგიული მონაწილეობა. მაგრამ ამავე დროს ისინი ასევე ენერგიულად უნდა შეებრძოლონ მომჭირნეობის რეჟიმის ლოზუნგის დამახინჯებას, რაც გამოიხატება მუშების ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესების ცდაში ზოგიერთ სამეურნეო მუშაკის მხრით. პროფკავშირების ყრილობამ ამ საკითხზედაც გამოიტანა თავისი დადგენილება.

ყრილობის მუშაობაში, სხვათა შორის, აღსანიშნავია ხელფასის საკითხის განხილვა. ხელფასის ზრდის მხრივ მნიშვნელოვანი მიღწევები გვაქვს. მისი შემდგომი გადიდება დამოკიდებულია ქვეყნის საერთო ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე და შრომის ნაყოფიერების აწევაზე. ქვეყნის რესურსებთან შეფარდებით პროფკავშირებმა უნდა შეეცადონ ხელფასის მომატებას ჩამორჩენილ ჯგუფების და მეურნეობის ძირითად დარგების მუშებისათვის. ამავე დროს საჭიროა ეხლანდელ ტარიფულ სისტემაში შეტანილ იქნეს ზოგიერთი ცვლილება, კერძოდ აუცილებელია ხელფასის მხრივ დღის არსებულ დიდი განაკვეთების შერბილება კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ მუშებ შორის და ძირითადი განაკვეთის გადიდება ე. წ. გადამუშავების შემცირების გზით. რამდენადაც სასოფლო მეურნეობაში გეგმიანობის პრინციპი სულ უფრო ძლიერდება, საჭიროა ხელფასის მოწესრიგების დარგშიც აგრეთვე გეგმიანობის დაცვა, რაც მის გადაჭრის ცენტრალიზაციას გულისხმობს, კავშირებისათვის საკმაო ინიციატივის მინიჭებით ცალკე სამეურნეო ერთეულის ფარგლებში. პროფკავშირების ყრილობამ სწორედ ასე გადაჭრა ეს საკითხი.

ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მასსებთან პროფორგანოების დაახლოვებას. ამისათვის აუცილებელია პროფორგანოები ფხიზლად იდგნენ მუშების ინტერესების სადარაჯოზე. ჯეროვანი ყურადღებით მოეკიდონ მათ სულ წვრილმან პრეტენზიებს და საჩივრებსაც კი. კერძოდ დიდი მნიშვნელობა აქვს საკონფლიქტო პრაქტიკის მოგვარებას. სხვათა შორის აღსანიშნავია, რომ მუშაობის თვისების გაუმჯობესებისა და მთელი პროფკავშირულ მასსისათვის სათანადო სამსახურის გაწევისათვის ყრილობამ აუცილებლად სცნო ფაბქარხკომების რწმუნების ვადის გაგრძელება ორ წლამდე და ამასთან ზოგ მსხვილ, მრავალფეროვან კავშირში სექციების მოწყობა. სექციები, ცხადია, წინანდელი ცეხური ორგანიზაციები არ იქნებიან; საწარმოო პრინციპზე აგებულ კავშირების მთლიანობა ხელშეუხებელია.

დიდი ყურადღება მიექცა მუშა-ხელის დაქირავების და უმუშევრობის საკითხს. მუშა-ხელის დაქირავების დარგში მრავალ უკანონობას აქვს ადგილი, გავრცელებულია პროტექციონიზმი, ნათლიმამობა და სხ. შრომის ბირჟებს თითქმის არ უწევენ ანგარიშს. ეხლანდელ უმუშევრობის პირობებში მუშა - ხელის დაქირავების საქმის მოწესრიგებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ყრილობამ დაადგინა დაქირავების მთელი ოპერაციები ხდებოდეს მხოლოდ შრომის ბირჟებში. პროფკავშირებმა უნდა გააძლიერონ ბრძოლა ბორკმოქმედებასთან მუშა-ხელის დაქირავების დარგში. ამავე დროს წარმოება - დაწესებულებათა ადმინისტრაციას სასტიკი პასუხისმგებლობა ეკისრება არსებულ წესების დარღვევისათვის.

უმუშევრობასთან ბრძოლის შესახებ ყრილობამ გადასწყვიტა უმუშევართათვის ნივთიერი დახმარების გაძლიერება პროფკავშირული ხაზით; სადაც ეს მოსახერხებელი იქნება, შემცირებულ კვირის ან დღის შემოღება, სოციალურ დაზღვევის საქმის გაუმჯობესება და სოციალზღვევის ორგანოების უფრო მეტი დაკავშირება პროფორგანიზაციებთან.

ყრილობის მუშაობაში თვალსაჩინო ადგილი დაეთმო კულტურულ - საგანმანათლებლო მუშაობას, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ერთი მხრივ მუშათა მასსების კულტურულ მოთხოვნილებათა ზრდის და მეორე მხრივ ახალ მუშების ჩაბმის გამო წარმოებაში, რომელთაც გადამუშავება ესაჭიროებათ. წერა - კითხვის და პროფუცოდინარობის მოსპობა წევრებ შორის. საკლუბო მუშაობის გაღრმავება და მასში მასსების ჩაბმა — უმთავრესად აქეთკენ უნდა წარიმართოს კავშირების საქმიანობა.

ყრილობამ მოისმინა ცალკე მოხსენებები ჩვენი პროფკავშირების საერთაშორისო მუშაობის შესახებ. ამხ. ტომსკიმ სამართლიანად განაცხადა: „პირველი და უდიდესი მიღწევა არის ის, რომ ევროპის ათი ქვეყნის წარმომადგენელთა სახელით ჩვენ მოგვესალმა კუკი. ეს მოწმობს იმას, რომ უნაყოფოდ ჩაიარა კაპიტალიზმისა და რეფორმისტების ცდამ — ჩინური კედლების ზღუდე აღემართათ დასავლეთ - ევროპის მუშებსა და საბჭოთა პროლეტარიატს შორის". საბჭოთა მუშათა კლასი ყოველ ღონეს ხმარობს მსოფლიო პროფმოძრაობის მთლიანობის აღსადგენად, ევროპის მუშებთან დასაახლოვებლად. ჩვენი მუშათა კლასი დახმარების ხელს უწოდებს კაპიტალისტურ ქვეყნების მებრძოლ პროლეტარებს, როგორც, მაგ., ინგლისის მემაღაროეთ, და ამით ერთხელ კიდევ ნათელყოფს, რომ ის ძველებურად რჩება საერთაშორისო რევოლიუციის მედროშედ. დასავლეთის რევოლიუციონური მუშათა მასსებიც, წინააღმდეგ მათი რეფორმისტული ბელადებისა, ილტვიან საბჭოთა კავშირის მუშებისაკენ. და ეჭვი არ არის, რომ მთლიანი ფრონტი განხორციელებული იქნება.

ყრილობის მთელ განწყობილებასა და მუშაობაში წითელი ზოლივით გადიოდა მასსების ურყევი რწმენა სოციალისტურ მშენებლობის გამარჯვებისადმი ჩვენს კავშირში და უდრეკი ნებისყოფა მისი გამარჯვებისაკენ. და ეჭვი არ არის, რომ ათ მილიონამდე შეკავშირებული მუშათა კლასი, რომელსაც ხელთ უპყრია სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება და რომელსაც აქვს ყველა აუცილებელი ობიექტიური პირობა სოციალისტურ მშენებლობისათვის, კიდეც შესძლებს ამ ამოცანის განხორციელებას.

მრეწველობის განვითარების ამოცანები

(„პრავდა"-ს მოწინავე წერილი)

პროფკავშირთა მე-7 ყრილობაზე სრულის სახით გადაიშალა სურათი სოციალისტური მრეწველობის მდგომარეობისა, მისი პოლიტიკური მიღწევებისა წარსულ წლებში, მისი შემდგომი განვითარების კონკრეტიული ამოცანებისა და იმ გზების, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ დასახული განვითარების ნამდვილი განხორციელება.

ჩვენ უკვე გავიარეთ დიდი, დაბრკოლებებით აღსავსე გზა. ჩვენ მივიყვანეთ მრეწველობა და მთელი სახალხო მეურნეობა ომამდე არსებულ დონემდე და ჩვენი აღორძინების ტემპით დავუსწარით დასავლეთის კაპიტალისტურ ქვეყნებს. მაგრამ ჩვენ წინ მდგომი ამოცანები მართლაც უდიდესია. ჩვენ ამოცანად დავისახეთ, რომ მინიმალურ ვადაში მივეწიოთ და გავუსწროთ მოწინავე ბურჟუაზიული ქვეყნების განვითარების დონესათვის; ჩვენ არავითარი ეჭვი არ შეგვაქვს ამ ამოცანის წარმატებით შესრულების შესაძლებლობაში. მაგრამ იმისაგან, თუ როგორ გამოვიყენებთ მას და შევსძლებთ თუ არა სისწორით გამოვიყენოთ ყოველგვარი შესაძლებლობანი, რომელიც გვაქვს ჩვენი სისტემის გეგმიანობაში და ბუნებრივ სიმდიდრეში, სავსებით არის დამოკიდებული საბჭოთა კავშირის მეურნეობის წინსვლის ტემპი.

გასული 1925-26 სამეურნეო წელი, ისე, როგორც 1924-25 წელი იყო წელი სახალხო მეურნეობის განვითარების დიდი წინსვლისა ყოველ დარგში, საგრძნობი სამრეწველო აღორძინებისა და ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ზრდის წელი. მრეწველობის მნიშვნელოვანი მიღწევანი; თითქმის მთელი მოწყობილობის გამოყენება, სამრეწველო პროდუქციის ხვედრითი წონის გადიდება მთელ დანარჩენ პროდუქციასთან შედარებით, მუშათა კლასის შემდგომი „განსოლიდაცია და კერძო კაპიტალის თანდათანობითი განდევნა,—ყოველივე ეს სავსებით მოწმობს ჩვენი სამეურნეო პოლიტიკის საერთო ხაზის სისწორეს.

მრეწველობამ დაამთავრა აღდგენითი პერიოდი, თითქმის სავსებით შეითვისა მემკვიდრეობით მიღებული ტეხნიკური ბაზა, და იგი უკვე შესდგა ძირითადი კაპიტალის გაფართოებისა და რეკონსტრუქციის გზაზე. კაპიტალური აღმშენებლობა ჩვენი მრეწველობის განვითარების უმთავრესი და გადამწყვეტი დარგია. 1924-25 და 1925-26 წლებში, მიუხედავად მთელ რიგ დაბრკოლებათა და შეფერხებათა მთელ სახალხო მეურნეობაში, მიუხედავად კაპიტალის დაგროვების ნელი პროცესისა, მრეწველობის ძირითად კაპიტალში დავაბანდეთ 1.200 მილიონამდე მანეთი. 1926-27 წ. მრეწველობის ძირითად კაპიტალში დაბანდებული თანხის რაოდენობა განისაზღვრება 900 მილ. მან. უდიდესი ძალ-ღონე უნდა მოვახმაროთ კაპიტალური აღმშენებლობის დასახული გეგმის განხორციელებას,—ეს არის ჩვენი მრეწველობის მორიგი ამოცანა.

ამასთან ერთად პროფკავშირთა მე-7 ყრილობამ სისწორით წამოაყენა და დაადასტურა მეორე ლოზუნგი მრეწველობაში: დავამზადოთ უფრო მეტი, უფრო იაფად და უკეთესად. ამას გვავალებს დისპროპორცია პროდუქციის რაოდენობისა და სყიდვითი უნარის შორის, რომელიც თუმცა მსუბუქის ფორმით, მაგრამ მაინც გრძელდება. ამას გვავალებს გართულებული საბაზრო კონიუნქტურა, რომელიც ხასიათდება მომხმარებლის მოთხოვნილების ზრდით სამრეწველო საქონლის ასორტიმენტისა, ხარისხისა და ფასის მიმართ.

სამრეწველო გეგმა 1926-27 წლისათვის მრეწველობის ზრდას 1925-26 წელთან შედარებით განსაზღვრავს 18 პროცენტით. ამასთანავე, საწარმოო საშუალებათა წარმოებების ჯგუფმა უნდა მოგვცეს 23 პროცენტის მომატება, ხოლო მოხმარების საგნების წარმოებათა ჯგუფმა 14 პროცენტი. სამრეწველო განვითარების ამოცანების განხორციელებისაკენ უნდა მივმართოთ მთელი ჩვენი ძალღონე, მობილიზაცია მოუხდინოთ მთელ ჩვენ ძალებსა და საშუალებებს, და რაც უმთავრესია, მობილიზაცია მოუხდინოთ ამ მიზნების ირგვლივ პროლეტარული საზოგადოებრიობის ყველა ელემენტებს, გამოვიწვიოთ ენტუზიაზმი ფართო მასსებში და უკან გავიყოლიოთ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო და სინდისიერი ელემენტები.

როგორი გზებით უნდა სწარმოებდეს მრეწველობის განვითარების გეგმის აღსრულება მიმდინარე წელში. უპირველესად ყოვლისა, ამისათვის საჭიროა, რომ მრეწველობას დაუბრკოლებლად მივაწოდოთ გეგმით დაწესებული ფინანსები (როგორც ბიუჯეტით, ისე მოკლე-ვადიანი კრედიტით გათვალისწინებული). თუ მრეწველობაში მივიღებთ ერთის მხრით, საკავშირო და ადგილობრივი ბიუჯეტით გადიდებულ თანხებს (ელექტროფიკაციით) და მეორეს მხრით, მრეწველობის გადასახადებს ხაზინის სასარგებლოდ, მაშინ ცხადი იქნება, რომ მრეწველობისა და სახელმწიფო ბიუჯეტის ურთიერთ დამოკიდებულება 1926-27 წელში წარმოადგენს სალდოს მრეწველობის სასარგებლოდ 180 მილიონი მან. პროექტით გათვალისწინებული თანხების მიწოდება მრეწველობისათვის საერთოდ უდრის 400 მილ. მან. ფინანსიური გეგმის შესრულება ერთი უმთავრესი პირობათაგანია კაპიტალური აღმშენებლობის წარმოების გადიდების განხორციელებისათვის.

ამასთან ერთად, მრეწველობა, უდგენს რა მნიშვნელოვან მოთხოვნილებებს ბიუჯეტს, მან მთელი თავისი ძალღონე უნდა მოანდომოს საკუთარ საშუალებათა მობილიზაციას და დაგროვების წყაროთა გამოძებნას თავის შიგნით. მრეწველობის საკუთარი დაგროვების ასეთი წყარო უნდა იყოს: შინაგანი რესურსების ეგრედწოდებული მობილიზაცია, ზედნართი ხარჯების შემცირება, თვითღირებულების შემცირება, შრომის ნაყოფიერების აწევა და სამრეწველო საქმიანობის მთელი სისტემის გაუმჯობესება.

ამ ჟამად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წარმოების რაციონალიზაციის და სამრეწველო მმართველობის პრობლემას. წარმოების პროცესთა ყოველი გაუმჯობესება, წარმოების ორგანიზაციის ნაკლთა ყოველი გამოსწორება არსებული ძირითადი კაპიტალის სწრაფი ტემპით გამოყენების საშუალებას მოგვცემს. ამ პრობლემას ებჯინება თვითღირებულების გაიაფების საკითხები, საქონლის ხარისხის გაუმჯობესებისა და კაპიტალის ბრუნვის გაძლიერების ამოცანები. აი, სად არის ინიციატივისა და შემოქმედებითი ძალის გამოყენების უდიდესი სარბიელი. მაქსიმუმ რაციონალიზაციის შეტანა საწარმოო პროცესის ყოველ სტადიაში, მაქსიმუმ შედეგის მიღება მინიმალური ხარჯებით, წარმოების გადიდებისა და კაპიტალური აღმშენებლობის გეგმის ნამდვილად შესრულება, მაგრამ შესრულება უდიდესი მომჭირნეობით და უმცირესი შეცდომებით.

ჩვენ დიდის გაჭირვებით ვაგროვებთ თანხებს აღმშენებლობისათვის და ამიტომ უნდა უზრუნველვყოთ მისი რაციონალობა, მომჭირნეობა და მიზანშეწონილობა. ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს ისეთი ნაკლი, რომლის აცილებაც შეიძლება. ჯერ კიდევ დიდი არ არის ჩვენი საქონლის ხარისხი; ჩვენი თვითღირებულება ჯერ კიდევ ჩამორჩენილია ომამდე არსებულ დონესთან შედარებით და აღემატება ბურჟუაზიული ქვეყნების წარმოების ხარჯებს. ჩვენ ჯერ კიდევ ყოველთვის კარგად არ ვაშენებთ. ჩვენ ხანდისხან აღმშენებლობა გვიჯდება სამჯერ ძვირად. ხანდისხან ჩვენ ნაყოფიერად ვერ ვიყენებთ ხალხსა და საშუალებებს. წარსული წლის კაპიტალურ მუშაობაში ჩვენ ბევრი შეცდომები— „ბავშვური ავადმყოფობანი" გვქონდა. ჩვენ პირველად ვანხორციელებთ უდიდეს ამოცანებს და შეცდომები აქ აუცილებელია. მაგრამ ჩვენ მთელი ძალღონით უნდა შევეცადოთ რომ ეს შეცდომები მინიმალური იყოს. ეს ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მართლა გამოვიყენებთ წარმოების რაციონალიზაციის მეთოდებს, შევსძლებთ მეცნიერულ-ტეხნიკურ მიღწევათა გამოყენებას, გავაძლიერებთ ყურადღებას აღმომჩენთადმი და ყოველმხრივ შეუწყობთ ხელს მასების შემოქმედებითი ინიციატივის გამოჩენას.

ახალ რეკონსტრუქტიულ პერიოდში მრეწველობამ აუცილებლად უნდა განაახლოს თავისი აპარატის სტრუქტურა, გააუმჯობესოს სამეურნეო ურთიერთ დამოკიდებულების სისტემა გეგმიანობის გაძლიერებით და ამავე დროს ოპერატიული მმართველობის დეცენტრალიზაციით. მან უნდა გაანთავისუფლოს წარმოება აურაცხელი ანგარიშების შედგენიდან, უნდა შემოიღოს გარკვეულ უფლებათა და სასტიკი პასუხისმგებლობის სისტემა. ცხადია, რომ მთელი ეს პრობლემა სწვდება არა მარტო სამეურნეო ორგანიზაციათა ფარგლებში, არამედ მჭიდროდ არის დაკავშირებული სახელმწიფო აპარატთან მთლიანად.

პარტიამ და პროფკავშირებმა ანალიზი გაუკეთეს მათ წინაშე მდგომ ამოცანებს სოციალისტური აღმშენებლობის დარგში, ჩვენი მრეწველობის დარგში ახალ რეკონსტრუქტიულ პერიოდში. ეს ამოცანები დასმულია სრულის სიცხადით და აუცილებლად უნდა შევასრულოთ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს. და ჩვენ რკინის ცოცხით უნდა აღვგავოთ სასოწარკვეთილების განწყობილება, რომელიც უცხოა პროლეტარიატისათვის, და შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა—მივაღწიოთ ამ მიზანს მთელი ჩვენი ძალღონის გამოყენებით და რევოლიუციონური ენერგიით.

მოსკოვი, 20 დეკემბერი.

კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული პლენუმი

ამხ. სტალინის საბოლოო სიტყვა

მოსკოვი, 20 დეკემბერი. კომინტერნის აღმასკომის პლენუმის 13 დეკემბრის საღამოს სხდომაზე საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა ამხ. სტალინმა.

ოპოზიციის ჭორები

„სანამ საკითხს არსებითად შევეხებოდე—დაიწყო თავისი მოხსენება სტალინმა—მე შევიტან ზოგიერთ ფაქტიურ შესწორებებს ოპოზიციის განცხადებებში, რომელნიც ან ფაქტებს ამახინჯებენ, ან კიდევ წარმოადგენენ ცილისწამებას და ჭორებს.

1) ოპოზიციამ პლენუმზე განაცხადა, რომ ის მიიღებს ზომებს, რათა ბრძოლა არ გამწვავდეს და დაკმაყოფილდება უბრალო „განმარტებებით". ეს არ არის მართალი. ეს არ შეესაბამება სინამდვილეს. ეს თვალთმაქცობაა ოპოზიციის მხრივ. ფაქტებმა და განსაკუთრებით კამენევის გამოსვლამ დაგვანახვა, რომ ოპოზიციის ბელადების გამოსვლა პლენუმზე იყო არა „განმარტებები", არამედ იერიში პარტიის წინააღმდეგ, პარტიაზე თავდასხმა. პარტიისათვის აშკარათ წაყენება ბრალდების მემარჯვენე გადახრის შესახებ, არის გამოსვლა პარტიის წინააღმდეგ.

განა საკავშირო კომპარტიის ცეკას არ აღუნიშნავს თავის დადგენილებაში, რომ ოპოზიციის გამოსვლა გამწვავებს ბრძოლას და ხელს შეუწყობს ფრაქციულობის ზრდას? დიახ აღნიშნა.

ამგვარად ოპოზიციის გამოსვლა, განსაკუთრებით კი კამენევის გამოსვლა, რომელიც ლაპარაკობდა მთელი ოპოზიციონური ბლოკის სახელით, რადგან კამენევის მიერ წაკითხული სიტყვა ხელმოწერილი იყო ტროცკის, კამენევის და ზინოვიევის მიერ, ეს გამოსვლა არის ოპოზიციონური ბლოკის განვითარების ახალი ფაზისი 1926 წლის 16 ოქტომბრის „განცხადებიდან", რომელშიაც ოპოზიცია უარს ამბობს ბრძოლის ფრაქციულ მეთოდებზე, ოპოზიციის არსებობის ახალ ხანამდე, რომელშიაც ის კვლავ უბრუნდება პარტიის წინააღმდეგ ფრაქციული ბრძოლის მეთოდებს.

აქედან გამომდინარეობს დასკვნა: ოპოზიციამ დაარღვია თავისი საკუთარი „განცხადება", დაუბრუნდა რა ფრაქციულ ბრძოლის მეთოდებს. ეს უნდა დავიხსომოთ.

2) ტროცკიმ თავის სიტყვაში სთქვა: „სტალინი თებერვლის რევოლიუციის შემდეგ ქადაგებდა შემცდარ ტაქტიკას, რომელიც ლენინმა დაახასიათა, როგორც კაუცკიანური გადახრა". ეს არ არის მართალი. ეს ცილისწამებაა. სტალინი არავითარ შემცდარ ტაქტიკას არ „ქადაგებდა". გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ მე განვიცდიდი ერთგვარ რყევას, მაგრამ ეს მე არ დამიფარავს და თვითონ ვწერდი ამის შესახებ ბროშიურაში „на путях к октябрю".

პარტიამ მშვენივრად იცის, რომ მე მაშინ ვიყავი ლენინთან კამენევის და მისი ჯგუფის წინააღმდეგ, რომელიც ლენინის თეზისების წინააღმდეგ იბრძოდა. მე ლენინთან ერთად ვებრძოდი კამენევის ოპოზიციას. საქმე იმაშია, რომ ტროცკიმ ამრია მე კამენევში. (სიცილი, ტაში).

სად იყო ტროცკი 1917 წლის კონფერენციის დროს, როცა პარტია ბრძოლას აწარმოებდა კამენევის ჯგუფის წინააღმდეგ. რომელ პარტიაში იმყოფებოდა მაშინ მემარცხენე—მენშევიკურში თუ მემარჯვენე—მენშევიკურში? რატომ არ იყო ის მაშინ ციმმერვალდის მემარცხენე ჯგუფის რიგებში: დეე ამაზე ჩვენ გვიპასუხოს ტროცკიმ, თუნდაც პრესაში. ის მაშინ არ მუშაობდა ჩვენს პარტიაში და ეს ფაქტია, რომელიც უნდა ახსოვდეს ტროცკის.

3) ტროცკიმ თავის სიტყვაში სთქვა, რომ „ეროვნულ საკითხში სტალინმა საკმაოდ დიდი შეცდომა დაუშვა"-ო. რა შეცდომა და რა პირობებში, ტროცკის არ აღუნიშნავს. ეს, ამხანაგებო. არ არის მართალი. ეს ცილისწამებაა. არავითარი უთანხმოება ნაციონალურ საკითხში მე არ მქონია არასოდეს არც პარტიასთან და არც ლენინთან. აქ ტროცკი, ალბათ, ლაპარაკობს ერთ უმნიშვნელო ინციდენტზე, როცა ლენინმა პარტიის მეთორმეტე ყრილობის წინ მისაყვედურა, რომ მე მეტად სასტიკ ორგანიზაციულ პოლიტიკას ვატარებ ქართველ ნახევარნაციონალისტ ნახევარ-კომუნისტების მიმართ, როგორიც იყო მაგ. ყოფილი საქართველოს წარმომადგენელი საფრანგეთში ამხ. მდივანი, და რომ მე „ვდევნი" მათ.

მაგრამ შემდეგში ფაქტებმა დაგვანახვა, რომ ეგრედ წოდებული „უკლონისტები" მდივანის ტიპის ხალხი იყვნენ უფრო სასტიკი მოპყრობის ღირსნი, ვინემ ამას ჩავდიოდი მე, როგორც ჩვენი პარტიის ცეკას ერთ-ერთი მდივანი. შემდგომ ამბებიდან გამოირკვა, რომ „უკლონისტები" წარმოადგენენ აშკარა ოპორტიუნიზმის გახრწნილ ფრაქციას. განა ფაქტი არ არის ის, რომ ცეკამ მთლიანად, ტროცკისთან ერთად, ერთხმად ხმა მისცა სტალინის თეზისებს ნაციონალურ საკითხზე. სადღა არის აქ „უთანხმოება ეროვნულ საკითხში" და რისთვის დასჭირდა ტროცკის ამ უმნიშვნელო ინციდენტის მოგონება.

4) კამენევმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ პარტიის მეთოთხმეტე ყრილობამ შეცდომა დაუშვა, როცა „ცეცხლი მიმართა მარცხნივ" ე. ი. როცა გაილაშქრა ოპოზიციის წინააღმდეგ. გამოდის, რომ პარტია იბრძოდა და იბრძვის პარტიის რევოლიუციონერ კადრის წინააღმდეგ. გამოდის, რომ ჩვენი ოპოზიცია არის მემარცხენე და არა მემარჯვენე. ყველაფერი ეს ტყუილია. ყველაფერი ეს ჭორია, რომელსაც ავრცელებს ჩვენი ოპოზიცია. მეთოთხმეტე პარტყრილობას არც კი უფიქრია რევოლიუციონურ უმრავლესობის წინააღმდეგ გალაშქრება. მან ბრძოლის ცეცხლი მიმართა მემარჯვენეთა წინააღმდეგ, ჩვენი ოპოზიციონერების წინააღმდეგ, რომელნიც წარმოადგენენ მემარჯვენე ოპოზიციას, თუმცა „მემარცხენე" ფრაზებს ეფარებიან. აქ კამენევმა „პატარა" შეცდომა დაუშვა „მემარჯვენეების" და „მემარცხენეების" შესახებ.

5) კამენევმა ლენინიდან მოიყვანა ციტატა იმის შესახებ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არ დაგვისრულებია ჩვენი ეკონომიკის სოციალისტური საძირკველი—და განაცხადა, რომ პარტია შეცდომას უშვებს, როცა აცხადებს, რომ ჩვენ დავასრულეთ ჩვენი ეკონომიკის სოციალისტური საძირკველი. ეს ტყუილია. ეს არის კამენევის ჭორიკანობა. პარტიას არასოდეს არ უთქვამს, რომ მან უკვე დაასრულა ჩვენი ეკონომიკის სოციალისტური საძირკველი. ეხლა ლაპარაკია არა იმაზე, დავამთავრეთ თუ არა ჩვენ ჩვენი ეკონომიკის სოციალისტური საძირკველი. საკითხი მდგომარეობს იმაში, შეგვიძლია თუ არა ჩვენ დავამთავროთ ჩვენი საკუთარი ძალებით ჩვენი ეკონომიკის სოციალისტური საძირკველი. ოპოზიცია ამას უარყოფს. კამენევი, გრძნობს რა თავისი პოზიციის მერყეობას, ცდილობს თავი დაახწიოს იმ საკითხს. მაგრამ ის ამას ვერ მოახერხებს. კამენევმა კიდევ ერთი „პატარა" შეცდომა დაუშვა.

6) ტროცკიმ თავის სიტყვაში განაცხადა, რომ მან „დაასწრო ლენინის პოლიტიკას 1917 წლის მარტში—აპრილში". ნება მომეცით, ამხანაგებო, განვაცხადო, რომ ეს სულელური და თავხედური თავის ქებაა. ტროცკი, რომელმაც „დაასწრო" ლენინს,—ეს ისეთი სურათია, რომელიც მხოლოდ სიცილს იწვევს... დეე ტროცკიმ სინჯოს პრესაში გამოსვლა ამის დასამტკიცებლად. განა ფაქტი არ არის, რომ ლენინმა 1917 წლის აპრილში რამოდენიმეჯერ განაცხადა, რომ მას არაფერი საერთო არა აქვს ტროცკისთან, რომელიც ცდილობს თავზე გადაახტეს გლეხობის მოძრაობას, აგრარულ რევოლიუციას. სადღა არის აქ „დასწრება"?

მე ჩემს მოხსენებაში ვამბობდი, რომ პროლეტარიატის დიქტატურის მტრები—მენშევიკები და კადეტები ემიგრაციიდან ქება-დიდებას ასხამენ ოპოზიციას. მე ვამბობდი, რომ ისინი ოპოზიციას აქებენ ისეთ მუშაობისათვის, რომელსაც მივყევართ მთლიანობის დარღვევისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამარცხებისაკენ. ამის საპასუხოდ კამენევმა და აგრეთვე ზინოვიევმა მოწმედ მოიყვანეს დასავლეთის კაპიტალისტური პრესა, რომელიც, თურმე, აქებს ჩვენს პარტიას და აგრეთვე სტალინს. შემდეგ კამენევმა დაასახელა „სმენავეხელი" უსტრიალოვი, ბურჟუაზიული სპეცების წარმომადგენელი, რომელიც ეთანხმება ჩვენი პარტიის პოზიციას.

გაუკეთა რა ანალიზი იმას, თუ რატომ აქებენ პარტიას ზოგიერთი კლასობრივი მტრები, როგორიცაა უსტრიალოვი, და რატომ აქებენ ოპოზიციას სხვა კლასობრივი მტრები, როგორც მაგ. მენშევიკები, სტალინმა განაცხადა:

— ამრიგათ გამოდის, რომ ჩვენ პარტიას აქებენ ზოგიერთი კლასობრივი მტრები, როგორც მაგ. უსტრიალოვი, იმისთვის, რომ ჩვენ შემოვიღეთ ახალი ეკონომიური პოლიტიკა და ბურჟუაზიას მივეცით ერთგვარი პირობითი შეზღუდული თანამშრომლობის საშუალება არსებულ წეს-წყობილებასთან. ამ შემთხვევაში ჩვენი მიზანია გამოვიყენოთ ამ ბურჟუაზიის ცოდნა და გამოცდილება და ამ მიზანს ჩვენ, როგორც ვიცით, წარმატებით ვანხორციელებთ.

ოპოზიციას აქებენ სხვა კლასობრივი მტრები, როგორც მაგ. მენშევიკები და კადეტები, იმისთვის, რომ მის მუშაობას მივყავართ ჩვენი პარტიის მთლიანობის და პროლეტარიატის დიქტატურის დაშლისაკენ. ეს მუშაობა ხელს უწყობს მენშევიკებს და კადეტებს, რომელთა მიზანია პროლეტარიატის დიქტატურის დამხობა. იმედი მაქვს, რომ ოპოზიცია, დაბოლოს, მიხვდება თუ რა დიდი განსხვავებაა პირველი და მეორე ჯურის შექებას შორის.

შეცდომებისა და პლატფორმის შესახებ

ოპოზიცია აქ ლაპარაკობდა ცეკას ცალკე წევრების ზოგიერთ შეცდომების შესახებ. ცალკე შეცდომებს, რასაკვირველია, ჰქონდა ადგილი. შეცდომები სხვადასხვაგვარია. არის შეცდომები, რომლებსაც შეცდომების ავტორი თავგამოდებით არ იცავს, რომლებიდანაც არ ჩნდება ფრაქციები, პლატფორმები და მიმართულებები. ასეთ შეცდომებს მალე ვივიწყებთ. არის სხვაგვარი შეცდომები, რომელთაც მათი ავტორები დაჟინებით იცავენ, რომლებიც ქმნიან ფრაქციებს, პლატფორმებს და ბრძოლას პარტიაში. ასეთი შეცდომების მალე დავიწყება შეუძლებელია. ამ ორ კატეგორიის შეცდომებს შორის დიდი განსხვავებაა. ტროცკის შეცდომები, რომელნიც შემდეგ ცეკამ გაასწორა და რომელთაც შემდეგ ტროცკი აღარ იცავდა, მე შემიძლია ჩამოვთვალო ათობით და ასობით. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ პოლიტიკურ ბრძოლაში უნდა ვილაპარაკოთ არა ასეთ შეცდომებზე, არამედ ისეთებზე, რომლებიც შემდეგ ყალიბდებოდენ ფრაქციებათ და იწვევდენ ბრძოლას პარტიის შიგნით. იყო დრო, როცა ტროცკი ამტკიცებდა, რომ ჩვენი პარტიის ცეკა და საბჭოთა ხელისუფლება უფსკრულის პირას დგანან, რომ საბჭოთა ხელისუფლებას დარჩა რამდენიმე თვის თუ არა რამოდენიმე წლის სიცოცხლე. ეს მგონი, იყო 1921 წელს. ეს იყო ძლიერ საშიში შეცდომა. რომელიც ახასიათებდა ტროცკის განწყობილებას. მაგრამ ცეკაში ამან მხოლოდ სიცილი გამოიწვია, ტროცკი აღარ იცავდა ამ თავის შეცდომას და შეცდომა დავიწყებულ იქნა.

1922 წელს ტროცკი ურჩევდა ჩვენს სამრეწველო წარმოებებს დაეგირავებიათ სახელმწიფო ქონება და მათ რიცხვში ძირითადი კაპიტალიც, კერძო კაპიტალისტებისათვის კრედიტის მისაღებათ.

მაგრამ ცეკამ უარჰყო ეს გეგმა. ტროცკი აღარ იბრძოდა, შემდეგ კი შეანელა თავის შეცდომის დაცვა, რომელიც ამჟამად დავიწყებულ იქნა.

იყო დრო, მგონი 1922 წელში, როცა ტროცკი ჩვენი მრეწველობის კონცენტრაციის წინადადებას იძლეოდა, ისეთი სულელური კონცენტრაციის წინადადებას. რომელიც აუცილებლივ გამოიწვევდა ჩვენი მუშათა კლასის თითქმის ერთი მესამედის დატოვებას ფაბრიკა-ქარხნების გარეშე.

ან და ავიღოთ ტროცკის მეგობრები—ზინოვიევი და კამენევი, რომელთაც უყვართ წარა-მარა მოიგონონ ბუხარინის მიერ ოდესღაც თქმული: „გამდიდრდით", და ცმუკვა ამ „გამდიდრდით"-ის გარშემო. ეს იყო 1922 წელს, როდესაც ჩვენ ვიხილავდით ურკარტის კონცესიის საკითხს, ამ კონცესიის დამმონებელ პირობებს. განა ეს ფაქტი არ არის, კამენევი და ზინოვიევი რომ გვირჩევდენ ურკარტის კონცესიის ამ საზარალო პირობების მიღებას და დაჟინებითაც იცავდენ თავის წინადადებას? მაგრამ, ცეკამ უარჰყო ურკარტის კონცესია. ზინოვიევი და კამენევი აღარ იცავდენ თავის შეცდომას და ეს შეცდომაც დავიწყებულ იქნა.

ან და, მაგალითად, ავიღოთ ერთი ფაქტი კამენევის შეცდომებიდან. რომელზედაც არ მინდოდა მეთქვა რამე, მაგრამ რომლის მოგონებასაც თავითვე კამენევი მაიძულებს, რადგან მოგვაბეზრა თავი ბუხარინის შეცდომის მოგონებით, რომელიც ბუხარინმა დიდი ხანია გამოასწორა და მოსპო კიდეც. მე ვლაპარაკობ კამენევთან მომხდარ ერთ-ერთ ინციდენტზე, როცა ის ციმბირში იყო გადასახლებული თებერვლის რევოლიუციის შემდეგ და როცა კამენევმა ციმბირის განთქმულ ვაჭრებთან (აჩინსკში) ერთად მიიღო მონაწილეობა მისასალმებელი დეპეშის გაგზავნაში კონსტიტუციონალისტ მიხეილ რომანოვისათვის (ხმები: სირცხვილი), იმ მიხეილ რომანოვისათვის, რომელსაც მეფემ, როცა ის გადადგა ტახტიდან, გადასცა „ტახტის მემკვიდრეობის უფლება". ცხადია, ეს იყო დიდი სულელური შეცდომა, რაზედაც ის კარგად შეახურა ჩვენმა პარტიამ 1917 წლის აპრილის კონფერენციაზე. მაგრამ კამენევმა აღიარა თავისი შეცდომა და ეს შეცდომაც დავიწყებულ იქნა.

საჭიროა თუ არა ასეთ შეცდომების მოგონება? რასაკვირველია, არ არის საჭირო, რადგან დიდი ხანია, რაც შეცდომები აღმოფხვრილია. მაშ რატომღა სჩრიან ცხვირში ასეთ შეცდომებს თავის პარტიულ ოპონენტებს ტროცკი და კამენევი? განა ცხადი არ არის, რომ ამით ისინი გვაიძულებენ მოვიგონოთ ოპოზიციის ლიდერების უამრავი შეცდომები?

არის სხვა სახის შეცდომები, ისეთი შეცდომები, რომელთაც დაჟინებით იცავენ მათი ავტორები, და რომელთაგან შემდეგ იბადება ფრაქციული პლატფორმა. ეს კი სულ სხვა ყაიდის შეცდომებია. პარტიის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გახსნას ასეთი შეცდომები და დასძლიოს ისინი. ვინაიდან ასეთი შეცდომების დაძლევა არის ერთად-ერთი საშუალება მარქსიზმის პრინციპების განსამტკიცებლად პარტიაში, პარტიის მთლიანობის შესანარჩუნებლად, ფრაქციულობის სალიკვიდაციოთ და გარანტიის შესაქმნელად ასეთი შეცდომების განმეორებისაგან. ავიღოთ, მაგალითად, ბრესტის დადების ზავის დროს ტროცკის მიერ დაშვებული შეცდომა, რომელიც შემდეგ მთელ პლატფორმად გადაიქცა პარტიის წინააღმდეგ. აშკარა და გადამჭრელი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ ასეთი შეცდომების წინააღმდეგ. ან და ტროცკის მეორე შეცდომა პროფკავშირების გარშემო გამართულ დისკუსიაში, რომელ შეცდომამაც გამოიწვია სრულიად რუსეთის მასშტაბით დისკუსია ჩვენს პარტიაში. ან, კიდევ, მაგალითად, ზინოვიევისა და კამენევის ოქტომბრის შეცდომა, რომელმაც აჯანყების წინ შექმნა კრიზისი პარტიაში. ან, მაგალითად. ოპოზიციური ბლოკის დღევანდელი შეცდომები, რომლებიც ჩამოყალიბდენ ფრაქციულ პლატფორმაში და პარტიის საწინააღმდეგო ბრძოლაში. და სხვადასხვ.

უნდა ვიბრძოდეთ, თუ არა აშკარად და გადაჭრით ასეთი შეცდომების წინააღმდეგ?

განა შეიძლება დუმილით აუაროთ გვერდი ასეთ შეცდომებს, როცა ლაპარაკია უთანხმოებაზე პარტიის შიგნით? ცხადია, არ შეიძლება.

ზინოვიევი თავის სიტყვაში ლაპარაკობდა პროლეტარიატის დიქტატურაზე და გვარწმუნებდა, რომ სტალინი სცდება პროლეტარიატის დიქტატურის ცნების გაგებაში „ცნობილ წერილში": „ლენინიზმის საკითხებში".

ეს—არაფერია. ზინოვიევს ბრალი მტკივან ადგილიდან გადააქვს ჯანსაღ ადგილზე. ნამდვილად კი ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ იმაზე, რომ ზინოვიევი ამახინჯებს პროლეტარიატის დიქტატურის ლენინისებურ გაგებას.

ასეთი დამახინჯების წინააღმდეგ მე ვილაშქრებდი ჩემს წერილში: „ლენინიზმის საკითხები", როცა ზინოვიევის წინააღმდეგ გამოვდიოდი. შეიძლება ზედმეტი არ იყოს განვაცხადო, რომ ეს წერილი დაიწერა და გადაეცა დასაბეჭდათ ჩვენი პარტიის ხელმძღვანელი ამხანაგების თანხმობით და დასტურით.

ტროცკი და პერმანენტული რევოლიუციის თეორია

კითხვაზე, თუ როგორ უყურებს ტროცკი თავის მენშევიკურ წარსულს, ტროცკიმ ერთგვარი ამაყობით უპასუხა: „უკვე თვით ის ფაქტი, რომ მე შევედი ბოლშევიკურ პარტიაში, მოწმობს იმას, რომ მე პარტიის კართან დავტოვე ყველაფერი რაც მანამდე მაშორებდა ბოლშევიზმისაგან". რას ნიშნავს: „პარტიის კართან დავტოვე ყველაფერი, რაც მაშორებდა ბოლშევიზმისაგან"-ო. რემმელე მართალი იყო, როცა წამოიძახა: „როგორ შეიძლება ასეთი რამეების დატოვება პარტიის კართან". და მართლაც, როგორ შეიძლება ასეთი სისაძაგლის დატოვება პარტიის კართან? (სიცილი).

ეს კითხვა ასევე უპასუხოდ დარჩა ტროცკის მხრივ. გარდა ამისა, რას ნიშნავს პარტიის კართან ტროცკის მენშევიკური ნაშთის დატოვება? დატოვა ეს რამეები პარტიის კართან მომავალ ბრძოლებისათვის პარტიაში, თუ პირდაპირ აიღო და დასწვა ისინი? როგორც სჩანს, ტროცკიმ მხოლოდ შეინახა ისინი მარაგში. თუ არა ასე, მაშ რით უნდა აიხსნას ტროცკის ის პერმანენტული უთანხმოებანი პარტიასთან, რომელთაც თავი იჩინეს ტროცკის პარტიაში შესვლის შემდეგ და, რომლებიც არ შეწყვეტილა უკანასკნელ დრომდე. რა მიზანი უნდა ჰქონდეს ტროცკის ამ ორაზროვან განცხადებას?

ვფიქრობთ, რომ მხოლოდ ერთი მიზანი—მტვერი მიაყაროს თვალებში მაყურებელს და შეცდომებში შეიყვანოს ის.

შემდეგ. ცნობილია, რომ ტროცკის პერმანენტულ რევოლიუციის თეორიის საკითხს ჩვენი პარტიის იდეოლოგიის და ჩვენი რევოლიუციის პერსპექტივის თვალსაზრისით საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს. ცხადია, რომ ამ თეორიას პრეტენზია აქვს კონკურენცია გაუწიოს ლენინის თეორიას—საკითხში ჩვენი რევოლიუციის მამოძრავებელ ძალების შესახებ. ამიტომ სავსებით გასაგებია, რომ ჩვენ არა ერთხელ მივმართეთ ტროცკის კითხვით, თუ როგორ უყურებს ის ეხლა, 1926 წელში, მისვე თეორიას პერმანენტულ რევოლიუციის შესახებ. რა გვიპასუხა ტროცკიმ თავის სიტყვაში კომინტერნის პლენუმზე. პასუხი იყო ორაზროვანი. მან სთქვა, რომ ამ თეორიის ზოგიერთი მხარეები არ დადასტურდა ჩვენს რევოლიუციონურ პრაქტიკაში. გამოდის, რომ თუ ამ თეორიის ზოგიერთ მხარეები წარმოადგენენ „შეცდომას", არის ამ თეორიის სხვა მხარეები, რომელნიც არ წარმოადგენენ „შეცდომას" და რომლებიც ძალაში უნდა დარჩეს. ტროცკი ამ შემთხვევაში მოიქცა ისე, როგორც ძველ დროს იქცეოდენ ზოგიერთი მოხერხებული მისნები, როცა ისინი ხალხს თავიდან იშორებდენ ორაზროვანი პასუხით, როგორც, მაგალითად: „მდინარეზე გადასვლის დროს დამარცხდება დიდი ჯარი". რომელ მდინარეზე, ვისი ჯარი დამარცხდება—მოდით და გაიგეთ (სიცილი).

ზინოვიევის მანერები

რამოდენიმე სიტყვა ზინოვიევის განსაკუთრებულ მანერაზე, რომელსაც ის ხმარობს მარქსიზმის კლასიკებიდან ციტატის მოყვანის დროს. ზინოვიევის ამ მანერის დამახასიათებელი თვისება მდგომარეობს იმაში, რომ ის ურევს ყველა პერიოდებს და თარიღებს, მარქსის და ენგელსის ცალკე ფორმულებს და დებულებებს უკარგავს ცოცხალ კავშირს სინამდვილესთან, აქცევს მათ დოგმებათ და არღვევს, ამგვარათ მარქსის და ენგელსის მთავარ მოთხოვნილებას, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ მარქსიზმი არის არა დოგმა, არამედ მოქმედების სახელმძღვანელო.

გამომდინარეობს თუ არა მარქსის ციტატებიდან, რომ სოციალიზმის გამარჯვება ცალკე ქვეყნებში შეუძლებელია კაპიტალიზმის განვითარების ყოველგვარ პირობებში. სრულებითაც არა. მარქსის სიტყვებიდან გამომდინარეობს მხოლოდ ის, რომ სოციალიზმის გამარჯვება ცალკე ქვეყნებში შეუძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბურჟუაზიული საზოგადოების მოძრაობა ჯერ კიდევ აღმავალი ხაზით მიდის.

როგორი მდგომარეობა იქნება, თუ ბურჟუაზიული საზოგადოების მოძრაობა, სხვადასხვა გარემოებათა გამო, იცვლის თავის მიმართულებას და მიდის დაღმავალი ხაზით. მარქსის სიტყვებიდან გამომდინარეობს, რომ ასეთ პირობებში უსაფუძვლო იქნება ცალკე ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის უარყოფა.

ზინოვიევს ავიწყდება, რომ ციტატები მარქსიდან ეკუთვნიან წინა მონოპოლისტურ კაპიტალიზმის პერიოდს, როცა კაპიტალიზმი აღმავალი ხაზით ვითარდებოდა. კაპიტალიზმის ეხლანდელ პერიოდში კი, როცა წინა მონოპოლისტური კაპიტალიზმი გადაიქცა იმპერიალისტურ კაპიტალიზმათ, შეიძლება თუ არა ითქვას, რომ კაპიტალიზმი ეხლა ვითარდება აღმავალი ხაზით? არ შეიძლება ითქვას. იმპერიალიზმის ეკონომიური შინაარსის ანალიზი, რომელიც მოგვცა ლენინმა. ამბობს, რომ იმპერიალიზმის პერიოდში ბურჟუაზიული საზოგადოება დაღმავალი ხაზით მიდის. ლენინი სავსებით მართალია, როცა ის ამბობს, რომ მონოპოლისტური კაპიტალიზმი და კაპიტალიზმი იმპერიალისტური არის მომაკვდავი კაპიტალიზმი.

მარქსიდან ციტატების მოყვანის ზინოვიევის მანერა მდგომარეობს მარქსის შეხედულებათა გაყალბებაში დოგმებით და ციტატებით. რომელნიც მოწყვეტილი არიან მეცხრამეტე საუკუნის მეორმოცდა-ათე წლების პირობებთან ცოცხალ კავშირისაგან. ზინოვიევმა აგრეთვე სრულიად დაამახინჯა ენგელსი მის 12 მოთხოვნილებებში ანუ ლონისძიებებში. ზინოვიევს გამოჰყავს, რომ, თითქო, ენგელსი თავის 12 მოთხოვნილებაში იძლევა სოციალიზმის ფართე პროგრამას თვით სახელმწიფოს მოსპობამდე. ეს ენგელსის სრული დამახინჯებაა. ენგელსი ლაპარაკობს არა სოციალიზმის ფართე პროგრამაზე სახელმწიფოში კლასების, საქონლის წარმოების და სხვ. მოსპობით, არამედ სოციალისტური რევოლიუციის პირველ ნაბიჯებზე, პირველ ლონისძიებებზე, რომლებიც აუცილებელია იმისთვის, რომ მოხდეს უშუალო გალაშქრება კერძო საკუთრების წინააღმდეგ, უზრუნველყოფილ იქნეს მუშათა კლასის არსებობა და პროლეტარიატის პოლიტიკური ბატონობა.

რას ვამბობდი მე საბოლოო სიტყვაში საკავშირო კომპარტიის მეხუთმეტე კონფერენციაზე. იმას, რომ ენგელსის მოთხოვნილებათა $^{9}/_{10}$, რომელნიც წარმოადგენენ სოციალისტური რევოლიუციის პირველ ნაბიჯს, ჩვენში, საბჭოთა კავშირში უკვე განხორციელებულია. ნიშნავს თუ არა ეს, რომ ჩვენში უკვე განხორციელებულია სოციალიზმი. რასაკვირველია, არა.

მაშასადამე, ზინოვიევმა განგებ დამახინჯებულათ გაიგო ჩემი განცხადება საკავშირო კომპარტიის მეხუთმეტე კონფერენციაზე.

აი სად მიიყვანა ზინოვიევი მარქსიდან და ენგელსიდან ციტატების მოყვანის სპეციფიურმა მანერამ.

შემდეგ. ციტატების შესახებ ლენინის ნაწარმოებიდან. რა არ მოიმოქმედა ზინოვიევმა, რომ ხსენებული გაებრუებია აუარებელი ციტატებით ლენინიდან. ზინოვიევმა მოიყვანა ციტატა ლენინის ბროშურიდან კოოპერაციის შესახებ, რომელშიაც ნათქვამია, რომ ჩვენ საბჭოთა კავშირში გვაქვს ყველაფერი, რაც საკმაო და აუცილებელია ნამდვილი სოციალისტური საზოგადოების შესაქმნელად. მაგრამ მან არც კი შეეცადა დაესვა საკითხი, თუ რას გამოხატავს ეს ციტატა და ვის სასარგებლოთ ლაპარაკობს ის—ოპოზიციონური ბლოკის თუ საკავშირო კომპარტიის სასარგებლოთ. ზინოვიევი ცდილობდა დაემტკიცებია, რომ სოციალისტური აღმშენებლობის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში შეუძლებელია, მაგრამ ამის დასამტკიცებლად მან ლენინიდან მოიყვანა ისეთი ციტატები, რომლებიც თავდაყირა აყენებს ზინოვიევის დებულებას. აი. მაგალითად, ერთი ასეთი ციტატა ლენინიდან: „მე არა ერთხელ მითქვამს: მოწინავე ქვეყნებთან შედარებით რუსებისათვის უფრო ადვილი იყო დიადი პროლეტარული რევოლიუციის დაწყება, მაგრამ მათთვის უფრო ძნელი იქნება მისი გაგრძელება და საბოლოო გამარჯვებამდე მიყვანა, სოციალისტურ საზოგადოების სრული ორგანიზაციის შექმნა"".

ზინოვიევმა არც კი გაითვალისწინა ის, რომ ეს ციტატა ლაპარაკობს არა ოპოზიციონური ბლოკის, არამედ პარტიის სასარგებლოთ, ვინაიდან მასში ლაპარაკია არა სოციალიზმის აშენების შეუძლებლობაზე, საბჭოთა კავშირში, არამედ ამ აღმშენებლობის სიძნელეებზე. საბჭოთა კავშირში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობა ამ ციტატაში ნაგულისხმევია, როგორც თავის-თავად გასაგები ჭეშმარიტება. პარტია ყოველთვის ამბობდა, რომ რევოლიუციის დაწყება რუსეთში იქნება უფრო ადვილი, ვინემ დასავლეთ ევროპის კაპიტალისტურ სახელმწიფოებში, მაგრამ სოციალიზმის აშენება უფრო ძნელი იქნება. ნიშნავს თუ არა ეს, რომ ამ ფაქტის ცნობა უდრის საბჭოთა კავშირში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის უარყოფას. რასაკვირველია, არა. პირიქით, ამ ფაქტიდან გამომდინარეობს მხოლოდ ის დასკვნა, რომ სოციალიზმის აშენება საბჭოთა კავშირში სავსებით შესაძლო და აუცილებელია, მიუხედავად არსებულ სიძნელეებისა. ზინოვიევს უნდოდა მსმენელნი გაებრუებია უამრავი ციტატებით და წყალი აემღვრია, მაგრამ მან ვერ მიაღწია თავის მიზანს. მარქსს და ენგელსს მხედველობაში ჰყავდათ სწორედ ისეთი „მარქსისტი", როგორიცაა ზინოვიევი, როცა ისინი ამბობდენ: „ჩვენი მოძღვრება არის არა დოგმა, არამედ მოქმედების სახელმძღვანელო".

მე ვლაპარაკობ ოპოზიციის ცალკე შეცდომებზე და ფაქტიურ გადამცდარ შეხედულებებზე, რომელნიც მე შევამჩნიე ოპოზიციის ბელადების სიტყვებში. ნება მომეცით ეხლა შევეხო საქმეს არსებითად.

სოციალიზმის ცალკე ქვეყნებში გამარჯვების საკითხი

პირველი საკითხი—ეს არის სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობა ცალკე კაპიტალისტურ ქვეყნებში იმპერიალიზმის პერიოდში. ოპოზიციის ძირითადი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ მას არ ესმის რა განსხვავებაა იმპერიალიზმის წინადროინდელ კაპიტალიზმსა და იმპერიალისტურ კაპიტალიზმს შორის, არ ესმის იმპერიალიზმის ეკონომიური რაობა, რადგან ერთმანეთს ურევენ კაპიტალიზმის ორ სხვადასხვა ფაზას.

ოპოზიციის ამ შეცდომიდან გამომდინარეობს მეორე შეცდომა, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ მას არ ესმის კაპიტალიზმის პერიოდში არა თანაბარი განვითარების კანონის აზრი და მნიშვნელობა და ამ კანონს უპირისპირებს გათანასწორების ტენდენციას და, ამრიგად, დგება კაუცკის ულტრა-იმპერიალიზმის პოზიციაზე. ამ შეცდომებს მივყევართ მესამე შეცდომამდე, იმის გამო, რომ იმ ფორმულებს და დებულებებს, რომელნიც იმპერიალიზმის წინადროინდელ კაპიტალიზმის საფუძვლებიდან წარმოიშვენ. ისინი მექანიკურადავრცელებენ იმპერიალისტურ კაპიტალიზმზე, რის გამო მიდიან სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის უარყოფამდე ცალკე კაპიტალისტურ ქვეყნებში.

განსხვავება ძველ მონოპოლიზმის წინადროინდელ კაპიტალიზმსა და ახალ მონოპოლისტურ კაპიტალიზმს შორის

(გაგრძელება იხ. მე-2 გვერდზე)

კომინტერნის აღმასკომის ახალი პრეზიდიუმი

მოსკოვი, 20 დეკემბერი. კომინტერნის აღმასკომის 18 დეკემბრის სხდომაზე არჩეულ იქნა კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ბუხარინი, ბაკენი, დუნკანი, კატაიამა, კრემი, კოლაროვი, კუუსინენი, ლოზოვსკი, მანუილსკი, მერფი, პრუხნიაკი, რემელე, როი, რუტენბერგი, სემარი, სემაუნი, სტალინი, სილენი, ტან-პინ-სიანი, ტელმანი, კლარა ცეტკინი, შაცკინი, შმერალი, ერკოლი, კანდიდატებათ: ამხ. ბოგუცკი, გეშკე, კოლოვილა (გამოტოვებულია...), მოლოტოვი, პიატნიცკი, ტრენი, შულერი, ემბერდრო.

კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის 20 დეკემბრის სხდომაზე არჩეულ იქნა კომინტერნის აღმასკომის პოლიტიკური სამდივნო შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ბუხარინი, კრემე, კუუსინენი, მანუილსკი, პიატნიცკი, რემელე, როი, შმერალი, ერკოლი. კანდიდატები: ამხ. ლოზოვსკი, მოლოტოვი.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული პლენუმი

მდგომარეობს იმაში, რომ განვითარება თავისუფალი მეტოქეობის საშუალებით. შესცვალა განვითარებამ კაპიტალისტების გრანდიოზულ მონოპოლისტურ კავშირების საშუალებით და, რომ ძველი „კულტურული“ კაპიტალი შესცვალა ფინანსიურმა კაპიტალმა, რომელიც „ლპობას“ განიცდის და, რომ კაპიტალის „მშვიდობიანი“ გაფართოება და მისი გავრცელება „თავისუფალ“ ტერიტორიებზე შესცვალა ნახტომების მაგვარმა განვითარებამ—უკვე დაყოფილ მსოფლიოს ხელახლა დაყოფამ სამხედრო შეტაკებების საშუალებით კაპიტალისტურ ჯგუფებს შორის და რომ ძველი კაპიტალიზმი, რომელიც საერთოდ ვითარდებოდა ზე-აღმავალი ხაზით. შეიცვალა მომაკვდავ კაპიტალიზმით. რომელიც დაბლა მიმავალ ხაზით ვითარდება.

აქედან გამომდინარეობს განვითარების არათანაზომიერების საკითხი იმპერიალიზმის პერიოდში. ობიექტიურობას ნიშნავს ის, რომ განვითარების არათანაზომიერება იმპერიალიზმის დროს ვინმემ ვერ გაარჩიოს კაპიტალისტურ ქვეყნების განვითარების დონის სხვადასხვაობისაგან. სწორედ ასეთი ობიექტიურობა გამოიჩინა ოპოზიციამ, როცა მან მე-15 კონფერენციაზე განვითარების არათანაზომიერების საკითხი აურია იმაში, რომ სხვადასხვა კაპიტალისტურ ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობა სხვადასხვა გვარია. სწორედ ამ არევ-დარევიდან გამოსული ოპოზიცია მივიდა სრულიად შემცდარ დასკვნამდე, რომ წინად განვითარების არათანაზომიერება მეტი იყო, ვინემ იმპერიალიზმის დროს. მხოლოდ ისით ხალხს, რომელსაც არ ესმის იმპერიალიზმის ეკონომიური შინაარსი, როგორიც არიან ჩვენი ოპოზიციონერები, შეუძლია გათანასწორება დაუპირისპიროს არათანაზომიერი განვითარების კანონს იმპერიალიზმის დროს. სწორედ იმიტომ, რომ ჩამორჩენილი ქვეყნები აჩქარებენ თავიანთ განვითარებას და უთანასწორდებიან მოწინავე ქვეყნებს, სწორედ ამიტომ მწვავდება ბრძოლა ერთი ქვეყნის მეორის უკან ჩამოტოვებისათვის, ამიტომ ახერხებენ ზოგიერთი ქვეყნები დანარჩენზე წინგასწრებას, მათ გადევნას ბაზრებიდან, რითაც ქმნიან წინასწარ პირობებს სამხედრო შეტაკებებისა და კაპიტალიზმის მსოფლიო ფრონტის შესუსტებისათვის, რაც ამ ფრონტის გარღვევის საშუალებას აძლევს სხვადასხვა კაპიტალისტურ ქვეყნის პროლეტარებს.

და მაშასადამე, გათანასწორება წარმოადგენს ერთ-ერთ პირობას განვითარების არათანაზომიერების გაძლიერებისა იმპერიალიზმის პერიოდში.

რაში მდგომარეობენ განვითარების არათანაზომიერების კანონის ძირითადი ელემენტები იმპერიალიზმის დროს? ჯერ ერთი იმაში, რომ, მსოფლიო უკვე დაყოფილი აქვთ იმპერიალისტურ ჯგუფებს, თავისუფალი ტერიტორიები უკვე აღარ არსებობენ ახალი ბაზრების და ნედლეულის ბაზრების დასაპყრობად, საჭიროა ამ ტერიტორიების ძალით დაპყრობა.

მეორე, — რომ ტეხნიკის უჩვეულო განვითარებამ, გაძლიერებულმა ნიველიროვკამ კაპიტალისტურ ქვეყნების განვითარებაში, შესაძლებელი გახადეს უფრო ძლიერ ქვეყნების მიერ ნაკლებ ძლიერ, მაგრამ სწრაფ განვითარების გზაზე დამდგარ ქვეყნების განდევნა.

მესამე, რომ გავლენის სფეროების ძველი განაწილება ცალკე კაპიტალისტურ ჯგუფებს შორის ყოველთვის წინააღმდეგობაში ვარდება ძალთა ახალ განწყობილებასთან მსოფლიო ბაზარზე. აქედან გამომდინარეობს არათანაზომიერ განვითარების გაძლიერება და გამწვავება იმპერიალიზმის პერიოდში. იმპერიალიზმის ბანაკში კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების შეუძლებლობა, კაუცკის თეორიის ფსადოქმედობა ულტრა-იმპერიალიზმის შესახებ, რომელიც ქადაგებს ამ კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაჭრის შესაძლებლობას.

აქედან გამოდის. რომ ოპოზიცია, რომელიც უარყოფს იმპერიალიზმის პერიოდში არათანაზომიერ განვითარების გაძლიერების ფაქტს. მიდიან ულტრა-იმპერიალიზმის პოზიციამდე.

ის, ვინც უარყოფს სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობას, იძულებულია დუმილით მოიხსენიოს იმპერიალიზმის დროს არათანაზომიერი განვითარების კანონი. ხოლო ვინც იძულებულია დუმილით მოიხსენიოს არათანაზომიერების კანონი, მან განგებ ვერ უნდა შენიშნოს განსხვავება ომამდე არსებულ იმპერიალისტურ კაპიტალიზმსა და იმპერიალისტურ კაპიტალიზმს შორის.

ორი ხაზი

რა პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ამ საკითხს? პრაქტიკის თვალსაზრისით ჩვენს წინაშე ისახება ორი ხაზი. ერთი—ეს ჩვენი პარტიის ხაზი, რომელიც მოუწოდებს ცალკე ქვეყნების პროლეტარებს ემზადონ მომავალი რევოლიუციისათვის, თვალყური ადევნონ ამბების განვითარებას და მზად იყვნენ რომ მოხერხებულ დროს დამოუკიდებლათ გაარღვიონ კაპიტალისტთა ფრონტი, აიღონ ძალაუფლება და შეარყიონ მსოფლიო კაპიტალიზმის საფუძვლები. მეორე ხაზი —ოპოზიციის ახაზია, რომელიც ბადებს ეჭვებს დამოუკიდებლათ კაპიტალისტების ფრონტის გარღვევის მიზანშეწონილობაში და მოუწოდებს ყველა ქვეყნების პროლეტარებს, რომ მათ უცადონ იმ მომენტს, სანამ „საყოველთაო ბრძოლა“ არ დაიწყება.

თუ ჩვენი პარტიის ხაზია ბურჟუაზიაზე გაძლიერებული რევოლიუციონური შეტევის და ცალკე ქვეყნების პროლეტარების ინიციატივის გაშლის ხაზი, ოპოზიციის ხაზი არის პასიური ლოდინის და ცალკე ქვეყნების პროლეტარების თავიანთი ბურჟუაზიასთან ბრძოლის ინიციატივის შემბოჭავი ხაზი.

პირველი ხაზია ცალკე ქვეყნების პროლეტარების აქტიობის ხაზი.

მეორე ხაზია პროლეტარიატის რევოლიუციონურ ნებისყოფის შესუსტების, პასსიობის და მოლოდინის ხაზი.

შემდეგ ამხ. სტალინს მოყავს მთელი რიგი ციტატებისა ამხ. ლენინის წერილიდან „ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ“ და აგრეთვე ზინოვიევის სიტყვიდან, სადაც იგი დოკუმენტიურად ამტკიცებს ზინოვიევის მიერ ჩამოტანილ მთელ რიგ დამახინჯებებს და ამბობს:

— თქვენ ხედავთ, რომ ზინოვიევის ცდა „დაამუშაოს“ ლენინი დასრულდა— მეტით, ვიდრე მარცხია.

ზინოვიევი ცდილობს ლენინის დამუშავების ცდა დაფაროს დაცინვითი გამოთქმებით იმის შესახებ, რომ „არ შეიძლება სოციალიზმის აშენება ორ კვირაში ან ორ თვეში“.

ხოლო სად ნახა ზინოვიევმა ისეთი ხალხი, რომელნიც აპირებენ სოციალიზმის დამყარებას ორ კვირაში, ორ თვეში, ან ორ წელიწადში? რატომ ის არ დაასახელებს ასეთ ხალხს? მან ისინი არ დაასახელა მიტომ რომ ასეთი ხალხი ბუნებაში არ არსებობს.

და ამ რიგად:

გამოდიოდა რა იმპერიალიზმის პერიოდში არა თანაბარი განვითარების კანონიდან, ლენინი თვით ძირითად წერილში ევროპის შეერთებულ შტატების ლოზუნგის შესახებ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სოციალიზმის გამარჯვება ცალკე კაპიტალისტურ ქვეყნებში შესაძლებელია.

ცალკე ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვებად ლენინს წარმოდგენილი აქვს პროლეტარიატის მიერ ძალა-უფლების ხელში ჩაგდება, კაპიტალისტების ექსპროპრიაცია და სოციალისტური წარმოების მოწყობა და ის, რომ ეს ამოცანები წარმოადგენენ არა თვითმიზანს. არამედ საშუალებას იმისათვის, რომ აღვსდგეთ დანარჩენ კაპიტალისტურ მსოფლიოს წინააღმდეგ და დახმარება გაუწიოთ ყველა ქვეყნის პროლეტარებს მათ ბრძოლაში კაპიტალიზმის წინააღმდეგ. ზინოვიევმა სცადა შეეკვეცა ლენინიზმის ეს დებულება. გარდაქმნა ლენინი ოპოზიციონური ბლოკის ეხლანდელ ნახევრად-მენშევიკურ პოზიციასთან შეფარდებით. მაგრამ ეს ცდა მან მოახდინა გამოუსადეგარი საშუალებით.

გადავდივარ ეხლა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის საკითხებზე.

სოციალიზმის შენების საკითხი ჩვენს ქვეყანაში

ტროცკიმ განაცხადა, რომ სტალინის ერთ-ერთი უდიდესი შეცდომაა თეორია სოციალიზმის მშენებლობის შესაძლებლობის შესახებ ერთ ქვეყანაში.

ჩვენს ქვეყანაში. გამოდის, რომ ლაპარაკია არა ლენინის თეორიაზე ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის დამყარების შესაძლებლობის შესახებ, არამედ რაღაც სტალინის ყველასათვის უცნობ „თეორიაზე“, მესმის, რომ ტროცკიმ მიზნად დაისახა ბრძოლა ლენინის თეორიის წინააღმდეგ. მაგრამ ვინაიდან ლენინის წინააღმდეგ ბრძოლა სახიფათო საქმეა, მან გადასწყვიტა ამ ბრძოლისათვის მიეცა სტალინის „თეორიის“ წინააღმდეგ ბრძოლის სახე. ტროცკის განცხადება სტალინის „თეორიის“ შესახებ, არის მანევრი, ლაჩრული ფანდი, რომლის მიზანია ამ ხერხით იმ ბრძოლის მიჩქმალვა, რომელსაც ის აწარმოებს ლენინის თეორიის წინააღმდეგ ცალკე ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ, იმ ბრძოლის, რომელიც იწყება 1915 წლიდან და გრძელდება დღემდე.

ჩვენი პარტიის გადაწყვეტილებათა გამოსავალ წერტილს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის შესაძლებლობის საკითხის შესახებ წარმოადგენს ლენინის ცნობილი პროგრამული შრომები. ლენინის ამ შრომებში ნათქვამია. რომ სოციალიზმის გამარჯვება ცალკე ქვეყნებში იმპერიალიზმის არსებობის პირობებში შესაძლებელია, რომ პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვება ამ დიქტატურის ეკონომიური პრობლემის გადაჭრის საქმეში უზრუნველყოფილია, რომ ჩვენ, საბჭოთა კავშირის პროლეტარებს, მოგვეპოვება ყველა აუცილებელი და საკმაო პირობები სრული სოციალისტური საზოგადოების მოსაწყობად.

პარტია ამტკიცებს რომ ლენინიზმის ამ დებულებებს ძირინ-ფესვიანად ეწინააღმდეგება ტროცკის და ოპოზიციონური ბლოკის ცნობილი დებულებები, რომ „სოციალიზმის მშენებლობა ნაციონალურ-სახელმწიფოებრივ ჩარჩოებში შეუძლებელია“, რომ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის დამყარების თეორია, ეს არის ნაციონალური სივიწროვის თეორეტიული გამართლება“, რომ „ევროპის პროლეტარიატის პირდაპირი სახელმწიფოებრივი დახმარების გარეშე რუსეთის მუშათა კლასი ვერ შეინარჩუნებს ძალაუფლებას“.

პარტია ამტკიცებს, რომ ოპოზიციონური ბლოკის ეს დებულებები წარმოადგენენ სოციალ-დემოკრატიულ გადახრას ჩვენს პარტიაში. პარტია ამტკიცებს, რომ ტროცკის ფორმულა „ევროპის პროლეტარიატის პირდაპირი სახელმწიფოებრივი დახმარების შესახებ“,—ეს არის ლენინიზმისაგან სრული გამოთიშვის ფორმულა. თორემ, რას ნიშნავს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის დაკავშირება ევროპის პროლეტარიატის პირდაპირ სახელმწიფოებრივ დახმარებასთან თუ ევროპის პროლეტარიატი მახლობელ წლებში ვერ შესძლებს ძალა-უფლების ხელში აღებას? განა ჩვენს რევოლიუციას შეუძლია ერთი ადგილის ტკეპნა იმის მოლოდინში, რომ დასავლეთში რევოლიუცია გაიმარჯვებს განუსაზღვრელი ხნის განმავლობაში? განა შეიძლება იმაზე დამყარება, რომ ჩვენი ქვეყნის ბურჟუაზია თანახმა იქნება დაუცადოს რევოლიუციის გამარჯვებას დასავლეთში და ხელი აიღოს ბრძოლაზე ჩვენი მეურნეობის სოციალისტური ელემენტების წინააღმდეგ? განა ტროცკის ამ ფორმულიდან არ გამომდინარეობს ისეთი პერსპექტივა, რომ ჩვენ თანდათანობით უნდა დავუთმოთ ჩვენი პოზიციები ჩვენი მეურნეობის კაპიტალისტურ ელემენტებს და ის რომ ჩვენმა პარტიამ ხელისუფლება უნდა დასტოვოს. თუ დაგვიანდა ძლევა-მოსილი რევოლიუცია დასავლეთში?

ჩვენ აქ საქმე გვაქვს ორ სავსებით სხვადასხვა ხაზთან, რომელთაგან ერთია პარტიის, ლენინიზმის ხაზი. მეორე კი ოპოზიციის—ტროცკიზმის ხაზი.

მე ჩემს მოხსენებაში შევეკითხე ტროცკის: განა ეს მართალი არ არის, რომ ლენინის თეორიას ცალკე ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ ტროცკი 1915 წელს უწოდებდა „ნაციონალური სივიწროვის“ თეორიას, მაგრამ პასუხი ვერ მივიღე.

მე შევეკითხე ტროცკის: განა მართალი არ არის, რომ მან განიმეორა ბრალდება ნაციონალური სივიწროვის შესახებ სოციალიზმის მშენებლობის შესახებ 1926 წ. სექტემბერში თავის ცნობილ დოკუმენტში, რომელიც მიმართული იყო ოპოზიციისადმი? მაგრამ არც ამ შეკითხვაში მომისმენია პასუხი, ეს იმას მოწმობს, რომ ლენინიზმთან ბრძოლაში ტროცკი რჩება ძველ პოზიციებზე ძირითად საკითხებში ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის შესახებ.

გადავიდეთ კამენევზე, თუ ტროცკი მხოლოდ სტალინს სდებს ბრალს, სამაგიეროდ კამენევმა მთელს პარტიას დასდო ბრალი. როცა განაცხადა, რომ პარტია „საერთაშორისო რევოლიუციონურ პერსპექტივას სცვლის ნაციონალურ რევოლიუციონურ პერსპექტივათი“.

დახეთ, თურმე, ჩვენი პარტია ცვლის საერთაშორისო რევოლიუციონურ პერსპექტივას ნაციონალ-რეფორმისტული პერსპექტივით. მაგრამ რადგან ჩვენი პარტია არის ლენინის პარტია და თავის გადაწყვეტილებებში ის ლენინის ცნობილ დებულებებს ემყარება, გამოდის, რომ ლენინის თეორია სოციალიზმის ალ მშენებლობის შესახებ თურმე არის ნაციონალ-რეფორმისტული თეორია. ლენინი ნაციონალ-რეფორმისტი—აი როგორ სისულელით გვიმასპინძლდება ჩვენ კამენევი. აქვს თუ არა ჩვენს პარტიას რაიმე გარდაწყვეტილებანი სოციალიზმის მშენებლობის შესახებ ჩვენს ქვეყანაში? დიახ, აქვს ძლიერ გარკვეული დადგენილებები აქვს. ისინი მიღებული იქნენ ჩვენი პარტიის მე-14 პარტკონფერენციაზე. მაშ რატომ ეშინიათ კამენევსა და ზინოვიევს თუნდაც გაკვრით შეეხონ ამ რეზოლიუციას? იმიტომ, რომ კამენევი და ზინოვიევი, თუმცა ამ რეზოლიუციის მომხრეები იყვნენ 1925 წელში, მაგრამ შემდეგ უარყვეს ის, ლენინიზმიდან ტროცკიზმის მხარეს გადავიდენ და ეხლა ერიდებიან შეეხონ, თუნდაც გაკვრით, იმ რეზოლიუციას, რადგან ეშინიათ რომ მათ ნიღაბი არ ჩამოეხსნათ.

ორში ერთი: ან მე-14 პარტკონფერენციის რეზოლიუცია არ არის ლენინური, მაშინ ზინოვიევი და კამენევი, რომლებმაც ხმა მისცეს ამ რეზოლიუციას არ იყვნენ ლენინელები, ან და ეს რეზოლიუცია არის ლენინური და მაშინ ზინოვიევი და კამენევი, რომლებმაც უარყვეს ეს რეზოლიუცია აღარ არიან ლენინელები.

ზოგიერთი ორატორები ამბობდნენ: ზინოვიევი და კამენევი კი არ გადავიდნენ ტროცკიზმისკენ, არამედ ტროცკი გადავიდა ზინოვიევთან და კამენევთან. ყველაფერი ეს წვრილმანია, ის ფაქტი, რომ ზინოვიევმა და კამენევმა უარყვეს მე-14 კონფერენციის რეზოლიუცია რომლის პირდაპირი დამამტკიცებელია, რომ სწორედ ზინოვიევი და კამენევი გადავიდნენ ტროცკიზმის მხარეზე.

თუ ეხლა კამენევი ხმაურობს და გაჰკივის ნაციონალ-რეფორმიზმის შესახებ ჩვენს პარტიაში, ეს იმიტომ, რომ ცდილობს ამხანაგების ყურადღება ააცილოს იმ გარემოებას, რომ თვითონ ჩაიდინა ცოდვები, ცდილობს ცოდვები სხვას მოხვიოს თავზე.

აი რატომ არის კამენევის „მანევრი“ ნაციონალ-რეფორმიზმის შესახებ ულაზათო, უხეში ხრიკი, რომლის მიზანია ყვირილით ჩვენი პარტიის ნაციონალ-რეფორმიზმის შესახებ დაფაროს თავისი გადასვლა ტროცკიზმის მხარეზე და ლენინიზმის უარყოფა.

(ამხ. სტალინის სიტყვის დასასრული დილის 5 საათზე მიღებული არ იყო).

ლიტვა სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ

ლიტვა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა უცვლელი რჩება.

ჯარების დიდი ნაწილი ჩამოგდებული მთავრობის მხარეზეა

მთელ ლიტვაში გამოცხადებულია სამხედრო წესები

გადატრიალება ლიტვაში

ვოლდემარასის „თეორია“

კოვნო, 19 დეკემბერი. ჟურნალისტებთან საუბარში ლიტვას მთავრობის თავმჯდომარემ ვოლდემარასმა განაცხადა:

„დღევანდელ მომენტში ლიტვას მთავრობის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს—სახელმწიფოში კანონიერების დამყარება. ძველი ხელისუფლება დაეცა იმიტომ, რომ ბევრს ელოლიავებოდა ბოლშევიზმს“. (ადს).

ოფიციალური ცნობა

კოვნო, 19 დეკემბერი. კოვნოს სახელმწიფო რადიო იტყობინება:

„გადატრიალება გამოიწვია პროფკავშირების საქციელმა, რომლებიც იარაღის ხმარებას ასწავლიდენ თავიანთ წევრებს. კოვნოში უცხოეთის ხარჯზე ექვსი კომუნისტური გაზეთი გამოდიოდა. მთავრობა კომუნისტური ელემენტების გავლენის ქვეშ იყო. იანვარში უნდა გამართულიყო პროფკავშირების ყრილობა, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული აჯანყების მოწყობა. ყველა ამან დიდი შიში გამოიწვია ლიტვას სახელმწიფოებრივ და ნაციონალისტურად განწყობილ წრეებში. 17 დეკემბერს არმიამ ჩამოართვა ძალა-უფლება სლიაჟევიჩს და გადასცა ნაციონალისტურად მოაზროვნე ელემენტებს“. (ადს).

როლების განაწილება

კოვნო, 19 დეკემბერი. სამხედრო დიქტატორმა პლეხავიჩიუსმა ნაციონალისტების ბელადს სმეტონას მიმართა წერილით, რომელშიაც სწერს:

„ჩვენ გვქონდა დაწვრილებითი ცნობები, რომ ბოლშევიკები იარაღდებიან ლიტვის თავისუფლების დასამხობად. მთავრობა არავითარ ზომებს არ ღებულობდა ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად. ჩვენ თავგანწირულად ვიცავდით ლიტვას დამოუკიდებლობას იმ მომენტში, როცა იწყებოდა აშკარა ბოლშევიკური რყევა. ვიციდ რა თქვენი თავდადება და სიყვარული ლიტვის მიმართ, ჩვენ მთელი არმიის სახელით, რომელიც ჰქმნიდა და იცავდა ლიტვას, გთხოვთ ჩაუდგეთ სათავეში ერს, როგორც სახელმწიფოს მმართველი“.

სმეტონამ წერილობით უპასუხა პლეხავიჩიუსს, რომ ეთანხმება მის დასაბუთებას.

„ლიტვის ცხოვრებაში ამ საბედისწერო მომენტში,—სწერს სმეტონა,—მე გადავსწყვიტე ვიკისრო სახელმწიფოს მმართველის მძიმე ტვირთი. მე ჩემს მოვალეობას შევასრულებ მანამდე, ვიდრე თვით ერი კანონიერი გზით გამოიყვანდეს ქვეყანას შექმნილ მდგომარეობიდან“. (ადს).

ახალი მთავრობა

კოვნო, 19 დეკემბერი. გაზეთების ცნობით, პრეზიდენტ გრიუნისის მიერ დამტკიცებული ახალი მთავრობა დაამტკიცა აგრეთვე სახელმწიფოს მმართველმა სმეტონამ. (ადს).

ლიტვა და საბჭოთა კავშირი

ბერლინი. 19 დეკემბერი. ვოლფის სააგენტოს ცნობებით, ლიტვას პრემიერმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა ვოლდემარასმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა:

„დამოკიდებულება საბჭოთა კავშირსა და ლიტვას შორის უცვლელი რჩება. ლიტვას ახალი მთავრობა ღებულობს ჩამოგდებულ მთავრობის მიერ დადებულ სამეგობრო ხელშეკრულებას საბჭოთა კავშირთან“. (ადს).

სამხედრო წესები

ბერლინი, 19 დეკემბერი. ვოლფის სააგენტო იუწყება, რომ ლიტვაში გამოცხადებული სამხედრო წესები გავრცელებულია მემელის ავტონომიურ ოლქზედაც. (ადს).

ჯარების პოზიცია

ვარშავა. 19 დეკემბერი. „პშეგლონდ ვეჩორნი“ იუწყება, რომ პოლონეთის ოფიციალური წრეების აზრით, ლიტვას მდგომარეობა სამხედრო თვალსაზრისით ჯერ კიდევ ბევრად გამოურკვეველია. ჯარის მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ ძველი მთავრობის მხარეზეა, ხოლო ზოგიერთი პროვინციალური გარნიზონები არ შეერთებიან გადატრიალების ხელმძღვანელთ. (ადს).

გამოძახილი საფრანგეთში

პარიზი, 19 დეკემბერი. ყველა ფრანგული გაზეთები ლიტვას გადატრიალებას აფასებენ, როგორც საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო მოვლენას.

კაიოს ორგანო „ვოლონტე“ სწერს, რომ პოლონეთ-ლიტვის კავშირის შესაძლებლობა არ არის ოცნება. ამ კავშირის განხორციელება პოლონეთს მისცემდა რამდენიმე გზას ზღვისაკენ და ზედმეტს გახდიდა დანციგის კორიდორის არსებობას. ამ შემთხვევაში პოლონეთ-გერმანიის კონფლიქტი უფრო ლოღიკურად გადაწყდებოდა. (ადს).

მთავრობის კრიზისი გერმანიაში

ბერლინი, 19 დეკემბერი. გერმანიის მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადება გამოიწვია იმან, რომ ცენტრის პარტიამ და დემოკრატებმა, საგარეო პოლიტიკის მოსაზრებით, უარი განაცხადეს მოლაპარაკების დაწყებაზე ბურჟუაზიული პარტიების ბლოკის შესაქმნელად.

მთავრობის კრიზისი ვერ გადაწყდება იანვრის შუა რიცხვებამდე. უფრო შესაძლებლად სთვლიან უმცირესობის ახალი მთავრობის შედგენას ზომიერი პარტიების წარმომადგენლებისაგან რამოდენიმედ შეცვლილი შემადგენლობით. მოსალოდნელ კანდიდატებათ კრემერის ადგილზე ასახელებენ მარქსს, ვირტს, და შტრეზემანს.

რეიხსტაგის იმავე სხდომაზე, რომელზედაც გამოტანილ იქნა მთავრობის უნდობლობის ვოტუმი, ყველა პარტიების —დაწყებული ნაციონალისტებიდან სოციალდემოკრატამდე (ე. ი. ტელმანელებისა და კომუნისტების გამოკლებით)— ხმების უმრავლესობით მიღებულ იქნა მთავრობის მიერ შეტანილი პროექტი დამატებითი ბიუჯეტის შესახებ. (ადს).

„შავი კაბინეტი“

ლონდონი, 19 დეკემბერი. კომპარტიის ყოველკვირეული „უორკერს უიკლი“ იტყობინება მთელ რიგ დაწვრილებით ცნობებს ინგლისის მთავარ საფოსტო სამმართველოსთან შედგენილ „შავ კაბინეტის“ შესახებ. შავი კაბინეტის მოვალეობა არის კერძო პირთა და სხვადასხვა ორგანიზაციების კორესპონდენციების გახსნა და გადათვალიერება საძიებო და საპოლიციო მიზნით. ეს წესი ემყარება იმ კანონს, რომლითაც საფოსტო სამმართველოს უფროსს ნება ეძლევა შეაჩეროს და სავსებით მოსპოს კიდეც კორესპონდენცია, რომელიც კი რაიმე „აღკრძალულს“ შეიცავს. კანონს ისეთი შემთხვევები აქვს გათვალისწინებული, როცა დახურული წერილით იგზავნება, მაგალითად, უცხოეთის ლატარიების ბილეთები, რაც ინგლისში აკრძალულია. მაგრამ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ეს კანონი გამოიყენა პოლიტიკური ძიების მიზნით. შავ კაბინეტს განაგებს საფოსტო სამმართველოს საიდუმლო განყოფილების უფროსი. (ადს).

წითელ პროფკავშირებში

ნორვეგიაში

სტოკჰოლმი, 19 დეკ. ნორვეგიის პროფკავშირების საბჭოს პლენუმმა საბჭოს სამდივნოს დაავალა ამსტერდამის ინტერნაციონალში პროფკავშირთა საბჭოს შესვლის საკითხის დამუშავება. (ადს).

ბულგარეთში

ვენა, 19 დეკემბერი. ბულგარეთიდან მიღებული ცნობებით, შეწყდა პირველ დეკემბერს გამართული მოლაპარაკება დამოუკიდებელ და რეფორმისტულ პროფკავშირების საბჭოების გაერთიანების გარშემო, რადგან რეფორმისტები მოითხოვდენ ამსტერდამის ინტერნაციონალთან შეერთებას ყოველგვარი პირობების გარეშე.

დამოუკიდებელი პროფკავშირები იმ თვალსაზრისზე დგანან, რომ ამ საკითხის გადაჭრა შეუძლია მხოლოდ ორივე პროფკავშირების გაერთიანებულ ყრილობას. (ადს).

უკანასკნელი ცნობები

მემალაროეთა კავშირის ცეკას საზეიმო სხდომა

მოსკოვი, 20 დეკემბერი. შრომის სასახლეში შესდგა მემალაროეთა კავშირის ცეკას პრეზიდიუმის საზეიმო სხდომა, რომელზედაც საზღვარგარეთო მოხსენება გააკეთა ინგლისის მემალაროეთა ფედერაციის მდივანმა ამხ. კუკმა. ამხ. კუკის მოხსენების გამო მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ საჭიროა შეიქმნეს ინგლის-საბჭოთა მემალაროეების მეგობრობის და ძმობის კომიტეტი, რომელიც ყველა ქვეყნის მემალაროეებს გაუადვილებს ბრძოლას თავიანთ ინტერესებისათვის. ეს კომიტეტი იქცევა ქვა-კუთხედად პროფკავშირთა მთლიანი მებრძოლი ინტერნაციონალის შექმნისათვის. (ადს).

ლიტვის ახალი პრეზიდენტი

კოვნო, 20 დეკემბერი. ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტმა შეიტანა განცხადება თავის გადადგომის შესახებ. სეიმმა ახალ პრეზიდენტად აირჩია სმეტონა.

სეიმის ახალ თავმჯდომარეთ არჩეულია ხაულგინსკი.

კენჭისყრას სეიმში და არჩევნებს დაესწრო 85 წევრიდან 42. (ადს).

„ვოლხოვსტროის“ გახსნა

ლენინგრადი, 20 დეკემბერი. გუშინ მოხდა „ვოლხოვსტროის“ გახსნა. გახსნას დაესწრნენ: რიკოვი, კუიბიშევი, ენუქიძე და სხ.

ძალოვან სადგურზე შესდგა დიდი მიტინგი, რომელსაც დაესწრნენ უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლები ლენინგრადში. მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ: ამხ. ენუქიძე, რიკოვი, კუიბიშევი, ლენინგრადის წარმომადგენლები ამხ. კიროვი და ლობოვი, მოსკოვის საბჭოს წარმომადგენელი—ამხ. უხანოვი, კომინტერნის აღმასკომის წარმომადგენელი ამხ. შმერალი და სხ.

„ვოლხოვსტროის“ მუშაკთა სახელით მთავრობას მიესალმა მთავარი მშენებელი ინჟინერი გრაფტიო.

ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ცეკას დადგენილება

პრაღა, 20 დეკემბერი. ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა თავისი დელეგაციის მოქმედება კომინტერნის აღმასკომის გაფართოებულ პლენუმზე და დაგმო ოპოზიციის ბელადების გამოსვლა. (ადს)

კანტონელების წინსვლა

პეკინი, 20 დეკემბერი. გაზეთების ცნობით 16 დეკემბერს კანტონელებმა დაიკავეს ი-ჩანი (ხუ-ბეის პროვინციის დასავლეთში). იან-სენის ჯარებმა, რომელიც იდგენ ი-ჩანში უკან დაიხიეს პროვინცია სი-ჩუანის მიმართულებით (ადს)

უცხო სახელმწიფოთა მემორანდუმი

ლონდონი, 20 დეკემბერი. ინგლისის საგარეო საქმეთა რწმუნებულმა პეკინში მალიმ გადასცა უმთავრეს სახელმწიფოთა წარმომადგენლებს მემორანდუმი, ჩინეთში უცხო სახელმწიფოთა ერთიანი პოლიტიკის შემოღების შესახებ.

ცნობაში ნათქვამია, რომ ინგლისმა ამ მემორანდუმში წარმოადგინა შემდეგი წინადადებანი: 1) ცალკე ხელშეკრულებების დადება ჩინეთის სხვადასხვა ნაწილებში შექმნილ დროებით მთავრობებთან, 2) ჩინეთისათვის ფისკალურ და სხვა დათმობების საკითხის მოგვარება, საბაჟო კონფერენციის და ექსტერიტორიალობის კომისიის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარება.

ასეთი დათმობების გამო ჩინეთის ხელისუფლებას წინადადება ეძლევა: [illegible] ვაჭრობის თავისუფლების საფოსტო საბაჟოების და უცხოელთა სიცოცხლისა და ქონებისადმი პატივისცემით მოპყრობისა. ჩინეთის ხელისუფალთ მიეცათ წინადადება, გამოსთქვან თანხმობა პრივილეგიებისა და ექსტერიტორიალობის თანდათანობითი მოსპობის შესახებ, განსაკუთრებით სამოსამართლო საქმეების შესახებ, რომელშიაც ურევიან უცხოელები. (ადს).

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ამხ. რიკოვი და კუიბიშევი ლენინგრადის ქარხნებში

ლენინგრადი, 20 დეკემბერი. 20 დეკემბერს ამხ. რიკოვმა და კუიბიშევმა ინახულეს ლითონის ქარხნები.

ქარხანა „კრასნი პუტილოვეცში“ ამხ. კუიბიშევი და რიკოვი გაეცნენ ტრაქტორების კეთების საქმეს. აქედან გაემგზავრნენ კარლ მარქსის სახელობის ქარხანაში, სადაც გაეცნენ სახელოსნოების მუშაობას და საფეიქრო მანქანების აგებას.

(გამოტოვებულია) გაეცნენ ტურბინების სახელოსნოს და ახალ განყოფილებას, სადაც იწარმოებს ორთქლის ტურბინების დამზადება.

ამხ. რიკოვის მოხსენება ლენინგრადის საბჭოს პლენუმის სხდომაზე

ლენინგრადი, 20 დეკემბერი. დღეს შესდგა ლენინგრადის საბჭოს პლენუმი, რომელზედაც საბჭოთა კავშირის მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. რიკოვი.

რიკოვის გამოსვლას პლენუმი შეხვდა მხურვალე ტაშით. მოხსენების შემდეგ პლენუმმა ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც მთლიანად იწონებს, საკავშირო მთავრობის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკას. (ადს)

ანარიცხების შეგროვების შეწყვეტა

მოსკოვი, 20 დეკემბერი. ინგლისის მემალაროეთა გაფიცვის გამო, საკავშირო პროფსაბჭო წინადადებას აძლევს ყველა პროფესიონალურ ორგანიზაციებს შესწყვიტონ ანარიცხების შეგროვება ინგლისის მემალაროეთა სასარგებლოთ, ხოლო შეკრებილი თანხები საჩქაროთ გადაგზავნონ საკავშირო პროფსაბჭოში. (ადს)

ამხ. კუკის მიმართვა მუშებისადმი

მოსკოვი. 20 დეკემბერი. ამ დღეებში ინგლისში დაბრუნდება ინგლისელ მემალაროეთა ბელადი კუკი.

საბჭოთა კავშირის მუშებისადმი კუკი მადლობას უცხადებს მათ და მათ ბელადებს პროკავშირთა ყრილობაზე მიწვევისათვის. კუკის სიტყვით, მან მოსკოვში თავისი სიცოცხლის საუკეთესო დღეები გაატარა.

„მე დავესწარი თქვენი პროფკავშირების ყრილობას,—ამბობს კუკი მიმართვაში. მე ვუსმენდი თქვენ კამათს, დავესწარი თქვენი გენსაბჭოს სხდომას, იმ პირთა სხდომას, რომელნიც ყოველთვის სიტყველნი და იმედით აღსავსენი არიან და რომელნიც სინდისიერად იცავენ 5 ნახ. მილ. მუშათა ინტერესებს. ის იყო პროფკავშირთა უდიდესი ყრილობა, რომელიც იშვიათად უნახავს ქვეყანას.

მე ვიყავი თქვენს კლუბებში, მსჯელობა მქონდა სხვადასხვა საკითხებზე მამა-კაცებთან, ქალებთან და ბავშვებთან. მე დავათვალიერე თქვენი უნივერსიტეტები და ბავშვთა სახლები, დავესწარი პიონერთა კრებებს. 13 დეკემბერს მე დავესწარი კონცერტს საუცხოვო პროგრამით, რომელიც სპეციალურად ყრილობის დელეგატებისათვის იყო გამართული. მე მოვისმინე თქვენი მუსიკა, დავინახე თქვენი ხელოვნება და ცეკვა. მე დავისვენე თქვენს კლინიკაში, სადაც საუცხოოდ და უდიდესი ყურადღებით მომეპყრენ თქვენი სპეციალისტები და მოწყალების დები.

ყოველივე ამან აღმოუფხვრელი შთაბეჭდილება დასტოვა ჩემზე. სიტყვები არ არსებობს იმისათვის, რომ აღვწერო ჩემი აღტაცება იმის დანახვაზე, რაც გაკეთეთ თქვენ 1917 წლის შემდეგ. ხანაში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, მაგრამ გარეშე ძალა ვერ შეარყევს თქვენს ძლიერებას და ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ თქვენ ვერაფერს დაგაკლებთ შინაური მტერი. მე ყოველთვის მეხსომება ეს ნეტარი დღეები და ინგლისში განვაგრძობ ბრძოლას მუშათა განთავისუფლების საქმისათვის, სოციალიზმის საქმისათვის.

გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკებს! გაუმარჯოს ინგლის-საბჭოთა ერთობას!“

პროფკავშირთა ყრილობის გადაწყვეტილებები

მოსკოვი, 20 დეკემბერი. მოგვყავს პროფკავშირთა ყრილობის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები.

საორგანიზაციო საკითხების გარშემო: ყრილობა სწორად და დროულად სთვლის საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომების რწმუნების ვადის გაგრძელებას ერთ წლამდე. ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად იმისთვის, რომ პროფკავშირებმა შესძლონ კავშირის ყველა წევრთა ყოველდღიური ინტერესების დაკმაყოფილება, ყრილობა მიზანშეწონილად სთვლის საწარმოო სექციების დაარსებას იმ ცალკე კავშირებთან, რომლებიც აერთიანებენ მეურნეობის რამდენიმე, სრულიად დამოუკიდებელ დარგებს.

შრომის საკითხების გარშემო: მუშაძალის დაქირავება უნდა სწარმოებდეს მხოლოდ და მხოლოდ შრომის ბირჟების საშუალებით. ყოველ წარმოება-დაწესებულებაში, მის ხელმძღვანელ ადმინისტრატიულ პერსონალის შემადგენლობიდან უნდა გამოიყოს პირი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მუშაძალის მიღება - დათხოვის წესის სწორად გატარების საქმეში. იმ შემთხვევაში, თუ სამრეწველო წარმოებათა მუშაობაში ადგილი ექნება დროებით შეჩერებას ან შეფერხებებს, შესაძლებლად ჩაითვალოს, თუ ამის საშუალებას იძლევა მუშაობის ხასიათი, შემცირებული სამუშაო კვირის ან სამუშაო დღის დაწესება. პროფკავშირების ყველა ორგანოებმა უნდა გააძლიერონ ბრძოლა მუშა - ძალის დაქირავების დროს მოსალოდნელ ბოროტმოქმედებების წინააღმდეგ, პასუხისმგებელ პირთა მიცემით პასუხისგებაში, დამნაშავეთათვის ბოიკოტის გამოცხადებით და კავშირიდან მათი გამორიცხვით. ყრილობა საჭიროდ სთვლის ანარიცხების გადიდებას პროფკავშირების საერთო თანხიდან უმუშევართა ფონდში. იმ კავშირებში, სადაც უფრო ძლიერია უმუშევრობა, ყრილობა შესაძლებლად სთვლის, საკავშირო პროფსაბჭოს ნებართვით, განსაზღვრული ანარიცხების გადარიცხვას უმუშევართა ფონდში.

კოოპერაციის საკითხების გარშემო: კოოპერაციის საშუალებათა გაზრდის მიზნით საჭიროა პაის გადიდება 15 მანეთამდე მუშათა და სატრანსპორტო კოოპერაციაში.

სატარიფო ეკონომიურ საკითხების გარშემო: კავშირების სატარიფო მუშაობა უნდა სწარმოებდეს ცენტრალიზაციაქმნილ გეგმიანობასთან შეფარდებით. სამუშაო ხელფასის ზრდის გეგმიანი ცენტრალიზაციაქმნილი ხელმძღვანელობა პროფკავშირების უშუალო მონაწილეობით, შესამჩნევად განსხვავდება ხელფასის ნორმების სახელმწიფო მოწესრიგებებიდან იმით, რომ ის კავშირებს საკმაო ინიციატივის საშუალებას აძლევს ხელშეკრულების პირობების მიხედვით უხელმძღვანელონ სამუშაო ხელფასის ზრდას სამეურნეო ერთეულის ფარგლებში.

კავშირების ძირითადი ხაზი მიმართულ უნდა იქნას სამუშაო ხელფასის უფრო ინტენსიურად ზრდისაკენ აგრეთვე, იმ მუშების მიმართ, რომელთა სამუშაო ხელფასიც აბსოლიუტურად მცირეა. ყრილობა სწორად სთვლის სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ სახელმწიფო და ადმინისტრატიულ სამმართველოების მოსამსახურეთა გადაყვანას მტკიცე ჯამაგირების სისტემაზე.

ყრილობა აუცილებლად სთვლის, ცდის სახით, ცალკე წარმოებებში შემოღებულ იქნას დროებითი მუშათა საკონტროლო კომისიები წარმოებათა მმართველობის საწარმოო - სამეურნეო საქმიანობის გასაცნობად და შესამოწმებლად და, აგრეთვე, საწარმოო თათბირების წინადადებათა ცხოვრებაში გატარების შესამოწმებლად. (ადს).

მოსკოვი, 20 დეკემბერი. საკავშირო პროფსაბჭოს მოხსენების შესახებ გამოტანილ დადგენილებაში ყრილობა იწონებს ინგლის-რუსეთის მთლიანობის კომიტეტის მოღვაწეობას და საკავშირო პროფსაბჭოს წარმომადგენელთა მუშაობას.

ამხ. ლოზოვსკის მოხსენების გამო ყრილობამ დაადასტურა ბრძოლის საჭიროება ცალკე პროფკავშირების მთლიანი საწარმო ინტერნაციონალების შესაქმნელათ და ამსტერდამის ინტერნაციონალისა და პროფინტერნის გაერთიანებისათვის ერთ ინტერნაციონალში.

ამხ. ორჯონიკიძის მოხსენების გარშემო ყრილობამ აღნიშნა, რომ ბიუროკრატიზმთან და საბჭოთა მმართველობის აპარატის გამარტივებისათვის წარმატებით ბრძოლა შეუძლებელია პროფკავშირების გარეშე.

ყრილობამ აღნიშნა, რომ საჭიროა ამ საქმიანობაში მივიზიდოთ და ჩავაბათ ახალი კადრები მუშათა წრეებიდან, რითაც შესაძლებელი იქნება ჩვენს დაწესებულებებში ბიუროკრატიზმთან წარმატებითი ბრძოლა.

ამხ. კუიბიშევის მოხსენების შესახებ ყრილობა საჭიროდ აღიარებს მიღებულ იქნეს ყოველგვარი ზომები თვითღირებულების დასაკლებად მრეწველობის ყველა დარგებში. ამ მხრივ ძირითად ამოცანას უნდა შეადგენდეს საქალო ფასების დაკლება. ამასთანავე უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. (ადს).

პარტიული ცხოვრება

ოპოზიციის ახალი გამოსვლების წინააღმდეგ

ახალციხის პარტიული კონფერენცია

ახალციხე, 20 დეკემბერი. დღეს მუშათა კლუბის შენობაში გაიხსნა მეექვსე სამაზრო პარტიული კონფერენცია.

ეს კონფერენცია ახალციხის მაზრაში პირველათაა მოწვეული სადელეგატო წარმომადგენლობის პრინციპის მიხედვით. კონფერენციაზე გამოვიდა 105 დელეგატი გადამწყვეტი ხმით, ხოლო 35—სათათბირო ხმით. სამხედრო ნაწილებიდან გამოგზავნილ დელეგატთა რიცხვი შეადგენს კონფერენციის შემადგენლობის 80 პროცენტს.

კონფერენციის საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს ამხ. სტალინი, ბუხარინი, რიკოვი, ვოროშილოვი, ტომსკი, ცხაკაია. მახარაძე, კახიანი და ქართველიშვილი.

კონფერენციას მიესალმენ ხის მთლელთა და მეჯამაგირეთა წარმომადგენლები. სამაზრო პარტ. კომიტეტის მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა ამხ. ცეპაძე.

კონფერენციამ დაადგინა გაუგზავნოს მისალმების დეპეშა საქ. კომ. პარტიის ცეკას და ამხ. ს. ორჯონიკიძეს. (ადს).

ხაშურის პარტაქტივის რეზოლიუცია

მოისმინა რა მოხსენება ამხ. კახიანისა საქართველოს კომპარტიის (ბ) მე-15 პარტკონფერენციის შედეგების შესახებ ხაშურის პარტაქტივის გაერთიანებული კრება სავსებით და მთლიანად უერთდება კონფერენციის გადაწყვეტილებებს, რომლებიც ადასტურებენ ლენინურ ცეკას ხაზს და მოასწავებენ ოპოზიციის სრულ დამარცხებას.

ხაშურის ორგანიზაციას სისწორით ესმოდა და ესმის ოპოზიციის დამღუპველი მოქმედება, და როგორც დღემდის, შემდეგშიც ენერგიულად შეებრძოლება ოპოზიციის ყოველგვარ ცდას დაარღვიოს პარტიის მთლიანობა.

ხაშურის ორგანიზაციას ოდნავ ეჭვი და უიმედობა არ ეპარება ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობაში და იბრძოლებს ამ მშენებლობის წარმატებისათვის და ყველა მყვირალა პანიკიორების წინააღმდეგ.

ხაშურის ორგანიზაცია ერთხელ კიდევ მოითხოვს გადამჭრელ ბრძოლას ოპოზიციისა და უპრინციპო დისკუსიების წინააღმდეგ კომპარტიაში.

გაუმარჯოს პარტიის მთლიანობას და მის მიზნებს.

მისალმება ცეკას

ბორჯომის მეცხრე პარტკონფერენცია მხურვალე სალამს უძღვნის საქართველოს კომპარტიის ცეკას და პირობას სდებს, რომ [illegible] გაატარებს ცხოვრებაში მეხუთმეტე პარტკონფერენციის ყველა გადაწყვეტილებებს, რომლებშიაც დასახულია ჩვენი შემდგომი სოციალისტური განვითარების გზები. წინააღმდეგ ოპოზიციის ბელადების წინასწარმეტყველობისა ლენინის პარტია, რომელიც გამობრძმედილია ბოლშევიკურად, საქართველოს კომპარტიის ცეკას ხელმძღვანელობით შეასრულებს ოქტომბრის ყველა ამოცანებს.

კონფერენციის პრეზიდიუმი.

აზერბეიჯანის ახ.-ლენ-კომკავშირის პლენუმი

ბაქო, 20 დეკემბერი. გაიხსნა აზერბეიჯანის ახკომკავშირის ცეკას მე-4 პლენუმი. დღის წესრიგშია: პოლიტიკური მოხსენება, ცეკას პრეზიდიუმის ანგარიში, მოხსენება საკავშ. ახ-ლენ-კომკავშირის ცეკას პლენუმის შესახებ, პიონერთა ორგანიზაციის მდგომარეობის შესახებ და მორიგი ამოცანები, ინფორმაციული მოხსენება კომკავშირულ სწავლების მსვლელობის შესახებ და სხვა. (ადს).

პარტიის მთლიანობისათვის

ფოთი, 20 დეკემბერი. ფოთის მერვე საქალაქო პარტკონფერენციამ ამხ. კახიანის მოხსენების გარშემო მე-15 პარტკონფერენციის მუშაობის შედეგების შესახებ, გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც ის ერთხმად უჭერს მხარს მე-15 პარტკონფერენციის დადგენილებებს.

კონფერენცია აღშფოთებით აღნიშნავს ოპოზიციის ახალ ცდას დაარღვიოს პარტიის მთლიანობა კომინტერნის პლენუმზე გამოსვლით და მოითხოვს მოუწოდონ ოპოზიციის ბელადებს წესიერებისაკენ.

ლენრაიონის მე-7 პარტკონფერენცია

მესამე სხდომა

ლენრაიონის კონფერენციის მესამე სხდომაზე ამხ. ლადო ქავთარაძე რუსულ ენაზე საანგარიშო თავის მოხსენებას რაიკომის მუშაობის შესახებ.

შემდეგ კონფერენცია ისმენს ორ თანამოხსენებას: პირველი—კომკავშირის საქმიანობის და მეორეც—ქალთა შორის მუშაობის ირგვლივ.

პირველ საკითხზე მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ორგანიზაცია იზრდება რიცხვობრივად, რაც უნდა ჩაითვალოს მნიშვნელოვან წარმატებად. რიცხობრივი ზრდასთან ერთად სწარმოებს თვისებრივი ზრდაც. მაგრამ ყოველივე ამას თან სდევს შემდეგი ნაკლულოვანებანი: მუშა-ახალგაზრდობის პროცენტის შემცირება, პარტიისთვის შესუსტება და კომკავშირელ-ქალთა რიცხვის დაკლება. ხსენებულ ნაკლულოვანებებს უნდა გამოეცხადოს სასტიკი ბრძოლა.

ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციამ უნდა გააძლიეროს აგრეთვე პარტხელმძღვანელობა კომკავშირზე, რადგან ასეთი დღეს-დღეობით საგრძნობლად მოისუსტებს.

უჯრედებზე მიმაგრებული პარტამხანაგები ხშირად ვერ ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს. შემდეგისათვის საჭიროა, რომ ეს ამხანაგები პარტკომიტეტების მიერ შერჩეულ იქნენ, შერჩეული იმ აზრით, რომ მათ ჰქონდესთ სათანადო თეორეტიული მომზადება და პრაქტიკული გამოცდილება.

რაც შეეხება უპარტიო ახალგაზრდობას და ქალიშვილთა შორის მუშაობას—სამწუხაროდ, აქაც არ არის ყველაფერი რიგზე. მიუხედავად ამისა, უნდა ვსთქვათ, რომ რაიონული ორგანიზაციის ავტორიტეტის ზრდის საქმეში წინ მივიწევთ.

ბიუროების შემადგენლობის გაჯანსაღება სოციალური, ნაციონალური და სქესობრივი მდგომარეობის მხრივ—უეჭველი ფაქტია. ასევე ითქმის უჯრედების მდივნებზედაც. მუშა-მდივნების რიცხვი თანდათანობით მატულობს.

რაიკომი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა აქტივის შექმნის ამოცანას და უნდა ვაღიაროთ კიდეც, რომ აქ თვალსაჩინო წარმატებანიც გვაქვს.

კომკავშირის საქმიანობა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში დამაკმაყოფილებელია.

უჯრედების შინა-მუშაობის მთავარი დამახასიათებელი მომენტი ასეთია: უჯრედებთან არსებული საგიტაციო კომისიები მოისუსტებენ; ერთიან პოლიტ-განმანათლებელ ქსელში, მართალია, ჩაბმულია კომკავშირელთა 98 პროცენტი, მაგრამ, თუ ტეხნიკური მიზეზები რომლებიც ხელს უშლიან პოლიტგანათლების სისტემის გაშლას,—გადალახული არ იქნა, შორს ვერ წავალთ და პოლიტსკოლებში წინასწარ ნავარაუდევ სწავლა-დამთავრებულ კომკავშირელების რიცხვსაც ვერ მივაღწევთ.

მეორე საკითხზე მომხსენებელი ამბობს, რომ წარმოებებში გაერთიანებულ ქალთა რაოდენობა—ცოტაა, რაც შეეხება პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობას ქალთა მუშაობაზე —ეს საქმე ამ ჟამად შესაფერისად მოწესრიგებულია.

მაგრამ პარტიულ-ქალების რიცხვი ორგანიზაციაში მაინც უმნიშვნელოა. მთელს რაიონში ჩვენ გვყავს 134 პარტიული ქალი. აქედან წევრია 60, ხოლო კანდიდატი—74. ერთი სიტყვით ქალთა პროცენტი უდრის მხოლოდ 6-ს. მომავალში ეს პროცენტი უთუოდ უნდა გავადიდოთ.

დელეგატ-ქალთა კრებების მუშაობა ნორმალურად მიმდინარეობს. სადელეგატო კრებებში ჯერ გამოშვებულია დღეს-დღეობით 162 ქალი.

მომხსენებელი ეხება აგრეთვე ქალთა შორის მასიური მუშაობის ფორმებს, პროფკავშირების საშუალებით ქალთა შორის კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის გაძლიერების აუცილებლობას და პარტიულ-ქალების დაწინაურებას.

ამის შემდეგ კონფერენცია ისმენს სარევიზიო კომისიის მოხსენებას, რომელშიაც მომხსენებელი ჩერდება რაიკომის პრეზიდიუმის, პლენუმების მუშაობაზე, აღნიშნავს მიღებულ ღონისძიებებს კანცელიარიული ვოლოკიტის აღმოსაფხვრელად, აღნიშნავს თუ როგორ არანორმალობას ჰქონდა ადგილი ინსტრუქტორთა საქმიანობაში, თუ როგორია რაიკომის ფინანსიური მდგომარეობა და ბოლოს დაასკვნის, რომ საერთოდ რაიკომის მუშაობა დამაკმაყოფილებელია.

სარევიზიო კომისიის მოხსენების დამთავრების შემდეგ იმართება კამათი.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: ნუციეროვმა, ლაპარტყავამ, ბარათაშვილმა, მუნდელაშვილმა, ვაჭარაძემ და სხვ.

ამხანაგები თავიანთ სიტყვებში უმთავრესად ეხებოდნენ პარტიაში მუშათა პროცენტის გადიდების, ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის განმტკიცების, სამუშაო ხელფასის, პარტ-დისციპლინის და დაწინაურების საკითხებს.

დღეს კონფერენცია თავის მუშაობას დაიწყებს დილის 9 საათიდან.

მე-15 პარტკონფერენციის შესწავლისათვის

მე-15-ე პარტკონფერენციის საკითხების დასამუშავებლად საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის საგიტ-საპროპ. განყოფილება საჭიროდ მიაჩნია გამოყენებულ იქნეს შემდეგი ლიტერატურა:

I მთავარი ლიტერატურა პარტკონფერენციის მუშაობის ყველა საკითხების შესახებ

1) სტალინი—მოხსენება და საბოლოო სიტყვა მე-15-ე პარტკონფერენციაზე (რამდენიმე გამოცემა სხვადასხვა სახელწოდებით); 2) რიკოვი—სამეურნეო მშენებლობა და მისი ამოცანები (რამდენიმე გამოცემად); 3) ბუხარინი—კაპიტალისტური სტაბილიზაცია და პროლეტარული რევოლიუცია. მოხსენება კომინტერნის აღმასკომის მე-7-ე პლენუმზე, შეიცავს საერთაშორისო მდგომარეობის ძირითად პრობლემების და ყველა იმ საკითხების უფრო ღრმა და ფართო ანალიზს, რომელიც ამხ. ბუხარინმა წამოაყენა მე-15-ე პარტკონფერენციაზე; 4) ტომსკი—პროფესიონალურ კავშირების ამოცანები, მოხსენება საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-15-ე კონფერენციაზე; 5) მე-15-ე პარტკონფერენციის რეზოლიუცია.

პოპულიარული ლიტერატურა

1) ბაუმანი—მე-15-ე პარტკონფერენციის შედეგები (სახ. გამომცემლობა); 2) ჟურნალი „სპუტნიკ აგიტატორა“ № 21—22 გვ. 3-43; იგივე მოიპოვება „მოსკოვსკი რაბოჩი“-ს ცალკე გამოცემად, შემდეგი სახელწოდებით: „მე-15-ე პარტკონფერენციის მასალები და რეზოლიუციები“.

II პარტკონფერენციის მუშაობის ცალკე საკითხების შესახებ

სოციალ-დემოკრატიული გადახრის შესახებ ჩვენს პარტიაში: 1) სტალინი—მოხსენება და საბოლოო სიტყვა მე-15-ე პარტკონფერენციაზე: რეზოლიუცია მოხსენების გამო,

პოპულიარული ლიტერატურა: 2) პორუკოვი—მენშევიკები, ოპოზიციონური ბლოკი და პარტია. სამი პლატფორმა კითხვა-პასუხის სახით „მოსკოვსკი რაბოჩი“-დან გვ. 67—76 (სასარგებლოა მთელი წიგნის წაკითხვა); 3) ნიკულიხინი—ფრაქციულობისა და პოლიტიკური დემოკრატიის შესახებ, („მოსკოვსკი რაბოჩი“-ს გამოცემა).

დამატებითი ლიტერატურა: 4) ა. სლეპკოვი—ოპოზიციონური მიმართულებანი საკავშირო კომპარტიის (ბ) შიგნით („მოსკოვსკი რაბოჩი“-დან); 5) იაროსლავსკი—დასრულებულად სწორე („პრიბოი“-დან); 6) ბუხარინი—ჩვენი რევოლიუციის ხასიათის და ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობის შესაძლებლობის შესახებ საბჭოთა კავშირში, („პრიბოი“-დან; „ბოლშევიკ“ № 19—20); 7) ალიპოვი—არის თუ არა ჩვენი სახელმწიფო პროლეტარული, ოპოზიციის შეცდომები ჩვენი სახელმწიფოს კლასიური ხასიათის საკითხში.

III. საერთაშორისო მდგომარეობის საკითხების შესახებ

მთავარი ლიტერატურა: 1) ბუხარინი—საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, მოხსენება მე-15-ე პარტკონფერენციაზე. უმჯობესია წაკითხულ იქნეს მისივე—კაპიტალისტური სტაბილიზაცია და პროლეტარული რევოლიუცია. მოხსენება კომინტერნის აღმასკომის მე-7-ე პლენუმზე. რეზოლიუცია მოხსენების გარშემო.

დამატებითი ლიტერატურა: 2) ნეიმანი—ულტრა მემარცხენე მენშევიზმი. არჩევს გადახრებს კომინტერნის აღმასკომის სხვადასხვა სექციებში (განსაკუთრებით გერმანიის პარტიაში). გამოცემა „მოსკოვსკი რაბოჩი“-ს; 3) იან-სტენი—კაპიტალიზმის სტაბილიზაცია და კლასიური ბრძოლის მახლობელი ამოცანები. „პრავდა“-ს და „ბედნოტა“-ს გამოცემა—გარჩეულია ოპოზიციის შეცდომები კაპიტალიზმის სტაბილიზაციის საკითხებში; 4) ვ. კირშონი—ემიგრაცია და ოპოზიცია. შეეხება თეთრი ემიგრაციის დამოკიდებულებას ჩვენი ოპოზიციისადმი; 5) ა. ლოზოვსკი—ინგლის-რუსეთის მთლიანობის კომიტეტი. „პრიბოი“-ს გამოცემა; 6) პარტია და კომინტერნი ძველი და ახალი ოპოზიციის შესახებ. რეზოლიუციების და დადგენილებების კრებული—სახელმწ. გამოცემა.

IV. სამეურნეო მშენებლობის საკითხების შესახებ

მთავარი ლიტერატურა: 1) რიკოვი—საბჭოთა კავშირის სამეურნეო მშენებლობა. რეზოლიუცია მოხსენების გამო; 2) კრუმინი—მეურნეობის და ოპოზიციის ძირითადი საკითხები. ჩვენი მიღწევები და ოპოზიციის ეკონომიური პლატფორმის კრიტიკა. „ეკონომიჩესკაია ჟიზნ“-ის გამოც. — გვ. 83).

პოპულიარული ლიტერატურა: 3) ვასილიევი — ოპოზიციური ბლოკის ეკონომიური პლატფორმა. „მოსკოვსკი რაბოჩი“-ის გამოც.; 4) ლავრენტიევი — ფაქტები და ციფრები ოპოზიციის წინააღმდეგ „მოსკოვსკი რაბოჩი“-ს გამოც. გვ. 44; 5) ხ. კანტარი — ინდუსტრიალიზაციის გზები და ახალი ოპოზიცია „მოსკოვსკი რაბოჩი“-ს გამოც.; 6) ა. ჩეკინი (ვ. იაროცკი) — რა სთქვა მე-XV-ე პარტკონფერენციამ პროფკავშირებზე; 7) ჟურ. „სპუტნიკ—აგიტატორა — სპეციალური № ა. - წ. 31 ოქტომბერი. შეეხება პარტიის ეკონომიური პოლიტიკის საკითხებს. განსაკუთრებით კატკოვის, სტრუმილინის, რამოლსკის, გარდეევის, ოსიპოვის წერილები—„მოსკოვსკი რაბოჩი“-ის გამოცემა.

დამატებითი ლიტერატურა: 8) ე. კვირინგი. სად მიდის სახელმ. მრეწ. შემოსავალი გამოც. „პრიბოი“; 9) სტრელცოვი — დემაგოგიის წინააღმდეგ — სამუშაო ხელფასის პოლიტიკა და ოპოზიცია. სახელმ. გამოც.

სასოფლო მეურნეობის საკითხების შესახებ

1. იაკოვლევი — სასოფლო მეურნეობა და ინდუსტრიალიზაცია. (კომუნისტური აკადემიის გამოცემა); 2. იარსკი — მრეწველობა და სოფელი („პრიბოი“-ს გამოც.).

პარტიის ეკონომიური პოლიტიკის საკითხზე შის და ოპოზიციური ბლოკის ეკონომიური პლატფორმის უფრო დაწვრილებით გასაცნობად კარგი მასალაა: 1) „ოპოზიციის ეკონომიური პლატფორმის შესახებ“ კრებული. (სახელ. გამომც.). კრებულში შედის ამხ. ბუხარინის, მარეცკის, სტაროვის და სხვების წერილები, აგრეთვე ოპოზიციონერების ამხ. პრეობრაჟენსკისა და ილინის წერილები. კამათი პრეობრაჟენსკის მოხსენების გარშემო კომუნისტურ აკადემიაში, 2) ვ. მილიუტინი — უახლოესი ეკონომიური ამოცანები (კომუნისტური აკადემიის გამოცემა). კამათი ვ. მილიუტინის მოხსენების გარშემო. („კომუნისტური აკადემიის მოამბე“ № 16—17) სმილგას, რადეკის და სხვების გამოსვლები.

ქართულ ენაზე: 1) სტალინი — მოხსენება და საბოლოო სიტყვა მე-XV-ე პარტკონფერენციაზე; 2) მე-XV-ე პარტკონფერენციის რეზოლიუციები; 3) ბუხარინი — ოპოზიციის ეკონომიური პლატფორმა; 4) ფ. მახარაძე — „პარტია და ოპოზიცია“; 5) „ზინოვიევი და კამენევი 1917 წელში“.

გაზეთის მასალა: 1) რიკოვის მოხსენება —„საბჭოთა კავშირის სამეურნეო მშენებლობის შესახებ“. („კომუნისტი“ № 249); 2) ბუხარინის მოხსენება — „საერთაშორისო მდგომარეობაზე“ („კომუნისტი“ № 246); 3) ტომსკის მოხსენება—„პროფკავშირების მუშაობის შედეგები და მორიგი ამოცანები“ („კომუნისტი“ № 250); 4) სტალინის მოხსენება და საბოლოო სიტყვა („კომუნისტი“ № 254.259); 5) მოლოტოვი—„სიტყვა მე-XV-ე პარტკონფერენციაზე“ („კომუნისტი“ № 256); 6) ზინოვიევის, ტროცკის, ბუხარინის სიტყვები („კომუნისტი“ № 254).

თბილისის კომიტეტის მდივანი—პარიბუკოვი.

საგიტ. - საპრ. განყ. გამგის მოადგილე—მახარაძე.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

სამომხმარებლო კოოპერაცია

[illegible], 20 დეკემბერი. დამთავრდა ოზურგეთის რაიონის ერთიან მომხმარებელ საზოგადოებათა რწმუნებულების საერთო წლიური კრება.

გეგმის მიხედვით საბრუნავ თანხად გათვალისწინებულია 550.000 მან.

საანგარიშო წლის ბოლოში დარჩენილა წმინდა მოგება 16.000 მან. კრებამ გაანაწილა შემდეგნაირად: ძირითად ფონდში გადირიცხულია 60 პროცენტი, სათადარიგო კაპიტალში 30 პროცენტი, კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდში 5 პროცენტი და მოსახლეობის ჩასაბმელად კოოპერატივებში—5 პროცენტი. (ადს).

ხანძარი ტყიბულში

ტყიბული, 20 დეკემბერი. ტყიბულის ქვანახშირის რაიონში, ბოგირის ყოფილ უბანში დაიწვა სახურავი. მატორი, დაზგა, დგუში და შტანგები გადარჩენილ იქნა. ხანძარი გამოწვეული იყო ცეცხლთან გაუფრთხილებლობის გამო. (ადს).

ჩაის პლანტაციები

ახალ-სენაკი, 20 დეკემბერი. სამაზრო აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა „საქართველოს ჩაი"-ს საზოგადოების წინაშე, ჩაის პლანტაციების მოედნის გასადიდებლად 30000 მანეთის გადადების შესახებ. განზრახულია მოედნის გადიდება 150 დესეტინამდე. (ადს).

აჭარისტანი

ლენინაკანის დასახმარებლად

ბათომი, 20 დეკემბერი. 18 დეკემბერს ბათომიდან ლენინაკანში გაიგზავნა 484 ვაგონი ტყე-ტყის მასალა. (ადს).

ზღვის ღორები

ბათომი, 20 დეკემბერი. აჭარისტანის გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტმა შეადგინა თევზ-მონადირეთა არტელი ზღვის ღორების დასაჭერად. ბათომში არდაგანის ყაზარმებთან არტელმა მოაწყო ზღვის ღორების ქონის გადამამუშავებელი ქარხანა. (ადს).

წერილები

გაზეთის ხმა-მაღალი კითხვა

წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლაში გაზეთს დიდი მნიშვნელობა აქვს. ბევრ წერა-კითხვის მცირე მცოდნეს შეუსწავლია ანბანი გაზეთის საშუალებით. ბევრს გაუსწორებია ენა გაზეთზე. ასე რომ პოლიტიკურ მნიშვნელობას რომ თავი დავანებოთ, გაზეთს უდიდესი კულტურული მნიშვნელობაც აქვს მოსახლეობისათვის.

როგორ შეიძლება, რომ გაზეთის ამგვარი მნიშვნელობა ცხადვყოთ მოსახლეობისათვის და წერა-კითხვის უცოდინარი ან ცუდათ მცოდნე მეიზიაროთ გაზეთთან? აქ გაზეთის ხმამაღალ კითხვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ბევრ სანიმუშო კოხ-სამკითხველოებში ამას დიდი ყურადღება ექცევა, მაგრამ არის ისეთებიც, სადაც ეს საკითხი დავიწყებასაა მიცემული. აქ ვერავინ გაიმართლებს თავს იმით, რომ თვითონ გლეხკაცობას არ სურს გაზეთში წაკითხულის მოსმენა. პირიქით, გლეხი ყოველთვის იშვიათ კეთილსინდისიერობას იჩენს და ის განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობა გაზეთს. საჭიროა მხოლოდ სურვილი კოხ-სამკითხველოების, კედლის გაზეთების რედკოლეგიების და სოფლის სხვა კულტურულ მუშაკის მხრივ, რომ გაზეთის ხმა-მაღალი კითხვა სოფლის მოსახლეობის პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებისთვის ერთ-ერთ ძლიერ საშუალებათ გადიქცეს.

გაზეთის ხმა-მაღლა კითხვისათვის, რომ მან ერთიანი მასიური კულტურული მუშაობის სახე მიიღოს, საჭიროა წინასწარი ორგანიზაციული სამზადისის ჩატარება. ჯერ ერთი თვითონ მკითხველის შესახებ. კოხ-სამკითხველოს საბჭო, ან კედლის გაზეთის რედკოლეგია უნდა ცდილობდეს, რომ წამკითხველი იყოს არა მარტო უბრალო წამკითხველი, არამედ წაკითხულის სწორად და დამაკმაყოფილებლად განმმარტებელი. ეს სოფლის პირობებში არც ისე ადვილი საქმეა. ამიტომ ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

გარდა ამისა საჭიროა გაზეთის კითხვა ისეთ დროს და ისეთ ადგილას ხდებოდეს, სადაც მეტი მსმენელი მოიყრის თავს. ამიტომ სრულიად საჭირო არაა, რომ გაზეთის კითხვა ერთგვარ ვალდებულებათ გადაიქცეს და ყოველ დღე, განსაზღვრულ ადგილას და დროს იმართებოდეს ის. თუ ეს მოსახერხებელია, რა თქმა უნდა, ამის წინააღმდეგ არაფერი ითქმის. მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს, როგორც დაკვირვებიდან ვიცით, არ ხერხდება. ამიტომ საჭიროა გაზეთის კითხვა ხდებოდეს ყველგან და ყოველთვის, სადაც კი შეიკრიბება გლეხკაცობა. ყრილობის, საბჭოს სხდომების, კოოპერატივის, პარტუჯრედის, გლეხკომების და სხვა ორგანიზაციების კრებების გახსნის წინ და სხვ. ერთი სიტყვით, ყოველ ცალკე შემთხვევაში თვითონ პრაქტიკა უკარნახებს, როგორ და რა სახით უნდა სწარმოებდეს გაზეთის ხმა-მაღალი კითხვა.

ამ უაღრესი მნიშვნელობის კულტურულ და პოლიტიკურ საკითხს დღემდი სათანადო ყურადღება არ ექცევა. ასეთ მდგომარეობას, რაც შეიძლება დაუყოვნებლივ, ბოლო უნდა მოეღოს.

ტყიბულელი.

„ვაშლმა" ნელ-ნელა გაგვიმართლა

(ორპირის თ., ქუთ. მ.)

სულ რამოდენიმე თვეა, რაც არსებობს ორპირის მეწველთა ამხანაგობა „ვაშლი".

ამ მოკლე ხნის განმავლობაში ყველასათვის ნათელი შეიქნა, რომ „ვაშლი"-ს არსებობას ამ თემში ნიადაგი აქვს.

ამხანაგობამ შესძლო ღირსეულათ გამოეყენებინა ცეკავშირის მიერ ახლად გადმოცემული საცდელ საჩვენებელი მინდორი. ამხანაგობას არ ჰქონდა თავისი საკუთარი [illegible] და კორსენის თავის საკუთრებო ამხანაგობის დახმარებით დამზადებულ [illegible] 180.000 ძირამდე ნამყენი ვაზი. 14.000 ძირამდე კულტურული ვაზის ხეხილ ნამყენი.

სანერგეში მოწყობილია პატარა ყოველნაირი სანერგის მთელი მიდამო, რომელიც 7 დესეტინას შეიცავს გადამუშავებული იქნა. ამხანაგობამ შესძლო ხილის საშრობი მანქანის შეძენა, რომელსაც ამ რაიონში დიდი მნიშვნელობა აქვს.

გლეხები დაინტერესდენ ამით და ბევრს აღძრა სურვილი შეიძინოს ნაწილი მანქანისა: სათლელი დანები და გოგირდის საბოლებელი ყუთები—რომლის საშუალებით მზადდება უფრო კარგი ღირსების ჩირი. ამჟამად მანქანის მუშაობა შეჩერებულია, ვინაიდან სათანადო შენობა არ არის, მაგრამ ამ მხრითაც ამხანაგობა ერთი თვის განმავლობაში უზრუნველ ყოფილი იქნება—სახლი შეძენილია, რომლის აგება მალე დამთავრდება.

ამხანაგობამ „ზარბოსტანკავშირი"-ს საშუალებით ხელშეკრულება დადვა ლენინგრადის სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირთან ჩირის დამზადების შესახებ, რომელიც პირნათლათ შესრულდა. რაც თავის ფუთი გამხმარი ვაშლის ჩირი ჩააბარა ჩვენმა ამხ.-მამ ლენინგრადის კოოპერაციის კავშირს. ჩირს გლეხებიდან იძენდენ ფუთს 3 მ.—3—50-დე იმ დროს, როდესაც აქამდე ვაჭრები ორ მანეთსაც ვერ იძლეოდნენ. შეკვეთის შესრულების შემდეგ ამხანაგობა იძულებულია შეიძინოს ჩირის შესყიდვა. რაკი გამოიწვია ფასების დაცემა. ამჟამად 2—2—50 ფასობს ჩირი, ისიც ქუთაისში ჩატანილი. ზოგიერთი გლეხები, რომლებმაც ამხანაგობას დროზე არ ჩააბარეს ჩირი, საგონებელში ჩავარდენ—მაგრამ ამხანაგობამ აქაც მოუპოვა მათ გამოსავალი. ამჟამად ჩირს ამზადებენ—იძენენ მხოლოდ საკომისიოდ, რომელიც გატანილ იქნება რუსეთის ბაზარზე. გლეხები სიხარულით შეხვდენ ამას.

მუშა.

მუშათა ცხოვრება

მუშკორის არჩევის შესახებ

მუშკორის არჩევა არ შეიძლება. ვინც იცნობს მუშკორთა მოძრაობას, ვისაც თვალყური უდევნებია მისი წარმოშობისა და განვითარებისთვის ეს მისთვის ნათელია. იყო დრო, როდესაც მუშკორს ირჩევდენ მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე, სწერდენ ოქმს, რომელშიც შეჰქონდათ ამორჩეულ მუშკორის სახელი და გვარი და შემდეგ ოქმს უგზავნიდენ რედაქციებს. რედაქციები თავის მხრივ მანდატებს აძლევდენ ამორჩეულ მუშკორებს. ამის შემდეგ მუშკორს უფლება ეძლეოდა „შესდგომოდა თავის მოვალეობის" ასრულებას—მიეწოდებია კორესპონდენციები რედაქციისათვის.

ეს იყო მუშკორთა მოძრაობის პირველ ხანებში. ამ დროს ეს მოძრაობა ის იყო ფეხს იკიდებდა და გამოდიოდა საბჭოთა საზოგადოებრივ ასპარეზზე. ამიტომ იყო, რომ მაშინ, მუშკორთა მოძრაობაში არა ერთ და ორ შეცდომას ჰქონდა ადგილი. მაგრამ ეს შეცდომები თანდათანობით სწორდებოდა და მოძრაობა სწორ ხაზს ნაპოულობდა.

წინად ისიც კი ხდებოდა, რომ მუშკორის წერილებს კანტროლს უწევდა ბიურო ან ადმინისტრაცია, და ამნაირად „განბანილი და განწმენდილ" წერილს უგზავნიდენ შემდეგ რედაქციას. მაგრამ მის შემდეგ მუშკორთა მოძრაობამ რამოდენიმე საფეხური გაიარა. ძიების ხანი დამთავრდა. შეცდომები, რომელთაც ადგილი ჰქონდა პირველ საფეხურში, თანდათან გამოსწორდა.

მუშკორთა მოძრაობამ ასე თუ ისე ჩამოყალიბებული სახე მიიღო.

მუშკორმა იცის დღეს რა უნდა აკეთოს, რაზე სწეროს, რას შეეხოს. ესიც იცის მუშკორმა, რომ მას კანტროლს ვერ გაუწევს ვერც ბიურო, ვერც ადმინისტრაცია. მუშკორის კანტროლია საბჭოთა საზოგადოებრივი აზრი და მხოლოდ მის წინაშეა ის პასუხისმგებელი. მუშკორებისა და საერთოდ მუშებისათვის ისიც ცნობილია, რომ მუშკორის არჩევა არ შეიძლება. მუშკორად გახდომა შეუძლია ყოველ მუშას და მოსამსახურეს და ასევე თავისუფლად შეუძლია მას მუშკორობისათვის თავის დანებება.

მაგრამ აღსანიშნავია, რომ ძველ შეცდომებს ზოგან კიდევ აქვს ადგილი. მუშკორების არჩევა კიდევ ხდება. მოვიყვანოთ მაგალითი. ამ დღეებში ჩვენ მივიღეთ ფოთის მილიციის თანამშრომელთა საერთო კრების ოქმიდან ამონაწერი, სადაც მოთავსებულია იმ ამხანაგების სახელი და გვარი, რომელთაც საერთო კრება ირჩევს გაზ. „კომუნისტის" მუშკორებად. მაგრამ რაც ყველაზე უფრო საყურადღებო და ხაზგასასმელია ეს ის, რომ ოქმში აღნიშნულია არა მარტო სახელი და გვარი მომავალი მუშკორის, არამედ ფსევდონიმიც. ასე რომ ფოთის მილიციის თანამშრომლებმა — დაწყებული მილიციის უფროსით და გათავებული მილიციონერით—იციან, ვინ არის მილიციაში მუშკორი და რა ფსევდონიმით სწერს ის. აბა რომელი ზევით დასახელებული მუშკორთაგანი გაბედავს ამის შემდეგ ფოთის მილიციის ნაკლულევანებებზე სწეროს, ან თუ გაბედა ხომ მაშინვე ჩააჩუმებენ.

მუშკორის არჩევა ყოვლად დაუშვებელია. გაზეთისათვის კორესპონდენციის მიწოდება შეუძლია ყოველ მუშას და მოსამსახურეს, ვისაც ეს ეხერხება. მუშკორმა უნდა სწეროს როგორც მიღწევებზე. ისე ნაკლულევანებებზე. კორესპონდენცია ნამდვილ ფაქტებზე უნდა ემყარებოდეს.

ლ.

„ნადირობა"

ვერ იქნა და ზოგიერთ მატარებლის რევიზორების გასწორება, ისინი ნადირობენ საწყალ მუშა-გლეხებზე, სარგებლობენ მათი გულუბრყვილობით და უცოდინარობით და თუ ჩაიგდებს ხელში უკანასკნელ გროშს ართმევდენ.

მაგალითისათვის მოვიყვან შემდეგი ფაქტი: 14 დეკემბერს სადგურ მუკუზნიდან მიდიოდა მთავარ სახელოსნოსი მუშა, გვარად გერასიმე აკოფაშვილი, რომელსაც სასურსათო ბილეთით მოჰქონდა თავისთვის ორი ვედრო ღვინო, რომელიც არ აღემატებოდა წონით 23 კილოგრამს. მაშინ, როდესაც სასურსათო ბილეთით ყველას შეუძლია თავისუფლად იქონიოს ბარგი 32 კილოგრამამდე, მიუხედავათ ამისა, მუშა—აკოფაშვილს დაუკავეს ტიკი და გადაახდევინეს 4 მან. 40 კაპ. ქვითარის № 177336 ეს მხოლოდ მუკუზნის სადგურიდან გურჯაანის სადგურამდე. თუმცა კარგია რკინისგზის სალაროსთვის მეტი გროშების შესვლა, მაგრამ ყოველივე გროში უნდა ჰქონდეს კანონიერი გზით მიმოსვლა.

რაც შეეხება რევიზორი მოქ. სხირტლაძეს მოქმედებას, რომელმაც უკანონოდ დააჯარიმა მუშა აკოფაშვილი, ეს გადაჭარბებაა თავისი მოვალეობის. რასაც უნდა მიექცეს დიდი ყურადღება საშემოსავლო უფროსის ამხ. ირემაძის მიერ. რომ ერთხელ და სამუდამოთ აუკრძალოს ამნაირ „მონადირეებს" მუშებზე და გლეხებზე და საზოგადოთ ყველა მოქალაქეებზე გალაშქრება.

მუშკორი ძია—ლევან.

კინო - ლექცია ქარხნებში

16 დეკემბერს კოლოფების ქარხანა „ინტერნაციონალში" მოეწყო ლექცია კინო სურათით, „ქუნთრუშის შესახებ.

დასწრო საკმაო რიცხვი მუშებისა.

ლექცია წაიკითხა ქალაქის ჯანმრთელობის განყ. ექიმმა ლომთათიძემ, ქართულ და რუსულ ენაზე.

მუშები დიდის ცნობის მოყვარეობით უსმენდნენ ლექციას, ვინაიდან ექ. ლომთათიძე ჰკაფიოდ და გარკვევით უხსნიდა მათ. ავათმყოფობის გამომწვევ მიზეზებს და მის წინააღმდეგ მიმართულ საშუალებებს.

ბოლოს ექიმი შეეხო იმას, თუ რა ზომებს ამართებენ ავათმყოფობის მოსარჩენად.

ლომთათიძემ მოიყვანა აგრეთვე სტატისტიკური ცნობები, თუ რამ, როგორ არის გავრცელებული ქუნთრუშა.

ლექციის წაკითხვის შემდეგ ნაჩვენები იქნა კინო-სურათი 3 ნაწილად ქუნთრუშის შესახებ.

სურათის მსვლელობის დროს ექიმი ლორთქიფანიძე ხმა მაღლა კითხულობდა რუსულ წარწერებს, რომელსაც სთარგმნიდა ქართულად.

კინო-სურათში გამუქებული იყო, თუ როგორ ვრცელდება ქუნთრუშა კარგად მყოფ ადამიანებზე, უმეტესად ბავშვებზე.

მუშური მადლობა — ექიმ ლომთათიძეს.

თით დიდად კმაყოფილი დარჩენ.

მუშური მადლობა — ექიმ ლორთქიფანიძეს.

სასურველია ასეთი კინო-ლექციები მოეწყოს ყველა ფაბრიკა-ქარხნებში.

მუშკორი ვაშო.

კულტკომისია მუშაობს

ამ დღეებში დამტკიცდა ა.-კ. რკინისგზის სამმართველოს გაერთიანებულ ადგილკომთან არსებულ კულტკომისიის სამი თვის მუშაობის გეგმა — დეკემბრის, იანვრის და თებერვლის. წითელ კუთხისათვის შენობის შეძენა, მომღერალთა ჯგუფის შექმნა, სამკითხველოების მოწყობა.

თვეში ერთხელ უნდა მოეწყოს კითხვა-პასუხის საღამოები; მოეწყოს სალიტერატურო საღამოები — თვეში ერთხელ; ყოველ თვიურად წაკითხულ უნდა იქნეს ლექციები; მოეწყოს ექსკურსიები: რევოლიუციის მუზეუმში, ანატომიურ მუზეუმში, ფიზიკურ ობსერვატორიაში და სახელმწიფო კინო მრეწველობაში. რკინისგზის მუშა მოსამსახურეები მიმაგრებული უნდა იქნენ ყველა კლუბებთან. დელეგატებს დაევალა სხვადასხვა გაზეთების გავრცელება.

კულტკომისიამ შეთანხმებული მუშაობას უნდა აწარმოოს საუბნო სექციასთან.

მ. ცისინათელა.

მუშათა წერილებიდან

— მოსპეთ უბილეთო მგზავრობა. თბილისსა და ნავთლუღს შორის მიმოდის მუშა-მატარებელი № 13-14. რომელიც გაჭედილი უბილეთო და უსაქმო მგზავრებით.

მათ მთავარი კონდუქტორი არავითარ ყურადღებას არ აქცევს, რის გამო რკინისგზას ზარალი მოსდის.

რკ. გზის ადმინისტრაციამ აქაც უნდა მოსპოს უბილეთოთ მგზავრობა.

მუშა: მეფარ-ლი.

— შეაკეთეთ ეს ქუჩა. სანაპირო ქუჩა ძალზე გაფუჭებულია. ამ ქუჩაზე უმთავრესად მუშა-მოსამსახურეებს უხდებათ სიარული. აღმასკომმა უნდა შეაკეთოს ეს ქუჩა.

ს. მეუნარგია.

მუშათა ქრონიკა

— სალიკვიდაციო სკოლებში. საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კულტ-განყოფილება ამჟამათ იკვლევს წერა-კითხვის მცირე მცოდნეთა და უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლების მუშაობას. ყველა კავშირების ცენტრალურ გამგეობებს დაევალა, არა უგვიანეს ა. წ. 20 დეკემბრისა დაამთავრონ სალიკვიდაციო სკოლების მოწყობა და ა. წ. 22 დეკემბრის უნდა წარუდგინონ ს. პ. კ. ს. კულტ-განყოფილებას დაწვრილებითი ცნობები: რამდენი იყო წერა-კითხვის მცირე მცოდნენი და რამდენი უცოდინარი და აქედან რამდენს მიეცა სალიკვიდაციო სკოლებში შესვლის საშუალება.

— რა დაგვანახა გამოკვლევამ. სამთო-მადნო კავშირის ცენტრალურ გამგეობამ უკვე დაამთავრა მეხრეის და სახელმწიფო ქარხანა „შრომა"-ს ქარხკომების გამოკვლევა. გამოკვლევამ აღმოაჩინა მთავარი ნაკლოვანებები, მაგალითად: სხდომების თავის დროზე მოუწვევლობა, წრეები არ არის ჩამოყალიბებული, კონფლიქტების დაუგიანებითი გარჩევა, საკავშირო თანხების ფონდებათ დაუნაწილებლობა, ფინანსიურ ანგარიშების არა სწორად წარმოება და სხვა. შემჩნეულ დეფექტების გამოსასწორებლად სამთამადნო კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ წინადადება მისცა ადგილკომების საწრაფოთ მოსპონ ყველა ეს ნაკლულევანება.

მოსახლეობის აღწერა

საბჭოთა კავშირში

მოსკოვი, 20 დეკემბერი. ხაბაროვსკიდან, ლენინგრადიდან, ჩერნიგოვიდან, ვინიციდან და ჟიტომირიდან გრძელდება ცნობების მიღება აღწერის წარმატებით მსვლელობის შესახებ. (ადს).

აღწერის შედეგები თბილისში

(17, 18 და 19 დეკემბერი)

თბილისში წარმოებულ აღწერის სამი დღის (17, 18 და 19 დეკ.) შედეგი ასეთია:

17 დეკემბერს სამუშაოზე გასულა 533 აღმწერი. დღის განმავლობაში მათ შეუვსიათ 18.252 პირადობის, 4.863 საოჯახო და 769 სახლკარის ბარათები.

18 დეკემბერს სამუშაოზე გასულა 541 კაცი. დღის განმავლობაში შეუვსიათ 31.674 პირადობის, 9.304 საოჯახო და 1283 სახლკარის ბარათები.

19 დეკემბერს სამუშაოთ გავიდა 537 აღმწერელი. მათ შეავსეს: 37.234 პირადობის, 11.131 საოჯახო და 1.692 სახლკარის ბარათები.

გამსახლებში, საავადმყოფოებში და სხვა დახურულ დაწესებულებებში 17 დეკემბერს შეივსო საპირადო ბარათი 1076 ცალი და საოჯახო ბარათი—38 ცალი. 18 დეკემბერს შეივსო 914 პირადობის და 27 საოჯახო ბარათები. 19 დეკემბერს შეივსო 447 პირადობის და 27 საოჯახო ბარათები.

სულ 17 დეკემბერს შევსებულ იქნა (დახურულ დაწესებულებების, გამსახლების და საავადმყოფოების ჩათვლით) 19.328 პირადობის, 4.901 საოჯახო და 769 სახლკარის ბარათები. 18 დეკემბერს — 32.588 პირადობის, 9.331 საოჯახო და 1282 სახლკარის ბარათები. 19 დეკემბერს კი შეივსო — 37.681 პირადობის, 11.158 საოჯახო და 1.692 სახლკარის ბარათები.

ამნაირათ სამი დღის განმავლობაში თბილისში აღწერაში გატარდა 89.597 პიროვნება, 25.390 ოჯახი და 3.743 სახლკარის მფლობელობა (ფორმულიარი № 3).

თბილისის სააღწერო უბნების ხელმძღვანელთა თათბირი

კვირას საღამოს 7 საათზე თბილისის აღმასკომის სტატისტიკური განყოფილების ინიციატივით ამხ. შ. გომართელის თავმჯდომარეობით მოწვეული იყო თბილისის სააღწერო უბნების ხელმძღვანელთა თათბირი.

თათბირის მიზანი იყო სააღწერო მუშაობის მიმდინარეობის შესწავლა და სათანადო ზომების გამომუშავება აღწერის კარგათ ჩასატარებლათ.

თათბირზე მოხსენებებით გამოვიდენ სააღწერო უბნების ხელმძღვანელები, რომელთაც აღნიშნეს, რომ ყველა უბნებში რეგისტრატორები თავის სიმაღლეზე დგანან. მოქალაქენი აღმწერლებს დიდის თანაგრძნობით ეკიდებიან და ურცლათ აწვდიან ყოველგვარ ცნობებს.

თათბირმა დაავალა, ამხ. ფირაძეს შემოიაროს სააღწერო უბნები და გამოარკვიოს აღწერის ვადაში ჩატარების შესაძლებლობა.

აღწერის ქრონიკა

ქუთაისში

ქუთაისის მაზრაში არსებულ ქალაქებში უკვე დამთავრდა ღამის გასათევ სახლების, სასტუმროების, საავადმყოფოების და დახურულ დაწესებულებების აღწერა.

ყველა სააღწერო უბნები დაკავშირებულია ქუთაისთან ტელეფონით.

თუშეთში

თელავიდან მოსული დეპეშის თანახმად, თელავში აღმწერელთაგან მოეწყო სპეციალური ექსპედიცია მთა თუშეთში შესასვლელად. ექსპედიცია უკვე გამგზავრდა დანიშნულების ადგილას და 20 დეკემბერს შეუდგა აღწერის ჩატარებას.

თელავის მაზრაში

თელავის მაზრის ყველა თემებიდან ატყობინებენ სამაზრო სააღწერო ბიუროს, რომ სოფლებში აღწერა დაუბრკოლებლად მიმდინარეობს, მოსახლეობა თანაგრძნობით ეკიდება აღმწერლებს; ამინდი ხელის შემწყობია.

შუამდგომლობა

აღწერის განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა ა.-კ. რკინის გზათა სამმართველოს წინაშე, აღმოუჩინოს ყოველგვარი დახმარება აღწერის მუშაკებს რკინის გზებზე მოგზაურობის დროს და არ ჩამოართვან სამგზავრო ბილეთები საერთო წესით, რადგანაც მათთვის ეს საჭიროება ანგარიშების გასწორებისას.

აჭარისტანში

აღწერა მთელ აჭარისტანში წარმატებით მიმდინარეობს. გლეხები აღმწერლებს ნდობით ეკიდებიან. ამინდი კარგია. ზემო აჭარისტანში აღწერას ხელს უშლის თოვლი.

საგარეჯოს რაიონში

საგარეჯოს რაიონში აღწერა დიდის ხალისით მიმდინარეობს. სააღწერო პერსონალში უმთავრესად შედიან ადგილობრივი მასწავლებლები.

აღწერის დაწყებამდე აღმწერლებში სწარმოებდა ინსტრუქტორული მეცადინეობა და აღწერასთან დაკავშირებული საკითხების პრაქტიკულათ დამუშავება.

ლეჩხუმში

ლეჩხუმის სამაზრო - სააღწერო ბიურო დეპეშით იტყობინება, რომ აღწერა მთელ მაზრაში დაიწყო 17 დეკემბერს და წარმატებით მიმდინარეობს.

ახალციხის მაზრაში

ახალციხიდან იტყობინებიან: მაზრის ყველა თემებიდან მოდის ცნობები, აღწერის ბრწყინვალეთ ჩატარების შესახებ.

სამაზრო სტატბიუროს წარმომადგენლები გაემგზავრენ სააღწერო უბნების ჩამოსავლელათ.

ამინდი იმერეთში

სააღწერო განყოფილებამ ქუთაისიდან მიიღო დეპეშა, სადაც იტყობინებიან, რომ 19 დეკემბრიდან ქუთაისის ყველა რაიონებში გამოიდარა და აღწერას აღარაფერი აბრკოლებს. კარგი დარები დაიჭირა აგრეთვე სენაკის მაზრაში.

ობსერვატორიის ცნობა

სტატ. სამმართველოს აღწერის განყოფილებამ მოსთხოვა ცნობა გეო-ფიზიკურ ობსერვატორიას, სისტემატიურათ აცნობოს მას ამინდის მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ.

20 დეკემბრისათვის ობსერვატორიის ცნობით, მთელ რესპუბლიკაში კარგი ამინდი იქნება.

ქალაქის საბჭოს სექციებში

კომუნალური სექცია

გუშინ შესდგა მხოლოდ კომუნალური სექციის მორიგი სხდომა, რომელზედაც თბილისის ქალაქის სასაკლაოს მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. პოკერიამ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 1925 — 26 წ. განმავლობაში სასაკლაოს ფინანსიურ - ეკონომიური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. საანგარიშო წლის განმავლობაში დაიკლა სულ 159.917 მსხვილ და წვრილ ფეხი საქონელი ე. ი. 1924—25 წელთან შედარებით [illegible] 6 პროცენტით მოუმატებია. ამავე ხნის განმავლობაში სასაკლაოს ჰქონია შემოსავალი 424.115 მ., ხოლო გასავალი 328.190 მ. წმინდა მოგება უდრის 97.919 მან. საანგარიშო წლის განმავლობაში სასაკლაოს გამგეობას მოუწყვია ღამის გასათევი ბინები გლეხებისათვის და დასაბინავებელი ფარეხები მორეკილი საქონლისათვის. მთელი წლის განმავლობაში ფარეხში ღამე გაუთევია 35.000 სულ საქონელს. ფარეხს დაუტოვებია 4.000 მანეთი წმინდა მოგება. სასაკლაოს განკარგულებაში ყოფილა აგრეთვე ყინულის ქარხანა, რომელსაც საანგარიშო წლის განმავლობაში დაუმზადებია 66.888 ფუთი ყინული. ქარხანას დაუტოვებია 17.321 მანეთი წმინდა შემოსავალი. სასაკლაოს უწყებაში მყოფი 2 ქარხანა საექსპლოატაციოდ გადაცემული აქვს ერთი „ზაკუტილირიის" 1.500 მანეთამდე იჯარით თვეში, მეორე „სოფლის კავშირს" 750 მანეთად თვეში. სასაკლაო აწარმოებს ხორცის გადაზიდვას ვაგონებით. ამ ოპერაციამ დასტოვა 11.517 მანეთი მოგება. სასაკლაოს განკარგულებაშია აგრეთვე ელსადგური და საუტილიზაციო ქარხანა, რომელმაც დასტოვა 2.505 მანეთი წმინდა შემოსავალი. მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია, რომ სასაკლაოს გადაეცეს აგრეთვე მიკროსკოპიული სადგურები, რომელიც წინად მას ეკუთვნოდა, და ეხლა აღმასკომის საადგილ - მამულო განყოფილების ხელშია. სასაკლაოს კლიენტებს წარმოადგენენ კოოპერატიული დაწესებულებები, „მიასოტორგი" და კერძო ვაჭრები. აქედან მიასოტორგისა და კოოპერატიული დაწესებულების შეკვეთები შეადგენენ 43 პროცენტს, ხოლო კერძო პირების 47 პროცენტს. სასაკლაო აწარმოებს ბრძოლას საქონლის ფარულ დაკვლასთან, რისთვისაც მოწყობილია მოხალისეთა რაზმები. სასაკლაოს შემოღებული აქვს აგრეთვე საკლავ საქონლის დაზღვევა, რომლისთვისაც შექმნილია სპეციალური ფონდი.

აზრთა გაცვლა - გამოცვლის შემდეგ სექციამ სასაკლაოს მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო.

ბრძოლა

უბედურ შემთხვევებთან

უკანასკნელ ხანებში ავტომობილის კატასტროფამ ოსეთის სამხედრო გზატკეცილზე, რომელიც აერთებს რაჭა - ლეჩხუმს ქალაქ ქუთაისთან, სისტემატიური ხასიათი მიიღო. გასულ წელს მოხდა რამოდენიმე უბედური შემთხვევა, ხოლო მიმდინარე წლის აგვისტოდან ადგილი ჰქონდა კატასტროფის ოთხ შემთხვევას. ორი კატასტროფა დამთავრდა ადამიანთა მსხვერპლით და მანქანების დამსხვრევით. კატასტროფების მიზეზის გამოსარკვევად საექციო საზოგადოება „ზაკავტოტორგმა" დანიშნა სპეციალური კომისია, რომელმაც უკვე დაამთავრა თავისი მუშაობა. კომისიის დასკვნით კატასტროფების მთავარი მიზეზი არის გზატკეცილის ცუდი მდგომარეობა, განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც გზატკეცილი მიხვეულ-მოხვეულია. გარდა ამისა ხიდების უმრავლესობა დაძველებულია და ვერ იტანს მძიმე ავტომობილების გავლას. აგრეთვე ბევრ ალაგას გზა არ არის ხრეშით და ხორათი დატკეპნილი. ყველა ეს გარემოება აფრხებს ავტო-მანქანების უხიფათო მოგზაურობას.

კატასტროფების მეორე მიზეზათ უნდა ჩაითვალოს ზოგიერთი შოფერების უცოდინარობა და დაუდევრობა. კომისიამ მოახდინა შოფერების გამოკვლევა. აღმოჩნდა, რომ 24 შოფერიდან შვიდი შეუფერებელია ამ თანამდებობის შესასრულებლად. გამოცდის შემდეგ შოფერების მართვის უფლება მიეცა 17 შოფერს. დანარჩენ შვიდს ასეთი უფლება ჩამოერთვათ. სპეციალური ექსპერტების მიერ მოხდა აგრეთვე მანქანების გამოკვლევა. ორი მანქანის გარდა, ყველა მანქანები აღმოჩნდა გამოსადეგი ექსპლოატაციისათვის ორი მანქანა მოხსნილ იქნა სამუშაოდან.

სას.-სამ. საზოგადოებაში

19 დეკემბერს, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში შესდგება თბილისის სასოფლო-მეურნეობის დარგში მომუშავეთა საერთო კრება, რომელზედაც მოხსენებით გამოვიდა მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის აგრონომი დ. ხამადაშვილი.

მომხსენებელი შეეხო ჩვენს პირობებში სასოფლო-სამეურნეო სწავლა-განვითარების საქმის მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ საქართველო, როგორც თავისი ბუნებრივი ისე მოსახლეობის ხასიათით წარმოადგენს უაღრესად სასოფლო-სამეურნეო ქვეყანას, სადაც სასოფლო-მეურნეობა შეადგენს ჩვენი სახალხო მეურნეობის 92 პროცენტს.

მომხსენებლის აზრით დღეს-დღეობით ჩვენი სოფლის მეურნეობა მეტად დაბალ საფეხურზე სდგას და მისი ზრდის განვითარებისათვის საჭიროა მთელი რიგი ზომების მიღება, როგორც სახელმწიფოს, ისე საზოგადოებრივი ძალების გამოყენების გზით. ამ ღონისძიებათა შორის უმთავრესი ადგილი უნდა დაეთმოს სასოფლო-სამეურნეო განათლებას.

შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ დღემდე ჩვენ არ გვქონია სასოფლო-სამეურნეო განათლების მთლიანი სისტემა, რასაც დიდი ზიანი მოჰქონდა ჩვენი მეურნეობისათვის იმ მხრივ, რომ იგი გაფანტული იყო ერთ წერტილზე და არ ემჩნეოდა წინსვლა. სასოფლო-მეურნეობის დღევანდელი მდგომარეობა. ორატორის აზრით, ქმნის საჭიროებას ჩვენში საფუძველი ჩაეყაროს შემდეგი სამი ტიპის სკოლას: დაბალს, საშუალოს და უმაღლესს.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს აგრონომებმა, სხვადასხვა სპეციალისტებმა და განათლების კომისარიატის წარმომადგენლებმა.

ვაკის დაგეგმვა

აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილების ტექნიკურ სექციას დავალებული აქვს დაამუშაოს თბილისის განაპირა რაიონების დაგეგმვის პროექტი, რომლის მიხედვითაც უნდა სწარმოებდეს ამ რაიონების გაშენება. ვიდრე დაგეგმვა არ დასრულდება, აღმასკომის მიერ აღკრძალულია ამ რაიონებში უგეგმოთ სახლების შენება. ტექნიკურ სექციაში წარდგენილია ქალაქის ერთერთ განაპირა რაიონის—ვაკის დაგეგმვის რამოდენიმე პროექტი. საუკეთესო სპეციალისტთაგან შემდგარ კომისიის მიერ პროექტის დაგეგმვის ერთი პროექტი, რომელიც დამუშავებულია სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტ [illegible] ქორდანიის მიერ, პროექტს, რომელიც შეფარდებული ვაკის რელიეფთან, საფუძვლად [illegible] ევროპიული ქალაქების [illegible] პრინციპი. პროექტით მთელი რაიონი დაყოფილია უბნებად, რომელზედაც გაყვანილი იქნება ქუჩები; ქუჩებს არ ექნებათ ჩიხები და შესახვევები. უბნების ნაწილებში კვარტალებად და კვარტალები კუთხეებათ. რაიონის დანაწილების დროს მხედველობაშია მიღებული ქარის მიმართულება. პროექტით გათვალისწინებულია მთებიდან ჩამონადენი წყლის არხების, წყალსადენის და კანალიზაციის გაყვანა. განაგეგმულ რაიონი მიიღებს ბაღ-ქალაქის სახეს. საზოგადოებრივი ხასიათის შენობათა აგება გათვალისწინებულია რაიონის ცენტრში.

კომისიამ მოიწონა რა პროექტი, შეიტანა მცირეოდენი ცვლილებები. კომისიამ უფრო მიზანშეწონილად სცნო საავადმყოფოს ასაგებად ადგილის გამოყოფა ვაკის მაღლობ ნაწილში, ხოლო საზოგადოებრივ შენობათა აგება ცენტრის მაგივრად რაიონის სხვადასხვა ნაწილში.

თათბირები და ყრილობები

ა.-კ. ავიაქიმის ყრილობა

19 დეკემბრის სხდომა

19 დეკემბრის დილის სხდომა მოუნდა ცალკე საკითხების შესახებ რეზოლიუციებისა და მომავალი საქმიანობისათვის პრაქტიკულ ღონისძიებების გამომმუშავებელი კომისიების მუშაობას.

სხდომაზე კომისიებმა შეიმუშავეს რეზოლიუციები, ამიერ-კავკასიის ავიაქიმის პრეზიდიუმის მიერ ჩატარებულ მუშაობის, საკავშირო ავიაქიმის მუშაობის და თავდაცვის ხელშემწყობ საზოგადოების შესახებ.

საღამოს სხდომაზე, კომისიებმა შემუშავებული რეზოლიუციები წარუდგინეს დასამტკიცებლად ყრილობას.

ამიერ-კავკასიის ავიაქიმის მუშაობის შესახებ გამოტანილ რეზოლიუციაში აღნიშნულია, რომ მიუხედავათ განვითარებისათვის არა ხელშემწყობი პირობებისა, ა.-კ. ავიაქიმს, ემჩნევა საერთო ზრდა და ცხოველმყოფელობა.

საკავშირო ავიაქიმის საქმიანობის შესახებ, ყრილობა იღებს რეზოლიუციას, რომლის მიხედვით იგი იწონებს საკავშირო ავიაქიმის მიერ აღებულ პოლიტიკურ და ორგანიზაციულ ხაზს.

თავდაცვისათვის ხელშემწყობ საზოგადოების შესახებ მიღებულ რეზოლიუციაში, ყრილობა მოითხოვს ავიაქიმის და აღნიშნულ ორგანიზაციის პრაქტიკული მუშაობის ერთმანეთთან დაკავშირებას; მომავალში გათვალისწინებულია მათი გაერთიანება.

მიღებულია აგრეთვე სადირექტივო რეზოლიუცია, საკავშირო ყრილობაზე გასაგზავნ დელეგატებისათვის.

უკანასკნელი სხდომა

20 დეკემბრის უკანასკნელ სხდომაზე, ყრილობა იხილავს: საფინანსო, საორგანიზაციო-საგიტაციო, სასპორტო და ქიმიურ-თავდაცვის სექციების მიერ შემუშავებულ რეზოლიუციებს და სათანადო შესწორებების შემდეგ იღებს სახელმძღვანელოდ.

არჩევნები

რეზოლიუციების მიღების შემდეგ, ყრილობა ირჩევს ა. კ. ავიაქიმის საბჭოს და სარევიზიო კომისიას.

საბჭოში არჩეულ იქნა 42 წევრი. აქედან 15—საქართველოდანაა, 13 აზერბეიჯანიდან და 7 სომხეთიდან. კერძოდ ამიერ-კავკასიიდან საბჭოში შევიდა 7 წარმომადგენელი. მათ შორის: ამხ. მამია ორახელაშვილი, ლევანდოვსკი, ვ. სტურუა, მუხეინოვი და იაკუბოვი.

კანდიდატებად არჩეულ იქნა 10 ამხანაგი. სარევიზიო კომისიაში. ყრილობა ირჩევს 6 წევრს და 2 კანდიდატს.

ყრილობამ აირჩია აგრეთვე: ამხ. ამხ. ლევანდოვსკი, აბაშიძე, გელაშვილი, ტრავკინი, ხან-ბუდაგოვი, პოდოლსკი, კრავჩენკო, ივანოვი, ძნელაძე, ხარქისიანი და ჩარჩიანი დელეგატებად საკავშირო ავიაქიმის ყრილობაზე.

ყრილობის დახურვის წინ აზერბეიჯანის წარმომადგენელს შემოაქვს წინადადება, რათა მომავალი ყრილობა მოწვეულ იქნეს ბაქოში. ყრილობა ამ წინადადებას ეგებება მხურვალე აპლოდისმენტებით.

საბჭოს პლენუმი

ყრილობის დახურვის შემდეგ შესდგა ახალი საბჭოს პლენარული სხდომა.

სხდომაზე არჩეულ იქნა ა. კ. ავიაქიმის ახალი პრეზიდიუმი.

პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: მ. ორახელაშვილი, ვ. სტურუა, ლევანდოვსკი, ერზნკიანი, რაპავა, მუხეინოვი, კარინიან, ძნელი, აბაშიძე, ჯულელი, ხან-ბუდაგოვი, ნახიჩევანსკი, მელნიჩენკო და იაკუბოვი.

კანდიდატებად: ბზეკალავა, სარქისიანი და ორჯელავა.

საზოგადოების თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. მამია ორახელაშვილი.

მაზრაღმასკომების საორგანიზაციო განყ. უფროსთა თათბირი

გუშინ საღამოს შინაგან საქმეთა კომისარიატში შესდგა მაზრაღმასკომების საორგანიზაციო განყოფილების უფროსთა თათბირი, ავტონომიურ ერთეულების შინსახკომთა მონაწილეობით.

თათბირის დღის წესრიგი: 1) მოხსენებები ადგილებიდან. 2) ამხ. ქუჩულორიას მოხსენება საორგანიზაციო განყოფილების სტრუქტურისა და ამოცანების შესახებ. 3) სამაზრო აღმასკომების ინსტრუქტორებისათვის ინსტრუქციის პროექტის განხილვა, 4) 1926 წ. საბჭოთა არჩევნების შედეგები და მზადება მომავალი არჩევნებისათვის (მომხსენებელი ამხ. მათიკაშვილი) და 5) მიმდინარე საკითხები.

პირველად მოსმენილ იქნა მოხსენებები ადგილებიდან: თელავიდან, ზუგდიდიდან და ბორჯომიდან. მოსმენილ იქნა აგრეთვე აჭარისტანის შინსახკომის ამხ. ბრეგაძის მოხსენება.

მომხსენებლებმა აღნიშნეს მიღწევები საორგანიზაციო დარგში და საბჭოთა ძირითადი აპარატის საქმიანობა.

დღეს თათბირი გაიხსნება დღის 11 საათზე.

„ძველი თბილისი"

(გამოფენა მუნიციპალურ მუზეუმში)

კვირას, 19 დეკემბერს გაიხსნა გამოფენა თბილისის აღმასკომის მუნიციპალურ მუზეუმში. გამოფენის მიზანია, რომ მისცეს ნათელი წარმოდგენა მოქალაქეს იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენდა თბილისი გასულ საუკუნეში, რა ცვლილებები განიცადა ქალაქმა ამ ხნის განმავლობაში.

გამოფენაზე უმთავრესად წარმოდგენილია მხატვრული ხელნაწერები თბილისის [illegible]. არ დარჩენილა არც ერთი ასე თუ ისე ცნობილი მხატვარი (გარდა ნ. ფიროსმანისა), რომლის სურათიც არ იყოს წარმოდგენილი გამოფენაზე. მხატვართა შორის ჩვენ ხვდებით, როგორც ქართველებს, სომხებს და რუსებს, ისე უცხოელებსაც. მრავალ მხატვარს თავიანთი სურათებისათვის აღებული აქვთ ერთი და იგივე თემა. არც ერთი მოვლენა, რაც კი ღირსშესანიშნავი იყო ძველი თბილისის ცხოვრებაში, მხატვრების ყურადღებას არ გამოპარვია. ამგვარად გამოფენაზე მნახველის წინაშე იშლება მთელი ძველი ქალაქის სრული სურათი. ქალაქის ძველი ხუროთმოძღვრების, ძველი კუთხეების ნიმუშები გადმოცემულია აქვთ სრული სიზუსტით მხატვარ გეელისიანს. ხოჯაბეგოვს, კროტკოვს, მ. თოიძეს, აკოპიანს და სხვებს. შესანიშნავია მხატვარ ხოჯაბეგოვის მიერ შესრულებული სურათები თბილისის ყარაჩოღელთა ცხოვრებიდან. არც ერთი მოვლენა მათი ყოფა-ცხოვრებიდან მხატვარს შეუნიშნავი არ დარჩენია. მას ფანქრის ერთი მოსმით ეხერხება [illegible] სრული მხატვრული ილუზიის შექმნა; სურათებში გაცოცხლებულია მთელი ქალაქი.

პორტრეტების შორის [illegible] ი. ჭიჭინაძის მიერ შესრულებული ტიპები: მაწვნის გამყიდავი, სოფლელი ტიპები, სამი მეგობარი.

ძველი თბილისის ტიპები აქვს გადმოცემული აგრეთვე კროტკოვს (ფინაჩი), კოლხიანს (მესტვირე), ხაჩატურიანს (წყლის მზიდველი) ირ. თოიძეს (კინტო), ბებუთაშვილ-გამუხიანს (მდიდარი მოქალაქე), მათ შორის შესანიშნავია ლ. გუდიაშვილის „სამი ყარაჩოღელი". არც ერთი მხატვარი არ არის ისე დამახასიათებელი ძველი თბილისისათვის, როგორც მ. ფიროსმანი. მით უფრო საკვირველია, რომ ამ მხატვრის არც ერთი ნაწარმოები არ სჩანს გამოფენაზე. თბილისის ძველი ბაზარი თავისი მრავალ ფეროვნებით გადმოცემული აქვთ მ. თოიძეს, ზომერს, აკოპიანს. ამათ შორის ყველაზე მძლავრ შთაბეჭდილებას სტოვებს ზომერის სურათები (ავლაბრის ხიდი და მეიდანი, ბაზარი, მწვანილეულობის დუქანი).

გამოფენას ამშვენებს ბაშინჯაგიანის წარმტაცი მხატვრობა (თბილისი ღამით (ტერ-არაქელიანის პანორამა (ძველი თბილისი).

გამოფენილია აგრეთვე ამ ორი თვის წინად აღმოჩენილი მხატვარ რუბოს სურათი „რუსის ჯარის პირველი შემოსვლა თბილისში".

სურათებს გარდა გამოფენაზე უხვად არის წარმოდგენილი მოდელები, და ქანდაკებების და ძერწვის ნიმუშები. ყურადღებას იპყრობს საბანოების მოდელები, და სპარსული სახაბაზოები. სამქიდლო, სასაკლაო, მთა-წმინდის სასაფლაო და სხვა; ნაზათოვის—დარბაზი, ურმები გზის პირზე, წისქვილები მტკვარზე, მუხრანის ბორანი და სხ. საყურადღებოა აგრეთვე კაფალოვის ნახატები: მოლა, ძველი ტანსაცმლის გამყიდველი, მაწვნის გამყიდველი, ძველ მოქალაქეთა ცეკვა და სხვა.

მხატვრულ ნაწარმოებთა გარდა გამოფენილია სხვა ისტორიული, არქეოლოგიური და ეტნოგრაფიული ხასიათის ექსპონატები: ძველი იარაღები, ჭურჭლეულობა, მაშხალები, საილუმინაციო თანრიბი, ამქართა დროშები და სხ. საერთოდ გამოფენა სრულ წარმოდგენას იძლევა ძველი და მიმავალი თბილისის ყოფა-ცხოვრებაზე.

—კა.

გეოლოგიური

გამოკვლევანი

ს. მ. უ. ს. სამთო განყოფილებას გადაწყვეტილი აქვს მომავალი წლის გაზაფხულიდან შეუდგეს აჭარისტანში მთელ რიგ გეოლოგიურ გამოკვლევათა წარმოებას. აჭარისტანში გეოლოგიურ გამოკვლევათა ჩასატარებლათ რესპუბლიკანური ბიუჯეტით გადადებულია 10.000 მანეთი.

პირველ რიგში გადაწყვეტილია ცინკის ბუდობების შესწავლა და გამოკვლევა. გეოლოგების ცნობით, აჭარისტანში მრავლათაა ცინკის მადანი, ხოლო დაწვრილებითი ცნობები იმის შესახებ, თუ რა რაოდენობის მარაგია, ჯერ არავინ იცის. აჭარისტანშივე მომავალ ზაფხულის განმავლობაში ჩატარდება აგრეთვე სპილენძის მადნეულობის ბუდობების გამოკვლევა.

ამასთანავე სამთო განყოფილებამ მოსთხოვა ცნობები გეოლოგებს იმის შესახებ, თუ რა და რა ადგილებში უფრო რაციონალური და მიზანშეწონილი იქნება ზაფხულის პერიოდში გამოკვლევების ჩატარება. ან რა მადნის ამოღება იქნება ხელსაყრელი ჩვენს პირობებში.

ახლო ხანში სამთო განყოფილება განიხილავს გეოლოგების მიერ წარმოდგენილ გეგმას მადნეულობის გამოკვლევის და დამუშავების შესახებ.

მარელისის ქარხანა

მუშაობა მარელისის გრეხილი ავეჯეულობის ქარხნის მოსაწყობად მალე დასრულდება. ამ ორ თვეში დამთავრდება მუშების საერთო საცხოვრებელი ბინის აგება; ბინაში მოთავსებული იქნება 200 მუშა.

ახლო ხანში დაიწყება ქარხნის მომუშავეთა შტატის შედგენა. შორაპნის სამაზრო პროფბიუროს დადგენილების თანახმად, შტატში პირველ რიგში მიღებული იქნებიან ხეზე მომუშავეთა კავშირის წევრები და ის პირები, რომლებიც ახლო სოფლებიდან ქარხნის აშენების დროს დღიურად მუშაობდენ.

მუშათა საერთო საცხოვრებელი ბინის გარდა აგებული იქნება მუშათა კლუბი, სადაც იქნება სამკითხველო, ბიბლიოთეკა, თეატრი და სხვა.

ანტირელიგიური კამპანია

ფიზკულტურის უმაღლესი საბჭო შეუდგა საშობაო დღესასწაულების პერიოდში ანტისარწმუნოებრივ კამპანიის ჩატარებელ მუშაობას.

ამ მიზნით ფიზკულტ. უმ. საბჭომ გამოიმუშავა დღესასწაულების ჩატარების გეგმა, როგორც ქალაქებში, ისე სოფლებში. ანტი-სარწმუნოებრივი პროპაგანდა ფიზკულტურის ორგანოებმა უნდა გამოიყენონ შემდეგნაირად: 7 იანვარს ქალაქებში გაიმართება გამოცდილ ვარჯიშების დემონსტრაციები. გარდა დემონსტრაციებისა გამორკვეული იქნება კონკრეტული შესაძლებლობანი სხვადასხვა სახალხო სათამაშოების გასამართავათ.

სოფლად, ამავე დღეს გაიმართება ლელო, ბურთის თამაში, ცხენოსნობა, ჭიდაობა და სხვა [illegible] გასართობნი დღესასწაულების ჩატარებაში ჩაბმული იქნება გლეხობა. ვარჯიშობაში უნდა შეიტანონ აგრეთვე ისეთი ელემენტები, რაც უფრო დააინტერესებს გლეხს (ცეკვა, სიმღერები, ფარიკაობა, შების ტყორცნა და სხ.).

სამეცნიერო ექსპედიციები

ა.-კ. ცეკთან არსებულმა სამეცნიერო ასოციაციამ დაამთავრა გასული წლის პროგრამით გათვალისწინებული სამეცნიერო ექსპედიციების მოწყობა. ამ ხნის განმავლობაში ცეკთან არსებულ ასოციაციის ექსპედიციების მიერ გამოკვლეული და შესწავლილი იქნა აფხაზეთი, სამხრეთ-ოსეთი, აჭარისტანი და სხვა ნაკლებ გამოკვლეული კუთხეები, რომელთა გამოკვლევის შესახებ უკვე იყო ცნობები მოთავსებული ჩვენს გაზეთში.

უკანასკნელად ასოციაციის ექსპედიციამ იმოგზაურა სომხეთში,—დილიჯანისა და ყაზახის მაზრებში.

ვოსკაპერში ექსპედიციამ დაათვალიერა, გაზომა და აზომვა ცნობილ რიცხვის ტაძრის ტიპის ხუროთმოძღვრების იშვიათი ძეგლი. ეს ძეგლი კარგად არის დაცული და შემდგომ პერიოდში არ განიცდია რესტავრაცია. სპეციალისტების დასკვნით ძეგლი ეკუთვნის დაახლოებით მე-7-ე საუკუნეს.

იქვე მახლობლად აღმოჩენილი იქნა ძველი ქალაქის ნანგრევები, რომლის შესწავლა და დაკვირვებითი გამოკვლევა გადადებულია შემდეგი დროისათვის.

ყაზახის მაზრაში ექსპედიციამ გამოიკვლია სამოქალაქო და საეკლესიო ხასიათის მთელი რიგი უძველესი ძეგლები. მათ შორის, შესანიშნავია ერთი სამოქალაქო ტიპის ძეგლი, რომელიც [illegible] წარმოადგენს ქარავანსარაის და მუსულმანური ხუროთმოძღვრების ნარევს. ძეგლი აგებულია აგურისაგან და, გარედან შემკულია მუსულმანური სტილის წითელი და მწვანე ფერის შვენიერი მოზაიკით. ძეგლი ეკუთვნის მე-13-ე საუკუნეს.

ფეხბურთი

თბილისის გამარჯვება

ბათომის და თბილისის ნაკრები გუნდების ტრადიციულმა მატჩმა საქართველოს პირველობაზე, როგორც ყოველთვის, აუარებელი მაყურებელი მიიზიდა.

ყველა ფიქრობდა, რომ ბათომი, რომელიც სამი წლის განმავლობაში ზედი-ზედ იღებდა საქართველოს პირველობას, ყოველ ღონეს იხმარდა, რომ ეს მატჩიც თავის სასარგებლოთ დაემთავრებია. მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. 1926 წლის პირველობის გათამაშება ბათომის დამარცხებით გათავდა.

აღსანიშნავია ერთი გარემოება: ბათომმა საუკეთესო ძალები გამოჰყო ამ შეჯიბრებისათვის, მაგრამ მისი მხრიდან ჩვენ ვერ ვნახეთ ისეთი შეკრული და ლამაზი თამაში, რომლის მოწმენიც ჩვენ ვიყავით წინა წლებში.

სამაგიეროთ იშვიათი ერთსულოვნობით თამაშობდა თბილისის გუნდი.

შეჯიბრის დაწყებისთანავე ინიციატივა თბილისელების ხელშია და უკვე მესამე წუთზე [illegible] მიერ დარტყმული ბურთი ბათომის ბადეშია მოქცეული.

მთელი ტაიმის განმავლობაში თამაში თითქმის სულ ბათომელების ჰიშკართან სწარმოებს, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, თბილისმა მაინც ვერ შესძლო ბურთის გატანა, რაც, უმთავრესად, ბათომის კარების მცველის ბიჩაევის [illegible] თამაშს უნდა მიეწეროს.

პირველი ტაიმი თავდება 1:0 თბილისის სასარგებლოდ.

მეორე ტაიმში ბიბაევი უკვე აღარ სჩანს კარზე. მის ადგილს ჯერ იჭერს სათადარიგო მოთამაშე, მაგრამ ამ უკანასკნელის სისუსტის გამო ჩქარა მცველად გადადის გუნდის საუკეთესო მარბი ფაჩულია (მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი მცველად ისევე კარგად თამაშობდა, როგორც მარბათ).

თბილისი მეორე ტაიმში კიდევ უფრო გაბედულად იბრძვის. განსაკუთრებით კარგად თამაშობს ნახევრად მცველთა შემადგენლობა, რომელიც სწრაფად და ლამაზად აწვდის ბურთს თავის მარბებს.

მე-15 წუთზე სახიფათო მომენტი იქმნება ბათომის კარებთან. საერთო არევდარევაში თბილისელი გუნია იხელთებს ბურთს და ლამაზი დარტყმით ბათომის კარებში მოაქცევს მას. ჩქარა ბათომი დაჯარიმდა. ბათომის მეკარე ვერ იჭერს გუნიას მიერ „პენალტი"-დან ძლიერად დარტყმულ ბურთს და ბათომის კარები უკვე მესამეჯერაა გარღვეული.

სტუმრები ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ თავი დააღწიონ „მშრალ" ანგარიშს, [illegible] რამოდენიმეჯერ უახლოვდებიან თბილისის კარებს, მაგრამ იძულებული არიან ისევ უკან დაბრუნდნენ.

თამაშის უკანასკნელ წუთზე ვაჩნაძე ძლიერ ბურთს ურტყამს ბათომის კარებში. მეკარე აგდებს ბურთს, მაგრამ მიუსწრებს გუნია მეოთხე და უკანასკნელ ბურთს შეაგდებს კარების ბადეში.

შეჯიბრი თავდება 4:0 თბილისის სასარგებლოდ.

ჰ—ნი.

ქრონიკა

ამხ. როტფელდის ჩამოსვლა

გუშინ თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის კონსული ართვინში—ამხ. როტფელდი.

იტალიის ელჩის გამგზავრება

19 დეკემბერს ბათომიდან თბილისში დაბრუნდა სპარსეთში ახლად დანიშნული იტალიის ელჩი ბ. დიფატენდისი.

გუშინ ის გაემგზავრა ბაქოში, საიდანაც ჩავა თეირანში.

სპილენძი

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ინჟინერ-გეოლოგმა კონიუშევსკიმ გამოიკვლია კაფანის სპილენძის მადნები.

თავის მოხსენებაში სახ. მ. უ. ს. სამთო განყოფილებისადმი ინჟ. კონიუშევსკიმ აღნიშნა, რომ სპილენძის ეს წყაროები დიდ ინტერესს წარმოადგენენ სპილენძის ამოღების მხრივ.

გზატკეცილის სამმართველოში

საქართველოს გზატკეცილების და ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოს უფროსი ინჟ. კორინთელი განთავისუფლებულია თანამდებობიდან. სამმართველოს უფროსის მოვალეობის დროებითი აღსრულება დაევალა ინჟ. გვარამაძეს.

სალექციო-საექსკურსიო ბიურო

პროფსაბჭოს კულტგანყოფილების სალექციო საექსკურსიო ბიუროს თავმჯდომარეთ არჩეულია ამხ. ქმონძირი.

ბიურო დაყოფილია სამ სექციათ: კინო, საექსკურსიო და სალექციო სექციებათ.

განათლების კომისარიატში

◆ გამოკვლევა. განათლების კომისარიატი ამჟამად ქუთაისის და სენაკის მაზრაში აწარმოებს სოფლის ახალგაზრდობის სკოლების გამოკვლევას.

◆ ეროვნულ უმცირესობათა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების საჭიროებისათვის ბორჩალოს მაზრაში, გადაიდო 2500 მან.

◆ ზუგდიდის მაზრის განათლების განყოფილების გამგეთ დამტკიცდა ამხ. აკაკი ფიჩხაია.

შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატში

◆ საბინაო მშენებლობა. შინ. საქ. სახ. კომისარიატმა შეადგინა ინსტრუქცია საბინაო მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთების დაუბრკოლებლად გაცემის შესახებ.

◆ საგზაო მშენებლობა. კომისარიატი შეუდგა გასულ წელს ჩატარებულ საგზაო მშენებლობის გამოკვლევას ახალი გზების გაყვანის მიზნით.

◆ სახანძრო იარაღები. კომისარიატმა რუსეთიდან მიიღო სახანძრო იარაღების ნაწილი. ნაწილს მიიღებს ამ დღეებში. იარაღები დაურიგდება მაზრებს.

◆ მეხანძრე ინსტრუქტორების მოსამზადებლად კომისარიატი აწყობს მოკლე ვადიან კურსებს. ინსტრუქტორები დაიგზავნებიან მაზრებში.

◆ მიწად - მოწყობა. ქალაქებში მიწად-მოწყობის შესახებ კომისარიატმა გამოიმუშავა ახალი დებულება.

◆ მეხანძრეები. დღემდე საქართველოში დაარსებულია 16 მოხალისე — მეხანძრეთა რაზმი, ხოლო აჭარისტანში — 2, აფხაზეთში — 1, სამხრეთ-ოსეთში—1.

საკრედიტო დაწესებულებებში

◆ სესხი. წალკის საკრედიტო ამხ-ბას სას. სამ. ბანკმა სესხად მისცა 2500 მ.

◆ ტელეფონიზაცია. ზესტაფონის საკრ. ამხ. ბამ აღძრა შუამდგომლობა, რომ მას გადაეცეს ზესტაფონის რაიონის ტელეფონიზაციისათვის საჭირო ბოძების დამზადების საქმე.

◆ შუშიანის საკრედიტო ამხ-ბას სას.-სამ. ბანკიდან სესხად მიეცა 3000 მან.

◆ სპირტი. სახელმწიფო სპირტის ტრესტმა სას.-სამ. ბანკიდან შეიძინა საკრედიტო ამხ-ბის მიერ დამზადებული 100.000 მ. სპირტი.

◆ ჩოხატაურის საკრედიტო ამხ-ბას ერთი წლით გაუგრძელდა მიცემული სესხის—5588 მ. გადახდის ვადა.

დამზღვევ სალაროში

◆ საზამთრო საპატრონოებში დამზღვევ სალარომ გაგზავნა მეორე წყება, რიცხვით 73 კაცი, აქედან არაზინდოში—55, ქობულეთში—18.

◆ გაზეთების მუშაკთა დაზღვევის საქმის მოსაწესრიგებლად სალარო იწვევს გაზეთების ხელმძღვანელთა და ადგილკომების საგანგებო თათბირს.

◆ ამხ. ჯავაირა ხუტუაშვილის ქმებულებში წასვლის გამო, დამზღვევ სალარომ დაზღვეულთა საქმიო დახმარების ქვე-განყოფილების გამგის თანამდებობაზე კანდიდატათ წარადგინა ამხ. სიტნიკოვი.

სხვა და სხვა

◆ დღეს, 21 დეკემბ. საღამოს 6 საათზე, მუშათა სასახლის ახალ დარბაზში დანიშნულია საერთო საქალაქო კონფერენცია სარევიზიო კომისიის წევრებისა.

აღნიშნულ კონფერენციაზე სავალდებულოდ დაესწრონ ფაბქარხადგილკომების, კავშირების გ. გამგეობების და პროლეტარულ სტუდენტების ორგანიზაციების სარევიზიო კომისიის წევრები.

◆ „სტატისტიკის მოამბე". რედაქციამ მიიღო საქ. სტატისტ. ცენტრ. სამმართველოს მიერ გამოცემული „სახელმწიფო სტატისტიკის მოამბე" № 4—5 (14—15).

◆ კბილის ექიმთა კრება. დღეს, უნივერსიტეტის კლინიკაში შესდგება ქართველ კბილის ექიმთა კრება. წაკითხული იქნება მოხსენება: 1) რენტგენის მნიშვნელობა კბილის სამკურნალო დარგში—ექიმ ედიბერიძე. 2) ექსტრაციები—ექ. ბირძიშვილი.

ხელოვნების ქრონიკა

◆ კომკავშირელ მწერალთა წრეში. გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტთან" არსებულ კომკავშირელ მწერალთა წრის მორიგი კრება შესდგება ორშაბათს, 22 დეკემბერს, სა. 5 საათზე—რედაქციის ბინაზე (კურსანტ. ქ. № 1).

დღის წესრიგი: კომკავშირელ მწერლობის შესახებ მოხსენება ამხ. პ. ქიქოძის.

„ახალგაზრდა კომუნისტის" უკვე გამოსულ ლიტერატურულ ფურცლის განხილვა, „ახალგაზრდა კომუნისტის" ლიტ. ფურცლის მორიგ ნომრის მასალების წინასწარი გარჩევა.

◆ „ძველი თბილისი". კვირას, ლენინის ქუჩის კუთხეში გაიხსნა გამოფენა „ძველი თბილისი".

◆ „სავურ საფლავი". თბილისის კინოებში დაიწყო ჩვენება „სავურ საფლავი"-ს.

◆ „ურიის ქალი". დღეს, ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება: „ურიის ქალი".

◆ „მალშტრემ". ხუთშაბათს, რუსთაველის თეატრში პირველად ამ სეზონში წარმოდგენილი იქნება გ. რობაქიძის პიესა „მალშტრემ".

◆ ცირკში — დღეს, საზეიმო გახსნის პროგრამა.

◆ სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში დღეს, ექიმი ისპისოვი იმავე კონსერვატორიის მოწაფეებისათვის წაიკითხავს ლექციას ყელის დაავადების და მოვლის შესახებ.

◆ „ამერიკელი ძია". დღეს, რუსთაველის თეატრში მიდის „ამერიკელი ძია".

— ცირკში. 21, 22 და 23 დეკემბერს გაიმართება საგასტროლო წარმოდგენა ახალი, ვრცელი პროგრამით. პროგრამაში შედის 14 ნომერი.

სასამართლო

სიძის მკვ[illegible]

(ფეოდოროვის საქმე)

1905 წელს, ისიდორე მიქანაძემ ცოლათ შეირთო მარიამ ფეოდოროვა. ცოლსა და ქმარს შორის კარგი დამოკიდებულება არსებობდა. ეყოლათ ორი ბავშვი.

1923 წელს, მიქანაძეს საკუთარ ბინაზე (ლერმონტოვის შესახვევი № 5), მიპატიჟებული ჰყავდა ნაცნობ-მეგობრები. ნასვამმა მიქანაძემ დასტოვა სტუმრები და დაიძინა.

სტუმრები განაგრძობდენ ქეიფს.

საღამოს მასპინძლის ნათლისმამამ დოჟურმა ბნელ ოთახში მოსალაპარაკებლად გაიხმო მიქანაძის ცოლი. ეს შეამჩნია მარიამის ძმამ დავით ფეოდოროვმა. უკანასკნელმა თავისი დის საქციელი არ მოიწონა და აღელვებულმა გააღვიძა თავისი სიძე და უთხრა: „შენი თავი შევარცხვინე იმიტომ, რომ ჩემს დას შესაფერისად ვერ უვლიო". მიქანაძე შეეკითხა ფეოდოროვს, თუ რაში იყო საქმე, მაგრამ უკანასკნელმა პასუხი არ გასცა და საოჯახო ნივთები ყირამალა გადააბრუნა.

ამის შემდეგ ისინი რამოდენიმე ხნით ერთმანეთს აღარ ელაპარაკებოდენ.

ბოლო ხანებში მიქანაძე დარწმუნდა იმაში, რომ ცოლი მას ღალატობდა. ამ ნიადაგზე ის სასამართლოს წესით გაეყარა ცოლს. ქონება გაინაწილეს თანასწორად. ერთი ვაჟი მამასთან სცხოვრობდა, ხოლო მეორე კი—დედასთან. მიუხედავად ამისა, ყოფილ ცოლ-ქმარს შორის ჩხუბს და აყალ-მაყალს მაინც ჰქონდა ადგილი.

მას შემდეგ, რაც მიქანაძე ცოლს განშორდა—ამ დღიდან სიძესა და ცოლის ძმას შორის უთანხმოება ჩამოვარდა.

მიქანაძეს სურდა ნახევარი სახლი შეეძინა ყოფილ ცოლისაგან; ამ მიზნით ექსტადიდან დაიბარა დავით ფეოდოროვი.

ა. წ. 25 ივლისს, ფეოდოროვი ჩავიდა თბილისში. მივიდა დის ოჯახში. სადილზე მიიწვია მიქანაძე, რის შემდეგ უნდა გამართულიყო მოლაპარაკება სახლის შესყიდვის შესახებ.

სადილის შემდეგ მიქანაძე და ფეოდოროვი წალაპარაკდენ. მიქანაძის ცოლმა რაკი დაინახა, რომ ისინი დანით ერთი-მეორეს ებრძოდენ, მორთო კივილი. ამ დროს ოთახში შევიდა მიქანაძის 14 წლის ვაჟი ბიქტორი; ბიქტორმა დაინახა რომ მამა მისი სისხლში სცურავდა, ხოლო ფეოდოროვი დანას სცემდა მას ზურგში. ვაჟმა უეცრად ესროლა ფეოდოროვს და დანა გააგდებინა ხელიდან. მიქანაძის ჭრილობები მძიმე აღმოჩნდა და იქვე გარდაიცვალა.

ფეოდოროვი გამოცხადდა კომისარიატში და განაცხადა, რომ მას ორი ჭრილობა მიაყენა მისმა სიძემ—მიქანაძემ, რომელიც მან თავდაცვითი ბრძოლის დროს შემოაკვდა.

საექიმო ექსპერტებით გამოირკვა, რომ მომხდარი უბედურების შემდეგ დავით ფეოდოროვმა განზრახ დაიჭრა მსუბუქათ თავისი თავი.

ამჟამად საბრალდებულო სკამზე ზის დავით ფეოდოროვი.

ფეოდოროვს ბრალდება თავისი სიძის ისიდორე მიქანაძის მკვლელობა წინასწარი განზრახვით.

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. ი. სიჭინავას თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების: მაისურაძის და ჭყონიას, პროკურორ ლ. ტლენტის და მდივან ათარიშვილის მონაწილეობით დაიწყო ფეოდოროვის საქმის გარჩევა.

ბრალდებულს იცავს დამცველთა კოლეგიის წევრი მკურნელი.

გუშინდელ სხდომაზე დაკითხულ იქნა ბრალდებული ფეოდოროვი, რომელიც თავს არ სცნობს დამნაშავედ და ამტკიცებს, რომ მკვლელობა მან ჩაიდინა თავდაცვის ნიადაგზე.

სასამართლო შეუდგა მოწმეების დაკითხვას.

60.138 მანეთის ზარალი

(საყვირელიძის და კოსტენკოს საქმე)

გუშინდელ სხდომაზე დაკითხულ იქნა მთელი რიგი მოწმეები. აღსანიშნავია მხოლოდ მოწმე შავგულიძის (თამბაქოს ტრესტის ყოფილი რევიზორი) ჩვენება.

მოწმე მოუთხრობს სასამართლოს, რომ მან თამბაქოს ტრესტის მმართველობის დავალებით მოახდინა ბაქოს თამბაქოს კანტორის რევიზია; რევიზიის დროს აღმოჩენილი იქნა მთელი რიგი დეფექტები, მაგრამ ადმინისტრაციამ არ მიიღო სათანადო ზომები დეფექტების გამოსასწორებლად.

მოწმეების დაკითხვა გრძელდება.

სიყალბე და გაფლანგვა

1924 წ. აპოლონ მაღულარია ირიცხებოდა სახელმწიფო მამულების ტრესტის აგენტად. მის მოვალეობას შეადგენდა სახალხო მამულებისათვის რკინისგზით საქონლის მიწოდება. მაღულარიას ტრესტიდან გამოჰქონდა საქვითრო ზედნადებები—საქონლის შესაძენად. ვასამართლებელ საბუთებში მას ყალბი ცნობები შეჰქონდა. განსხვავებებს კი ითვისებდა. ამ გზით სულ მიითვისა დაახლოვებით 700 მანეთამდე. ყალბ საბუთებს მაღულარიას უმოწმებდა ტრესტის საკვირო განყოფილების გამგე დიმიტრი ხვედელიძე.

1925 წელს თებერვალში მოხდენილ იქნა რევიზია; რევიზიით აღმოჩენილი იქნა სიყალბე მაღულარიას მიერ წარდგენილ ანგარიშებში.

ამჟამად პასუხისგებაშია მიცემული მაღულარია და ხვედელიძე.

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. ბურჯაძის თავმჯდომარეობით და სახალხო მსაჯულების: ჯიქიას და ხუციშვილის, პროკურორ ბიჭელიას და მდივან გურაძის მონაწილეობით დაიწყო მაღულარიას და ხვედელიძის საქმის გარჩევა.

ბრალდებულებს იცავენ დამცველთა კოლეგიის წევრები: დიდებულიძე და გაგუა.

სასამართლოში მაღულარიამ თავი სცნო დამნაშავედ, ხოლო ხვედელიძემ კი არა.

დღეს გამოტანილ იქნება განაჩენი.

მოქ. ჩიქოვანის და დგებუაძის საქმე

გუშინ, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. ა. თეჯიაშვილის თავმჯდომარეობით დაიწყო ნიკოლოზ ჩიქოვანის და ლუარსაბ დგებუაძის საქმის გარჩევა.

დგებუაძეს და ჩიქოვანს ბრალდებათ მოქ. ნ. გეგეჭკორის მოკვლა.

საქმის შინაარსი ასეთია: 1925 წ. აპრილის თვეში, ბრალდებულები გარდაცვალებულთან ერთად სასაუზმოთ შევიდენ სასადილო „გრომო"-ში.

ბრალდებულების სიტყვით, საუზმის შემდეგ ღამით, სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომელი ნ. გეგეჭკორი წავიდა წინ და ლორის-მელიქოვის ქუჩაზე თვითმკვლელობის მიზნით დაიჭრა თავი. საავადმყოფოში მიყვანისას გეგეჭკორი გარდაიცვალა.

ს. ს. მილიციის მაშინდელმა უფროსმა ამხ. თოფურიამ გაიგო, რომ გეგეჭკორი მოკლული იყო ნაგანის რევოლვერით. საერთოდ კი გეგეჭკორი ატარებდა „პარაბელიუმს". ამიტომ თოფურიამ გასცა განკარგულება დაეპატიმრებიათ ჩიქოვანი და დგებუაძე. დაპატიმრებისას ბრალდებულებმა წინააღმდეგობა გაუწიეს ს. ს. მილიციის წარმომადგენლებს. ჩიქოვანმა მოსაკლავად რევოლვერი დაუმიზნა ს. ს. [illegible] უფროსს, მაგრამ თავისი განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა.

დღეს დაიწყება მოწმეების დაკითხვა.

შემთხვევები

ქურდების შეპყრობა

შალვა და შურა ქაჯაიძები, ვასილ ბასიშვილი და ირაკლი ზედგინიძე დიდი ხნის მეგობრები იყვნენ. ამ წლის ზაფხულის თვეში, „ძმაბიჭები" შეხვდენ ერთმანეთს. მათ ჯიბე ცარიელი ჰქონდათ და გადასწყვიტეს სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმის (კამოს ქუჩა № 59) გაქურდვა.

თავიანთი განზრახვა სისრულეში მოიყვანეს. წინასწარ შეიძინეს მორგებული გასაღებები.

მორგებული გასაღების საშუალებით გაქურდეს ტეხნიკუმი. წაიღეს კედლის საათი, საბეჭდი მანქანა და სხვა ნივთები—ღირებული დაახლოებით 700—800 მანეთის.

ნაქურდალი ნივთები ჯერ შეინახეს შალვა ქაჯაიძის ბინაზე, ხოლო შემდეგ გადაიტანეს ბასიშვილის ბინაზე.

ორი კვირის შემდეგ ვასილ ბასიშვილი დაიარებოდა ქალაქში და ეძებდა კლიენტებს, რადგან არ სურდა, რომ დიდის „ვაივაგლახით ნაშოვნი" საქონელი გაეყიდა იაფად და ხისიად.

ბასიშვილი დააპატიმრეს იმ დროს, როცა ის ნაქურდალ ნივთებს ჰყიდდა.

ჩხრეკის დროს ირაკლი ზედგინიძის ბინაზე იპოვნეს 25 ცალი სხვადასხვა ფორმის „ატმიკები".

ბოროტმოქმედნი გამოტყდნენ დანაშაულობაში და გაიგზავნენ სპეციალურ იზოლატორში.

მოპარულ ნივთების ნაწილი აღმოჩენილია.

მხეცური მკვლელობა

ამ რამოდენიმე ხნის წინად სამსონ პეტროსიანცმა ქ. ლენინაკანის მცხოვრები ახალგაზრდა ქალი მარიამ სიმონიანცი გიტაცა ქალაქგარეთ. დანით მას ჯერ მოსჭრა ყური, ცხვირი და შემდეგ გამოჭრა ყელი. ბოროტმოქმედი მიიმალა.

გუშინ სისხლის სამართლის მილიციამ პეტროსიანცი დააპატიმრა თბილისში.

◆ ქიშმიშის მოყვარული. 19 დეკ. ბაზარში სერგო იეანიას ურმიდან ვიღაც ბოროტმოქმედმა აცალა 1 ფუთი ქიშმიში.

◆ რკ. გზის კოოპერატივის მაღაზიიდან (კახეთის ქ. № 52) ქერის ამოჭრის საშუალებით მოიპარეს 250 მ. ნივთები.

◆ გაძარცვა. 19 დეკ. ზისო მაისურაძეს, როდესაც ის მიდიოდა სახლში მაისურაძის ქუჩით, უცნობმა პირებმა უკანიდან გაუკავეს ხელები და თვალებზე აფარეს ტალი, რის შემდეგ ამოაცალეს ფული და მიიმალენ.

◆ დედაშობილა. 19 დეკ. თედორე კორობკინი, როცა ის მთვრალი მიდიოდა სახლში, უცნობმა მოქალაქემ შეიყვანა შერემეტევის ქ. ერთ ერთ სახლის ეზოში და დააძინა ბოსელში. დილას კორობკინს აღმოჩენია დედაშობილათ. „მასპინძელს" მისთვის ყველაფერი გაეხადა.

◆ გამოტყუება. ზაქათალიდან თბილისში სავაჭროდ ჩამოსულ იბრაჰიმ აჰერ რამაზაშვილს უცნობმა პირებმა გამოსტყუეს 250 მ.

◆ ცეცხლი. პლეხ. გამზირის № 118 მდებარე სახლს ღამით 10 დეკემბერს გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო მეხანძრეთა რაზმმა.

◆ გაძარცვის მიზნით ყარაიაზის რაიონში [illegible] ყურბან ახვერდი-ოღლი. ერთი ბოროტმოქმედთაგანი ჩეკე-ხან აბიდ-ოღლი დაპატიმრებულია.

◆ კარების შემტვრევის საშუალებით სამოქალაქო ქ. № 28 გაქურდეს ბენიამინ გრიგორიანის ბინა.

◆ სამხედრო 3 ჰოსპიტლის საწყობიდან ბოქლომის გატეხვის საშუალებით მოიპარეს სხვადასხვა ნივთები.

◆ ჯიბგირობა. 19 დეკ. კახეთის მოედანზე ივანე იოსების ძე ჯავახიშვილს ამოაცალეს საფულე.

◆ ამავე დღის ცენტრ. ბაზარში შალვა კიკნაძეს მოჰპარეს 25 მან.

◆ თამამშევის ქარვასლაში რიგში დგომის დროს მამედ კასუმოვს ჯიბიდან ამოაცალეს 370 მ.

◆ მორგებული გასაღების საშუალებით 19 დეკ. წილკანის ქ. № 12 გაქურდეს ლიუბა ჩაჩხიანის ბინა.

◆ ტრამვაიში ასვლის დროს პროფკავშირთა საბჭოს წინ ზაქარია ჯაფარიძეს ჯიბიდან ამოაცალეს 50 მ. ჯიბგირი შეიპყრეს.

პორტციგარის და საათის პატრონი

სისხლის სამართლის მილიციის მიერ ნაპოვნი ვერცხლის პორტციგარი და ვერცხლის საათი პატრონი უნდა გამოცხადდეს ს. ს. მილიციაში, ოთახი № 6.

რკინისგზებზე

ორთქლმავლის აფეთქების მიზეზი

კომისიამ, რომელიც გამოყოფილი იყო, გერან-კიურაკ-ჩაის შუა ორთქლმავლის ქვაბის აფეთქების მიზეზების გამოსაკვლევად მუშაობა უკვე დაამთავრა და დაბრუნდა თბილისში.

კომისიის დასკვნიდან სჩანს, რომ მატარებელი მიდიოდა შემართზე. რადგან მემანქანემ თავის დროზე ვერ გადაქაჩა წყალი რეზერვუარიდან, ორთქლის ქვაბში დაიწია წყლის დონემ. ამის გამო ძლიერ გახურდა ქვაბის სპილენძის ჭერი; ქვაბმა დაკარგა თავისი სიმტკიცე და აფეთქდა.

ქვაბის ცილინდრული ნაწილი დაზიანებული არ არის. დაზიანებულია მხოლოდ ორთქლმავლის ღუმელი, რომელიც საჭიროებს გამოცვლას.

ღუმელის გამოცვლის შემდეგ, ორთქლმავალი მუშაობას დაიწყებს.

კომისიის დაბრუნება

გუშინ საღამოს მოსკოვიდან დაბრუნდა ა. კ. რკინის გზების სახარჯთ-აღრიცხვო კომისია, გზათა გამგეობის თავმჯდომარის ამხ. ივანოვის თავმჯდომარეობით.

რელსიდან ჩავარდნა

19 დეკემბერს სადგ. ალიათში, მატარებლის შემორონების დროს მეოთხე ხაზზე ისრის გადაყვანის გამო ლიანდაგს ასცდა ერთი დატვირთული [illegible], რომელიც ამოიღეს.

ორთქლმავლის ჩავარდნა

19 დეკემბერს ფოთის ნავთსადგურში, მატარებლის შემადგენლობის მიყვანის დროს, ლიანდაგს ასცდა ორთქლმავლის ტენდერი (უკანა ნაწილი).

ორთქლმავალი ამოიღეს 1 საათში.

600 ცისტერნა

ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე საექსპორტო ნავთის პროდუქტების გადიდებულ გადაზიდვის დასაკმაყოფილებლად, გზათა მიმოსვლის კომისარიატმა წინადადება მისცა ჩრდილოეთის რკ. გზებს გადაზავნოს ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე 600 ორ-ღერძიანი ცისტერნა.

ცირკი

კვირას, 19 დეკემბერს გაიხსნა საქართველოს დამსახურებული არტისტების ძმ. ტანტების ცირკის საზამთრო სეზონი.

არ შეიძლება ითქვას, რომ პირველი დღის პროგრამა მაინცდამაინც საინტერესოთ ყოფილიყოს შედგენილი. სჩანს, რომ დასი ჯერ-ჯერობით მცირერიცხოვანია. ამას გარდა ზოგიერთი ნომრები, რომლებიც ჩვენ ვნახეთ კვირას, თბილისისათვის ახალი არ არის.

სუსტად არის წარმოდგენილი „კლოუნადა", რომელიც აუცილებელ ნაწილს შეადგენს ყოველი ცირკისათვის, რამდენადაც იგი მიზნად ისახავს ჯანსაღი სიცილის ამეტყველებას ცირკის მრავალფეროვან აუდიტორიაში. მაგრამ ეს ნაკლი შეივსება, ალბად, როდესაც ჩამოვა ახალი ყველა მსახიობები.

შესრულებულ ნომრებიდან საინტერესოა სამი რეიერსის „ოხუნჯობა" ჰაერში, ვიტოლიის ვარჯიშობა კიბეზე, ნ. ვინკინის გაბედული დირიჟორობა ცირკის სახურავის ქვეშ და ი. ფერონის გამოსვლა თავისი მფრინავი საგნებით. ინტერეს მოკლებული არ არის აგრეთვე ტრიო ლუტრიხის „რომაელი გლადიატორები".

პროგრამის მთავარ ნომერს შეადგენდა თვით ტანტების გამოსვლა. მათ კუპლეტებში, ზარიპებში და სკეტჩებში თანამედროვე თემებზე არის ენამახვილობა და სალი იუმორი.

კარგია ნომრები მომჭირნეობის რეჟიმის და თანამედროვე მოსკოვის შესახებ.

ცირკის გახსნას აურაცხელი ხალხი დაესწრო.

№.

ფასები ბოთლებზე

საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა დააწესა საბითუმო ფასები ბოთლებზე. ახალი ფასების მიხედვით ერთი ბოთლი ღირება 12 კაპ., ხოლო ნახევარბოთლიანი კი 9 კაპ. ლუდის ბოთლი ღირება 10 ½ კაპ. კონიაკის ბოთლი 12 ნახევ. კაპ., ხოლო კონიაკის ნახევარბოთლიანი 9 კაპ.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება № 31

საქ. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატისა

„ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთა ინსტიტუტის დაწესების შესახებ იმ ადგილებში, სადაც არ არსებობს შრომის ინსპექტორთა კამერები".

საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატის მიერ 1925 წ. აგვისტოს 6-ს თარიღით და 26-№-ით გამოცემულ ცირკულიარის გასაუქმებლად და ა.-კ. შრომის დარგში მომუშავეთა თათბირზე მიღებულ რეზოლიუციის თანახმად ს. ს. რ. საქართველოს იმ მცირე მრეწველობის ადგილებში, სადაც არ არსებობს შრომის ინსპექტორთა კამერები, შემოღებული იქნეს შრომის კომისარიატის რწმუნებულთა ინსტიტუტი, რომელთა მოვალეობის ასრულება ყველა ცალკე შემთხვევაში, სამაზრო პროფბიუროს და რესპ. პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებულ შუამდგომლობით დაევალოს სათანადო დამზღვევ კასების თავმჯდომარეებს, მხოლოდ სადაც ასეთები არ არიან დამზღვევ კასების პუნქტის გამგეებს, რომლებიც მოქმედებენ ამასთანავე დართულ ინსტრუქციის მიხედვით.

შენიშვნა: ზემოაღნიშნული არ ვრცელდება ტყიბულის რაიონზე, რომელიც იმყოფება ქუთაისის უფროს შრომის ინსპექტორის ზედამხედველობის ქვეშ.

საქ. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარი— ა. მიქაძე.
რესპ. ხოცდაზ. სამმართველოს უფროსი— მორჩილაძე.
საქართვ. პროფკავშირთა საბჭოს მდივანი— ფანცხავა.

ინსტრუქცია

„საქ. შრომის სახ. კომისარიატის რწმუნებულებს, მათი უფლება-მოვალეობის შესახებ".

საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებულებს ევალებათ:

1) შრომის პირობების შესახებ შრომის კან. კოდ. დადგენილებების და დეკრეტების, ინსტრუქციების, განკარგულებების და კოლექტიურ ხელშეკრულებების ყველა უკლებლივ დაწესებულებათა, წარმოებათა და კერძო პირთა მიერ შესრულებისათვის თვალყურის დევნა.

შენიშვნა: ამ მუხლის განხორციელებისათვის საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებული აღჭურვილია იმავე უფლებებით, რაც შრომის ინსპექტორი.

2) კოლექტიურ ხელშეკრულებათა და სატარიფო შეთანხმებათა რეგისტრაციაში გატარება.

3) წარმოება-დაწესებულებათა მიერ წარმოდგენილ შინაგან წესრიგის განხილვა-დამტკიცება.

4) მომრიგებელ კამერების და სამედიატორო სასამართლოების მოწყობა.

5) წარმოება-დაწესებულებათათვის და ცალკე მშრომელთათვის შრომის ნიადაგზე აღმოცენებულ კითხვებზე სათანადო ცნობების და განმარტებების გაცემა.

6) შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის მიერ გამოტანილ დადგენილებებზე „ვიზა"-ს დასმა.

7) მომრიგებელ-საკონფლიქტო ორგანოების (შემ.-საკ. კომისიის, მომრიგებელ კამერის, სამედიატორო სასამართლოს) და შრომის სახალხო სასამართლოს მიერ გამოტანილ დადგენილებებზე საჩივრების მიღება და ცენტრში (საქ. შრომის სახალხო კომისარიატთან არსებულ ზედამხედველობის ბიუროში—ქალ. თბილისში) განსახილველად მასალებითურთ გადაგზავნა.

8) დაწესებულ ვადაში საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატისათვის თავის მოქმედების შესახებ ანგარიშის წარმოდგენა.

საქ. შრომის სახ. კომისარი—ა. მიქაძე.
რესპ. ხოცდაზღვ. სამმართველოს უფროსი— მორჩილაძე.
შეთანხმებულია—ს. პ. კ. ს. მდივანი— ფანცხავა.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს ქვევით ჩამოთვლილ ამხანაგებს, რათა 3 დღის ვადაში გამოცხადდნენ რაიკომის საარიცხვო ქვე-განყოფილებაში ამხ. ეგოროვთან.

ივანოვა ანდრია, კუზმენკო ალექსი, როჟკოვი იაკობი, უეგლოვი ალექსანდრე, ზაიცევი ისაი, ოვსიანიკოვი ალექსანდრე, კირილოვი ვლადიმერ, კოსტანიანი კარაპეტი, სტეფანოვი ალექსანდრე, ფიდიანინი დიმიტრი, ნაზარბეკოვი ტიგრან, მიზრახი მიხეილ, ზინგმანი არონ, გარსუშინი პეტრე, ლიბენი მაქსი, მელაძე დავით, პერჩიანი ტარასი, მაშკევიჩი ლაზარი, ჩილინგარიანი ოვანეს, ჩერნოვალოვი ათანეს.

ზენდუქიძე ალექსი, ხვედელიძე ივანე, თოხაშვილი ვლადიმერ, თათარიშვილი აკაკი, ოდიშარია გრიგოლ, მელაძე ილო, მუსერიძე კონსტანტინე, მათიევი ბაგრატ, ლოხიშვილი ირაკლი, ასრიევი სერგო, ტყემალაშვილი არტემ, პეტროსიანი არუსაკ, ტერ-სტეფანოვა, ბუშკინი, ნიკოლოზ, ეგიაზაროვა არუსაკა, პოლოსიანი არმენაკ, გერასიმაშვილი იაკობ, ბაქრაძე ანდრო, პროკოფიევი ალექსანდრე, ფიშიევი ვასილი.

— სამშაბათს 21 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე ს. კ. პ. (ბ) ცეკას საგიტ. საპრ. განყოფილებაში შესდგება აგიტ-პროპ-კოლეგიის სხდომა. დასწრება ყველა წევრთათვის სავალდებულოა.

ს. კ. პ. (ბ) ცეკას საგიტ. საპროპაგანდო განყოფილებაში მოწვეულია სამშაბათს 21 დეკემბერს დღის 1 საათზე თვითგანვითარების კომისიის სხდომა. სავალდებულოა ყველა წევრების დასწრება: თათარიშვილი, ჩერქეზიშვილი, ლომთათიძე, თოფაძე, დუგლაძე, ორაგველიძე, ხოფერია, მაჭავარიანი, ქარ. დივიზ. პ. განყ. წარმომადგენელი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-3 რაიკომი იუწყება, რომ სამშაბათს, 21 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის შენობაში შესდგება მე-3 რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-3 რაიკომი იტყობინება, რომ სამშაბათს, 21 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე შესდგება მე-3 რაიონის ქალთა სადელეგატო კრების ყველა სექციების და ჯგუფების მეცადინეობა ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე.

ს. კ. პ. თბილისის ორგანიზაციის მე-3 რაიკომი იტყობინება, რომ სამშაბათს 21 დეკემბერს, დღის 1 საათზე, რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების შენობაში შესდგება მე-3 რაიონის კლუბებისა და წითელი კუთხეების ყველა გამგეთა თათბირი.

საქ. კომ. პარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-3 რაიკომი იუწყება, რომ სამშაბათს 21 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის საგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილების შენობაში შესდგება მე-3 რაიონის საგიტაციო წრეების ხელმძღვანელების თათბირი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ 21 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე ახალ მუშათა კლუბის შენობაში (კომინტერნის ქ. № 5) გაიხსნება საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიონის მე-9 პარტკონფერენცია.

დელეგატები მანდატებს მიიღებენ რაიკომის საორგანიზაციო განყოფილებაში.

გრიგოლ (გრიშა) ხმალაძე, სიმონ და ქსენია ჯულელი და ქ. გოგიაშვილი აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს პირველის [illegible] დედის—მეგობრის, მეორეების დის და მესამის [illegible]

ელენე სპირიდონის ასულის ჯულელი-ხმალაძის

გარდაცვალებას, რომელიც მოხდა 18 დეკემბერს, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ. გამოსვენება მოხდება სამშაბათს, 21 დეკემბერს, ნაშუადღევის სრულ 4 საათზე ქვაშვეთის ეკლესიიდან. 995

ღრმად დამწუხრებული დედა, ცოლი, შვილები: გოგია, ძარუსია, ძმა სანდრო, ძმისშვილები: ვალია, ანასტასია, ილიუშა, ნინო, სიძეები აბესალომი, შალვა, რძლები: ელენე, დარია, ვალია, შვილიშვილები ალექსანდრე, გიგო, და ნინა შვილებით, სიდედრი ნატალია აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს ძვირფასი ნათესავის

იოსებ ივანეს-ძე სიმონიშვილის

უდროოთ გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება საკუთარ ბინიდან 3 ნახ. საათზე, სამშაბათს, 21 დეკემბერს, მაგისტრალის ქუჩა № 44 ლენინის უბანი. 997

გულდაკოდილი ბიქტორ დავითის-ძე მაცაბერიძე უღრმეს მადლობას უძღვნის ყველა თავის ნათესავებს, მეგობრებს, ამხანაგებს და ნაცნობებს, რომლებმაც გაიზიარეს მისი მწუხარება და დეპეშებით, წერილებით და პირადი დასწრებით პატივი სცეს უდროოთ გარდაცვალებულს მის საყვარელ ძმას

გიორგი დავითის-ძე მაცაბერიძეს

996

„კომუნისტი"

დიდი პოლიტიკური გაზეთი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის
და სრულიად საქართ. მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ორგანო

1927 წლისათვის—მიიღება ხელისმოწერა—1927 წლისათვის

გაზეთი ღირება

მუშა-მოსამსახურეთა, გლეხების, წითელარმიელების, მოწაფეებისა და მასწავლებლებისათვის

1 თვით	1 მან.	7 „	6—70
2 „	2 „	8 „	7—65
3 „	2—90	9 „	8—60
4 „	3—85	10 „	9—55
5 „	4—80	11 „	10—50
6 „	5—75	ერთი წლით	11 მან. 50 კ.

დაწესებულებათა, ორგანიზაციებისა და კერძო პირთათვის

1 თვით.	1—30	7 „	8—80
2 „	2—60	8 „	10—00
3 „	3—80	9 „	11—30
4 „	5—00	10 „	12—60
5 „	6—25	11 „	13—80
6 „	7—55	ერთი წლით	15 მან.

საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებში

1 თვით	1 მან. 50 კ.
1 წლით	18 მან.

საზღვარ-გარეთ

1 თვით	1 ნახ. დოლ.	6 თვით	8 „
3 „	4 „	1 წლით	16 „

ხელისმოწერა მიიღება

თბილისში - მთავარ კანტორაში, რუსთაველის პროსპ. 34

პროვინციაში

1. ხაშურში—განყ. გამგე მათე გოგუაძესთან—მთელი გორის მაზრისთვის.
2. ჭიათურაში—განყ. გამგე გ. გოგელიასთან—მთელი შორაპნის მაზრისთვის.
3. ქუთაისი—განყ. გამგე მ. ტყაბლაძესთან—ქუთაისის და ახლო მდებარე რაიონებ.
4. ხონში—„ეპოს" წიგნის მაღაზია.
5. სამტრედია—განყ. გამგე ლ. გოგელიასთან—სამტრედია და ახლო მდებ. რაიონ.
6. სენაკი—განყ. გამგე. ესებუასთან—ქ. სენაკი და ახლო მდ. ბარე რაიონისთვის.
7. აბაშა—განყ. გამგე [illegible]—დ. აბაშა და ახლო მდებარე რაიონისთვის.
8. ფოთი—განყ. გამგე მგალობლიშვილთან—ქ. ფოთი და ახლო მდებ. რაიონისთვის
9. ბათომი—„კომუნისტი"-ს კანტორაში—მთელი აჭარისტანისთვის
10. ზესტაფონი, ჩხარი, სვირი, ჯამეთი. ათ. ცხომელიძე.
11. დიდი ჯიხაიში—წიგნის მაღაზიაში გიორგი ბიბილეიშვილთან.
12. ოზურგეთი—განყ. გამგე ეპიფ. [illegible]ლაძესთან—მთელი ოზურგეთის მაზრისათ.
13. თელავი - განყ. გამგე რევაზოვთან—მთელი თელავის მაზრისათვის.
14. სიღნაღი—განყ. გამგე ა. მდივანოვთან - სიღნაღის მაზრისათვის.
15. ზუგდიდში—პოლიტგანის კიოსკში—კილასონიასთან.
16. სოხუმში—„კომუნისტი"-ს კანტორაში — მთელი აფხაზეთისათვის.
17. ველისციხის და გურჯაანის რაიონში—განყ. გამგე შიშნიაშვილი ესტატე
18. ოჩამჩირი—ვ. სოსელიას განყოფ. გამგეს
19. სად. ბორჯომი—ბორია ლავრინსკისთან—გამომცემლობა „შრომა" მაღაზიაში
20. ბორჯომ-ბალი—იაშა ტერტეროვთან
21. ცხინვალი—ვასილი ფავლენიშვილთან.

და ფოსტატელეგრაფის ყველა კანტორებში

გამოვიდა და იყიდება
სახელგამის ყველა მაღაზიაში:
ქ. რაჭველიშვილი

საქართველოს ფეოდალიზმის ისტორია

შინაარსი: შესავალი. ფეოდალიზმის წარმოშობა. ფეოდალური მონარქია. ფეოდალური მონარქიის დარღვევა და მისი აღდგენისათვის ბრძოლა. ფეოდალიზმის ლიკვიდაცია

3—1 ნ. 361 ფასი 1 მან. 30 კაპ.

მიიღება ხელისმოწერა
1927 წლისათვის
ყოველთვიურ ჟურნალზე

„სოფლის კომუნისტი"

ორგანო ს. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტისა

ჟურნალი ღირს:

ერთი წლით	2 მან.
ექვსი თვით	1 მან.
სამი თვით	50 კაპ.

ცალკე ნომერი 20 კაპ.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის, 22
კომპარტიის ცეკა ოთახი № 17

15—1 ნ. 355

„რუდმეტალტორგი"

ამიერ-კავკასიის კანტორა

გადავიდა პლეხანოვის პროსპექტიდან № 53, ახალ შენობაში კომინტერნის ქუჩაზე (ყოფ. სასახლის) № 3. ტელეფონი № 78 (დროებით). ნ. 377

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3.

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან 25—1

ექიმი-ქალი
თოფურიძე-ფანიევა
იღებს ქალთა და საბებიო სნეულებით დაავადებულთ. საღამოს 5-დან 7 საათამდე.
მისამართი: ლადო დუმბაძის ქ. 10 (ყოფ. ველიამინოვის ქ. ერევნის მოედნის ახლოს) ტელ. 19—12.

ექიმი
მ. ს. არჯევანიძე
გადავიდა
ლენინის ქუჩა № 3 (ყ. მელიქ აზარიანისა) სამეანო და ქალთა სნეულებით დღის 2—4 სათ. და საღამოს 6—7

ყველასათვის ხელმისაწვდომი
სამშობიარო თავშესაფარი
ს. ივ. არარატოვისა
დიდი ვანქის ქ. № 6.
სამშობიაროდ მიღება—25-დან 50 მანეთამდე. მშობიარობა და შემდეგ კვება 7 დღის განმავლობაში. ქალთა სნეულებებისათვის—2 მ. 50 კაპ.—4 მანეთამდე. 25—

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
შინაგანი სნეულებანი. სპეციალ. კუჭით და ნაწლავებით ავადმყოფთა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ავადმყ. ღებულობს 5—6 ს. ქუჩა სანაპირო (ყოფილი ნაბერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფ. № 15—02 25—1

მედიცინის დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული და სიფილისი დილის 9—12 საათ მდე, საღამოს 6-დან 8-მდე პლეხანოვის № 7 (ვორონცოვის ყოფ. ძეგლთან) შესავალი სახლის კუთხიდან.

ექიმი
ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—1

ექ. ი. დ. თოფურიძე
კალინინის ქ. (ყოფ. ნიკოლოზის) № 33 იღებს ავადმყოფებს კანის, ვენერიული და სიფილისი (აგრეთვე საქესო ორგანოთა მწვავე და ქრონიკული ავადებით).
დილის 8—9 საათ.—საღამოს 4—8 ს

ექიმი **ი. ი. გერიშვილი**
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

ექიმი **მ. ა. ლუკოვეცკი**
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—

ექიმი
მეგრაბიანცი
ფილტვების, [illegible] და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში. სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. ხელოვნური მზე. იონნო-თერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., 852 25—1

ექიმი **ჯალალოვი**
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—1—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16 25-5

ექიმი **ა. დ. შახბაზიან**
ქალთა, სამეანო და ქალთა საშარდე სნეულებათა ავადმყოფების მიღება ყოველდღიურათ საღამოს 5-დან 7 საათამდე; დუმბაძის ქ. 30 (ყოფილი ველიამინოვის ქ.) 25—1

ექიმი **ა. ს. ფონ-ირტელი**
პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი").
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

ექიმი
არსენ ვადაჭკორია
დაბრუნდა და განაახლა
ავადმყოფების მიღება
ქალთა სნეულებანი და საბებიო ავადმყოფობანი დილის 9—12 საათამდე და საღამოს 4—6 საათამდე.
ლენინის (ყოფილი რალდას) ქუჩა № 35
354 13—1

დაკარგა საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების პროფკავშირის წიგნაკი № 816 ნიკო ბედოშვილის სახელზე, ჩ. გ. 992

დაკარგა საბინაო დავთარი მე-2 სანაპირო ქუჩა ხუდო ხუდავერდოვის სახელზე, ჩ. გ. 993

დაკარგა პირადობის მოწმობა, გაცემული რაჭის მაზრის მილიციის უფროსის მიერ № 12 და სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლების მოწმობა № 12 მალაქია გიორგის-ძე მაისურაძეს სახელზე, ჩ. გ. 994

დაკარგა მიწა-ტყის კავშირის წიგნაკი, რკინის გზის სამსახურის მოწმობა, რკინის გზის შიდა ცალი [illegible], რკინის გზის წასასვლელი ერთი ბილეთი, რკინის გზის კონდუქტორობის და მეისრობის ატესტატი, ქორწინების გაყრის ქაღალდი აბრამ გრიგოლის-ძე აღნიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 989

დაკარგა საბჭოთა და სავაჭროთა მუშაკების პროფკავშირის წიგნაკი № 4481, ლეო თიკანაძის სახელზე, ჩ. გ. 991

დაკარგა სამხედრო აღრიცხვის მოწმობა, გაცემული მესამე სამილიციო რაიონიდან გრიგოლ მელქისეს-ძე კალანდაძის სახელზე, ჩ. გ. 990

დაკარგა სასურსათო ბილეთი № 18363 ა.-კ. რკ. სატ. საზ-ზიდან მიღებული ვასილ ქურდოვანიძეს სახელზე. ჩ. გ. 986

სახელმწიფო დრამა

სამშაბათს, 21 დეკემბერს, ნ. შიუკაშვილის.

ამერიკელი ძია

დადგმა ალ. ახმეტელის. დეკორაციები: მ. შავიშვილისა.

ხუთშაბათს, 23 დეკემბერს გრ. რობაქიძის.

მალშტრემ

დადგმა: კ. მარჯანიშვილის და ალ. ახმეტელისა
დეკორაციები: ირ. გამრეკელისა და კირ. ზდანევიჩისა.
სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი ალ. ახმეტელი.

4—1 ნ. 375

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 21 დეკემბერს **ურიის ქალი**

მონაწილეობენ: ბოგ-ლეპოვა, ვიტინგი, მესნიაევი.
დირიჟორობს დამს. არტისტი ს. სტოლერმანი.

22 დეკემბერს **დაისი**

ნ. 374

აპოლო
არფასტო
სოლეი
დარბაზი
(ყოფ. გლობუსი)

საქ. სახკინმრეწვის ახალი სურათი

საპურ-საფლავი

რეჟისორი ივ. ნ. პერესტიანი.
ოპერატორი ა. დ. დიღმელოვი.
ყველა კინოებში—სიმებიანი ორკესტრი

ანონსი: მორიგი დადგმა; „მის-მენდ". „კორსარ პიეტრო". „ზნეობრიობის სკოლა".

0—18 ნ. 287

1927 წ. პირველ იანვრიდან იწყებს გამოსვლას
განათ. სახკომისარიატის ხელოვნების განყოფ.
ორკვირეული ჟურნალი

საბჭოთა ხელოვნება

კინო: თეატრი: მხატვრობა: მუსიკა: კრიტიკა: ბიბლიოგრაფია:

პ. მ. რედაქტორი შ. დუდუჩავა.

ჟურნალში თანამშრომლობენ ხელოვნების ყველა დარგის საუკეთესო ძალები. ჟურნალს ჰყავს საკუთარი თანამშრომლები მთელ საბჭოთა კავშირსა და და უცხოეთში

თითო ნომერი—32—48 გვ., ფასი 35 კაპ.

რედაქციის დროებითი მისამართი: ქ. თბილისი სახელმწიფო საოპერო თეატრი, ხელოვნების განყოფილება, რედ. „საბჭოთა ხელოვნება".

5—1 ნ. 368

საქ. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული

წითელ ჯარიდან დემობილიზაციით დათხოვნილ

უფშემადგენლობის სამოქალაქო სამსახურში

მოწყობის მთავრობის კომისიის ქ|კომისია

აცხადებს უმუშევარ მეთაურთა საყურადღებოთ, რომ ქ|კომისიამ ა|წ. 20 დეკემბრიდან დაიწყო უკანასკნელთა სამოქალაქო სამსახურში გაგზავნა შემდეგი წესის მიხედვით:

პირველ რიგში იგზავნებიან ტერიტორიალურ ნაწილების ცვალებად შემადგენლობაში ჩარიცხულნი, რომლებიც უნდა გამოცხადდენ (შრომსახკომში, ოთახი № 13) 21 და 22 დეკემბერს.

მეორე რიგში იგზავნებიან ჯარის ნაწილებზე მიწერილნი, 23, 24, 27, 28, 29, 30 და 31 დეკემბრის განმავლობაში.

დანარჩენ კატეგორიის მეთაურთა შემადგენლობის განაწილების წესის შესახებ განსაკუთრებით იქნება გამოცხადებული.

ნ. 376

ქ|კომისიის თავმჯდომარე მ. კვირიკაშვილი

მოწაფეთა საყურადღებოთ

გამოვიდა და იყიდება

ფ. ი. მიხალევსკის

„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი"
(ქართულ ენაზე)

მისამართი: გაზ. „კომუნისტის"-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი № 34

ქიათურის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი
ბ. ს. ლაბაძე

ამით აცხადებს, რომ 23 დეკემბერს 1926 წ. დღის 11 საათზე არის დანიშნული **საჯარო ვაჭრობით** გაყიდვა გიორგი ფარულავას ერთი საცხოვრებელ სახლის 250 მან., დასაკმაყოფილებლათ იასონ შეყილაძის და სხვ. ვალის, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს შენობის საჯარო ვაჭრობაზე, უნდა წარმოადგინოს ცნობები, აღნიშნული სამ. სამ. საპ. კოდ. მე-311 მუხ. და შ ნობის შეფასების 10 პროც. საწინდარი. ნ. 379

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
ნაწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—21

ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
შინაგანი და ნერვიული სნეულებანი, ელექტრო - სხივებით მკურნალობის კაბინეტი, კვარცთერაპია, იონნო-თერაპია.
მიღება 6—7 საათ. სალ. ლენინის ქ № 49. ტელეფ. № 4—82. 25 1
ქვ. 788

სახ. გან. კომ. სახელმწიფო

საბუღალტრო კურსები

ი. ავალიშვილის ხელმძღვანელობით
აცხადებს, რომ 1 იანვრიდან

იხსნება ახალი ჯგუფი

დავიდოვის ქ. № 25. საღამოს 5 საათ. 3—1 ქვ. 961

ვინაიდან ცივ ზამთარში მოსალოდნელია ყინვები,

წყალსადენის ყველა აბონენტებს

(სახლის პატრონებს) მოვაგონებთ, რომ, თანახმად არსებული წესისა, მათ ევალებათ წყალსაზომების ყინვებისაგან დაცვას მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება, რისთვისაც საჭიროა.

1. შეაკეთონ წყალსაზომების ჭის ხუფები და მუდამ დახურული იქონიონ.
2. საზომები შეახვიონ გვერდებიდან ერთიანი ნაჭრის მაუდით ან რაიმე თბილეულით და ზევიდან საზომის ხუფსაც დაათარონ ცალკე თბილი ნაჭერი, რომ ჩვენების აღების დროს შეიძლებოდეს მისი ახდა.
3. საზომის გარშემო ჭაში ჩაყარონ ნახერხი.
4. ღამ-ღამობით, დიდი ყინვის დროს, საზომის წინ დაკეტოს ბოქი და დასხარჯი ბოქის საშუალებით შტოდან გამოუშვას წყალი.

ამ საკითხის გარშემო ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლიან მიიღოს რჩევა-დარიგება წყალსადენის ტექნიკურ ნაწილში და აგრეთვე ადგილობრივ რაიკონტროლიორებისაგან რაიონში ჩამოსვლის დროს.

წყალსადენი ამითვე მოაგონებს ყველას, რომ იმ სახლებში, სადაც ყინვისაგან წყალსაზომები გაიბზარებიან, აბონენტ-სახლის პატრონებს გადახდებათ საზომის სრული ღირებულების საფასური და ამის შესახებ აღძრული რაიმე დავა სრულიად არ იქნება განხილული.

ნ. 363 3—1. წყალსადენის დირექცია.

ექიმი
ს. ი. ვოლოხი
განაახლა ავადმყოფების მიღება
ქალთა სნეულებანი და საბებიო ავადმყოფობანი. საღამოს 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა.
23—1 ყოფილი ბელგიის ქ. № 5

ექიმი **შუხმანი**
სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები.
მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. ქ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ.№ 89 25—1

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.